

მოხსენებები  
26 – 30 სექტემბერი 2022 თბილისი, საქართველო

ტრადიციული მრავალხმიანობის

მეთოდები

საერთაშორისო

სიმპოზიუმი

THE ELEVENTH  
INTERNATIONAL  
SYMPOSIUM  
ON TRADITIONAL POLYPHONY

26 – 30 SEPTEMBER 2022 TBILISI, GEORGIA  
PROCEEDINGS

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო  
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია  
**MINISTRY OF CULTURE AND SPORT**  
**TBILISI STATE CONSERVATOIRE**

უკ (UDC) 784.1+784.4

ტ-753

რედაქტორები: რუსუდან წურწუმია  
იოსებ შორღანია  
მაკა ხარძიანი  
ანა ლოლაშვილი

**EDITED BY** **RUSUDAN TSURTSUMIA**  
**JOSEPH JORDANIA**  
**MAKA KHardZIAANI**  
**ANA LOLASHVILI**

გამოცემაზე მუშაობდნენ: მაკა ხარძიანი  
თეონა ლომსაძე  
ბაია ჯუჟუნაძე  
მაია კაჭკაჭიშვილი  
ნინო რაზმაძე

**THIS PUBLICATION WAS PREPARED BY:** **MAKA KHardZIANI**  
**TEONA LOMSADZE**  
**BAIA ZHUZHUNADZE**  
**MAIA KACHKACHISHVILI**  
**NINO RAZMADZE**

© თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის  
ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2024

© International Research Center for Traditional Polyphony of Tbilisi Vano Sarajishvili  
State Conservatoire, 2024

ISBN 978-9941-9538-7-3

გარეკანის მხატვარი ნიკა სებისკვერაძე  
Cover Design by **NIKA SEBISKVERADZE**

კომპიუტერული უზრუნველყოფა მარიამ პოლტახიენტი  
Computer Service by **MARIAM POLTAKHIENTI**

## ს ა რ ჩ ე ვ ი

## C O N T E N T S

<b>რედაქტორებისაგან</b> .....	7
<b>From the Editors</b> .....	11
<b>მრავალხმიანობის თეორია და ისტორია</b>	
<b>THEORY AND HISTORY OF POLYPHONY</b>	
<b>იოსებ ჟორდანია</b> (ავსტრალია/საქართველო) – ეთნომუსიკოლოგიის მრავალი სახე.....	17
<b>Joseph Jordania</b> (Australia/Georgia) – Many Faces of Ethnomusicology .....	23
<b>ტრადიციული მრავალხმიანობის შედარებითი კვლევა</b>	
<b>COMPARATIVE STUDY OF RADITIONAL POLYPHONY</b>	
<b>პოლო ვალეჰო</b> (ესპანეთი) – დაბრუნება ტრიტონთან.....	31
<b>Polo Vallejo</b> (Spain) – Revisiting the Tritone .....	40
<b>კაე ჰისაკა</b> (იაპონია) – შავიზღვისპირეთის ტრადიციული მუსიკის წინასწარი შესწავლა: აქცენტით ქართულ და ჩერქეზულ რიტუალურ სიმღერებზე, საკრავებსა და მრავალხმიანობაზე .....	44
<b>Kae Hisaoka</b> (Japan) – Preliminary Study on the Traditional Music around the Black Sea Coast: Focusing on Georgian and Circassian Ritual Songs, Instruments and Polyphony .....	48
<b>ტრადიციული მრავალხმიანობის რეგიონული სტილები და მუსიკალური ენა</b>	
<b>REGIONAL STYLES AND MUSICAL LANGUAGE OF TRADITIONAL POLYPHONY</b>	
<b>სიმჰა არომი, ფლორენ კარონ-დარა, მიშელ კასტელენგო, ფრანკ კეინი</b> (საფრანგეთი), <b>ანა ლოლაშვილი</b> (საქართველო), <b>ფრანკ შერბაუმი</b> (გერმანია) – აკორდებისა და აკორდული თანმიმდევრობების კატეგორიზაცია ქართულ მრავალხმიანობაში (მუშაობის პროცესი გრძელდება).....	55
<b>Simha Arom, Floren Caron-Darras, Michele Castelengo, Frank Kane</b> (France), <b>Ana Lolashvili</b> (Georgia), <b>Frank Scherbaum</b> (Germany) – Categorization of Chord Inventories and Chord Progressions in Georgian Polyphony.....	59
<b>მიშელ კასტელენგო</b> (საფრანგეთი) – ახალი მიდგომა ტრადიციული ვოკალური მრავალხმიანობის მუსიკალური ბგერათრიგების ანალიზისადმი.....	67

<b>Michele Castelengo</b> (France) – A New Approach to Analyzing the Musical Scales of Traditional Vocal Polyphony.....	72
<b>მარინა დექრისტოფორო</b> (აშშ), <b>მადონა ჩამგელიანი</b> (საქართველო) – „დაე, თქვენს მიკროავტობუსს კარგი მგზავრები ჰყავდეს“: სვანეთის „გულაშ გაბრიელის“ დღესასწაულის ლოცვები, სიმღერები და რიტუალები .....	83
<b>Marina Decristoforo</b> (USA), <b>Madona Chamgeliani</b> (Georgia) – „And May Your Marshrutka Have Good Passengers“: Prayers, Songs, and Rituals of the Svan Feast Day of Gula Gabriel .....	88
<b>ნინო ნანეიშვილი</b> , <b>პაატა ალავერდაშვილი</b> (საქართველო) – ბატონების იავნანები და შინაგანი ოჯახის სისტემის თერაპია .....	97
<b>Nino Naneishvili</b> , <b>Paata Alaverdashvili</b> (Georgia) – Batonebis Iavnana and Internal Family Systems Therapy .....	102
<b>მერი-სოფია ლაკოსი</b> (ჰოლანდია), <b>მოჰამედ აშკან ნაზარი</b> (ირანი) – მრავალხმიანობა ჰავრამანის მუსიკაში: შემშალისა და სიმღერის ურთიერთქმედებისას წარმოქმნილი ქვეცნობიერი მრავალხმიანობა ჰავრამანის ტრადიციულ მუსიკაში.....	107
<b>Meri-Sofia Lakos</b> (Holland), <b>Mohammed Ashkan Nazari</b> (Iran) – Polyphony in the Music of Hawraman (A study of the Unconscious Polyphony Yielded in the Interaction of Shemshal and Singing in Hawraman’s Traditional Music) .....	114
<b>ნატალია ზუმბაძე</b> (საქართველო) – ხევსურული სიმღერის მრავალხმიანობის საკითხისათვის.....	125
<b>Natalia Zumbadze</b> (Georgia) – Concerning the Polyphony of Khevsuretian Singing .....	130
<b>ჯანა პართლასი</b> (ესტონეთი) – აღმავალი და დაღმავალი ტონალობა სეტოს მრავალხმიანი სიმღერებში (სამხრეთ-აღმოსავლეთი ესტონეთი). <i>Kergütämine</i> -ის ტექნიკა და მისი ფუნქციები .....	138
<b>Žanna Pärtlas</b> (Estonia) – Rising and Falling Tonality in Seto Multipart Songs (South–East Estonia). The Kergütämine Technique and its Functions .....	144
<b>თეონა რუხაძე</b> , <b>სანდრო ნათაძე</b> (საქართველო) – ტრადიცია თანამედროვეობაში – სვანეთის 2021 წლის საველე კვლევის შედეგები.....	154
<b>Teona Rukhadze</b> , <b>Sandro Natadze</b> (Georgia) – Tradition in Contemporanetty – The Results of the 2021 Svaneti Field Research .....	160

**ინიკა ორასი** (ესტონეთი) – სეტოს მრავალწილიანი სიმღერა და სხვა მუსიკა.  
დროთა განმავლობაში მრავალწილიანი ტრადიციის საზრისების  
და ფუნქციების ცვლილება ხანდაზმული მომღერლების თვალთ ..... 166

**Janika Oras** (Estonia) – Seto Multipart Singinf and other Music.  
Changing Meanings and Functions of Multipart Tradition over  
Time through the Eyes of the Elderly Singers..... 172

### **მრავალხმიანობა სასულიერო მუსიკაში** **POLYPHONY IN THE SACRED MUSIC**

**თამარ ჩხეიძე** (საქართველო) – „ფორმულბრივი“ კილოს არსი ქართულ საეკლესიო  
გალობაში და მისი ფუნქციონირება მრავალხმიან კონტექსტში ..... 179

**Tamar Chkheidze** (Georgia) – The Essence of “Formulae” Mode in Georgian  
Chanting and Its Realization in Multipart Context ..... 187

**ეკატერინე ყაზარაშვილი** (საქართველო) – წმინდა სტეფანე აღმსარებელი  
(კარბელაშვილი) ქართული გალობის შესახებ (ვასილ კარბელაშვილის  
პირად წერილებზე დაყრდნობით)..... 200

**Ekaterine Kazarashvili** (Georgia) – St. Stepane the Confessor (Karbelashvili)  
about Georgian Chanting (Based on Vasil Karbelashvili’s Personal Letters)..... 206

### **გამოთვლითი ეთნომუსიკოლოგია** **COMPUTATIONAL ETHNOMUSICOLOGY**

**ფრანკ შერბაუმი** (გერმანია) – ქართული ტრადიციული ვოკალური  
მუსიკის გამოთვლითი ანალიზის ხუთი წელი: პროექტი ძვმ (GVM)..... 215

**Frank Scherbaum** (Germany) – Five Years of Computational Analysis  
of Traditional Georgian Vocal Music: The GVM Project ..... 220

### **აუდიოვიზუალური ეთნომუსიკოლოგია: გამოწვევები და პერსპექტივები** **AUDIOVISUAL ETHNOMUSICOLOGY: CHALLENGES AND PERSPECTIVES**

**დაივა რაჩუნაიტე-ვიჩინიენე** (ლიეტუვა) – აუდიოვიზუალური დოკუმენტირებისა  
და კომუნიკაციის პრობლემები ეთნომუსიკოლოგების პერსპექტივიდან:  
ლიეტუვური პოლიფონური სიმღერის ჩანერის რამდენიმე შემთხვევა ..... 229

**Daiva Račiūnaitė-Vičinienė** (Lithuania) – Audiovisual Documentation and  
Communication Problems from the Perspective of Ethnomusicologists:  
Several Instances of Lithuanian Polyphonic Singing ..... 237

<b>ქეროლიან ბითელი</b> (დიდი ბრიტანეთი) – ინტერკულტურული მუზიცირება ვირტუალურ სამყაროში: ქართული სიმღერის ონლაინ მასტერკლასები კოვიდის დროს .....	244
<b>Caroline Bithell</b> (UK) – Intercultural Musicking in the Virtual World: Online Georgian Singing Workshops in Times of COVID .....	251
<b>ტრადიციული მრავალხმიანობის სოციალური ასპექტები</b> <b>SOCIAL ASPECTS OF TRADITIONAL POLYPHONY</b>	
<b>ანდრეა კუზმიჩი</b> (კანადა) – იმდროე უკრაინასთან ერთად: პოლიტიკური კოლიადა ანუ პარტიზანული სიმღერა, როგორც პასუხი ომზე უკრაინაში.....	261
<b>Andrea Kuzmich</b> (Canada) – Sing with Ukraine: Political Koliada or Guerrilla Carolling as a Responce to the War in Ukraine .....	269
<b>მარიო მორელი</b> (კანადა) – „პატარა გოგონებო, გთხოვთ მოუსმინოთ...“ მრავალხმიანი სიმღერა, როგორც ანტისაომარი მოწოდება, ომის პერიოდის იტალიური წინააღმდეგობის მოძრაობის სიმღერების მაგალითზე .....	279
<b>Mario Morello</b> (Canada) – “Ragazine, vi prego ascoltare”... The Polyphonic Song as an Instrument to Collectively Summon an Anti-war Space, Investigated through Italian Songs of Wartime Resistance .....	283
<b>მაკა ხარძიანი</b> (საქართველო) – მიგრაციული პროცესების გავლენა სვანი ეკო-მიგრანტების ეთნიკურ, რელიგიურ და კულტურულ იდენტობასა და ტრადიციებზე.....	290
<b>Maka Khardziani</b> (Georgia) – The Impact of Migration Processes on Ethnic, Religious, Cultural Identity and Traditions of Svan Eco-migrants .....	296
<b>მრგვალი მაგიდა: მუსიკალური ტურიზმი</b> .....	301
<b>ROUND TABLE: MUSICAL TOURISM</b> .....	320

## რედაქტორებისაგან

2022 წლის თბილისის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმი რიგით მეთერთმეტე იყო, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ის პირველი სიმპოზიუმიდან 20 წლის თავზე გაიმართა, საიუბილეო გახლდათ. XI სიმპოზიუმში 35 მეცნიერი მონაწილეობდა – მათ შორის, 20 უცხოელი და 15 ქართველი.

წინამდებარე კრებული აერთიანებს სიმპოზიუმზე წარმოდგენილი მოხსენებების ტექსტებს, რომლებიც დალაგებულია თემატიკის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ XI სიმპოზიუმის სამეცნიერო სესიების ტრადიციული თემატიკა რამდენიმე ახალი თემით გავამდიდრეთ. ერთ-ერთი გახლავთ **კომპიუტერული ეთნომუსიკოლოგია** – მუსიკალური ფოლკლორის კვლევის თანამედროვე მიმართულება, რომელიც სულ უფრო მყარად იკიდებს ფეხს და ეთნომუსიკოლოგებს კვლევის ახალ პერსპექტივებს უსახავს. ამ თემაზე მოხსენება გააკეთა **ფრანკ შერბაუმმა (გერმანია)**, რომელმაც ქართული ტრადიციული ვოკალური მუსიკის გამოთვლითი ანალიზის ხუთწლიანი გამოცდილება წარმოადგინა.

მეორე ახალი თემა იყო **აუდიოვიზუალური ეთნომუსიკოლოგია: გამონვევები და პერსპექტივები**, რომლის ქვეშ **დაივა რაჩიუნაიტე-ვიჩინიენემ (ლიეტუვა)** ლიეტუვური მრავალხმიანი სიმღერის აუდიოვიზუალური დოკუმენტაციისა და კომუნიკაციის პრობლემები ეთნომუსიკოლოგის პერსპექტივიდან დაგვანახა, ხოლო **ქეროლან ბითელმა (დიდი ბრიტანეთი)** COVID პანდემიის დროს, ქართული სიმღერის ონლაინ მასტერკლასების გამოცდილების საფუძველზე, იმსჯელა ინტერკულტურული შემსრულებლობის შესახებ ვირტუალურ სამყაროში.

თემაზე – **ტრადიციული მრავალხმიანობის რეგიონული სტილები და მუსიკალურიენა** – ყველაზე მეტი ავტორის მოხსენება იყო წარმოდგენილი, მათ შორის, როგორც ქართველი და უცხოელი ეთნომუსიკოლოგების მიერ ინდივიდუალურად, ისე – ჯგუფურადაც. ასე, მაგალითად, **სიმჰა არომმა, ფლორენ კარონ-დარამ, მიშელ კასტელენგომ, ფრანკ კეინმა (საფრანგეთი), ანა ლოლაშვილმა (საქართველო) და ფრანკ შერბაუმმა (გერმანია)** თანავტორობით წარმოადგინეს ქართულ მრავალხმიანობაში აკორდებისა და აკორდული თანმიმდევრობების კატეგორიზაციაზე მუშაობის პროცესის პირველი ეტაპის შედეგები; ეთნომუსიკოლოგმა **მიშელ კასტელენგომ (საფრანგეთი)** წარმოადგინა „ახალი მიდგომა ტრადიციული ვოკალური მრავალხმიანობის ბგერათრიგების ანალიზისადმი“. **მადონა ჩამგელიანმა (საქართველო) და მარინა დექრისტოფორომ (აშშ/საქართველო)**, 2021 წლის სვანეთის ეთნოგრაფიული სავლე ექსპედიციის მასალების საფუძველზე, შემოგვთავაზეს ერთ-ერთი სვანური დღესასწაულის აღნიშვნის რიტუალში მომხდარ ცვლილებებზე დაკვირვების შედეგები; **თონა რუხაძემ და სანდრო ნათაძემ (საქართველო)** სვანურ თანამედროვე სოციუმში ტრადიციული მუსიკის მნიშვნელობისა და ფუნქციონირების პრობლემები წარმოაჩინეს; **ნინონანიშვილმა და პაატა ალავერდიშვილმა (საქართველო)** სტატიაში „ბატონების იავნანები და შინაგანი ოჯახის სისტემის თერაპია“, *ბატონების იავნანების*, როგორც სემანტიკური, ისე მელოდიური აღნაგობის საკურნებელი მნიშვნელობა განიხილეს, ერთი მხრივ, იავნანების ტექსტების შინაარსსა და ერთ-ერთი პოპულარული ფსიქოთერაპიის, *შინაგანი ოჯახის თერაპიის* პრინციპებს შორის პარალელების მოძიების, მეორე მხრივ, სხვადასხვა კულტურაში არსებული, კურნების მეთოდებისა და *ბატონების იავნანების* მელოდიურ აღნაგობას შორის შედარებითი ანალიზის მეშვეობით.

ამავე თემის ფარგლებში მუსიკოლოგმა **მერი-სოფია ლაკოსმა** (ფინეთი) მკვლევარ აშქან ნაზართან (ირანი) თანაავტორობით წარმოადგინა სტატია „მრავალხმიანობა ჰავრამანის მუსიკაში: შემშალისა და სიმღერის ურთიერთქმედებისას წარმოქმნილი ქვეცნობიერი მრავალხმიანობის კვლევა ჰავრამანის ტრადიციულ მუსიკაში“; **ნატალია ზუმბაძემ (საქართველო)** – მოხსენება ხევსურული სიმღერის მრავალხმიანობის შესახებ; **ჟანა პარტლასმა (ესტონეთი)** მეცნიერთა ყურადღების ფოკუსირება ესტონური სეტუს მრავალხმიან სიმღერებში KERGÜTÄMINE-ს ტექნიკასა და მის ფუნქციებზე მოახდინა; იანიკა ორასმა კი – დროთა განმავლობაში მრავალხმიანი ტრადიციის მნიშვნელობისა და ფუნქციის ცვლილებებზე, რაც მკვლევარმა ხანდაზმულ ეთნოფორთა პერსპექტივით დაგვანახა.

**მრავალხმიანობის თეორიისა და ისტორიის თემაზე** წარმოდგენილი იყო ცნობილი ეთნომუსიკოლოგის, **იოსებ ჟორდანიას (ავსტრალია/საქართველო)** მოხსენება „ეთნომუსიკოლოგიის მრავალსახეობა“ – მსჯელობა ეთნომუსიკოლოგიის მუდმივი ტრანსფორმაციის მიზეზებზე, მიზნებსა და პერსპექტივებზე. სხვათა შორის, ბატონმასოსომამჯერადვერ შეძლოსიმპოზიუმზე ჩამოსვლა, თუმცა, წინასიმპოზიუმის გამოცდილებით, რომლის ჩატარება პანდემიის გამო ონლაინ ფორმატში მოგვიხდა, ამ სიმპოზიუმის სამეცნიერო სესიებში უპრობლემოდ მოხდა მისი და იმ მეცნიერების ონლაინ ჩართვა, რომლებმაც საქართველოში ჩამოსვლა სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ შეძლეს. თემამ **ტრადიციული მრავალხმიანობის შედარებითი კვლევა** ორი მეცნიერი გააერთიანა: **პოლო ვალეჰო (ესპანეთი)** და **კაე ჰისაოკა (იაპონია)**. **პოლო ვალეჰომ**, რომელიც ჩვენი სიმპოზიუმების მუდმივი მონაწილეა და ქართული ტრადიციული მუსიკალური ენის გრამატიკის კვლევის სოლიდური გამოცდილება აქვს, წარმოადგინა მოხსენება „დაბრუნება ტრიტონთან“. ქართული ჰარმონიის ამ ერთ-ერთი ფუნდამენტური პარამეტრის კვლევა ავტორმა განახორციელა პედაგოგიკისა და კომპოზიციისთვის დამახასიათებელი მუსიკალური მეთოდებით. **კაე ჰისაოკას (იაპონია)** მოხსენება „შავი ზღვის სანაპიროს ტრადიციული მუსიკის წინასწარი შესწავლა: ფოკუსირება ქართულ და ჩერქებულ სარიტუალო სიმღერებზე, საკრავებსა და მრავალხმიანობაზე“, ეფუძნება კვლევის შედეგებს, რომელიც ავტორმა ჩაატარა ადილეს რესპუბლიკაში 2021 წელს და წარმოადგენს ქართული და ჩერქებული ტრადიციული მუსიკის შედარების მცდელობას.

თემაზე **მრავალხმიანობა სასულიერო მუსიკაში** სიმპოზიუმის მონაწილეებმა მოისმინეს **თამარ ჩხეიძის** (საქართველო) სტატია – „ფორმულებრივი“ კილოს არსი ქართულ საეკლესიო გალობაში და მისი ფუნქციონირება მრავალხმიან კონტექსტში“ და **ეკატერინე ყაზარაშვილის** (საქართველო) სტატია – „წმინდა სტეფანე აღმსარებელი (კარბელაშვილი) ქართული გალობის შესახებ (ვასილ კარბელაშვილის პირად წერილებზე დაყრდნობით).

თემაზე **ტრადიციული მრავალხმიანობის სოციალური ასპექტები** სიმპოზიუმის მონაწილეებმა სამი ეთნომუსიკოლოგის მოხსენება მოისმინეს: **ანდრეა კუმბინი (კანადა)** თემით – „პოლიტიკური კოლიადა თუ პარტიზანული სიმღერა და ფიქრები იდენტობაზე, თავისუფლებაზე, ტრადიციულ მუსიკაზე და ომზე უკრაინაში“; **მარიო მორელი (აშშ)** სტატიით – „გოგოებო, გთხოვთ მოუსმინეთ....“ მრავალხმიანი სიმღერა, როგორც კოლექტიური მოწოდების იარაღი ომის წინააღმდეგ“ და **მაკა ხარძიანი (საქართველო)** თემით – „მიგრაციული პროცესების გავლენა სვანი ეკომიგრანტების ეთნიკურ, რელიგიურ და კულტურულ იდენტობასა და ტრადიციებზე“.

სიმპოზიუმი დასრულდა **მრგვალი მაგიდით**, რომლის თემა იყო **მუსიკალური ფოლკ-ტურიზმი**.



ნამყვანის, **ქეროლიან ბითელის (დიდი ბრიტანეთი)** ვრცელ პრეზენტაციას მოჰყვა საინტერესო დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: **მადონა ჩამგელიანმა, ნინო ნანეიშვილმა (საქართველო), ჯეფ ბარტონმა (დიდი ბრიტანეთი) და მარინა დექრისტოფორომ (აშშ)**. ონლაინ ერთგებოდნენ: **პენელოპე კონსალესი (ესპანეთი) და მეთიუ ნაითი (კანადა)**.

მრგვალი მაგიდის ფარგლებში განხილული იყო ქართული სიმღერის შემსწავლელი უცხოელი სტუმრებისა და მათი ქართველი მასპინძლების მოტივაცია და გამოცდილება; კულტურულ ტურიზმთან დაკავშირებული სარგებელი და გამონგვევები ქართულ რეალობაში.

XI სიმპოზიუმზე პირველად, ერთ-ერთი სამეცნიერო სესიის ბოლოს გაიმართა **სუზან ტომსონისა და ჰოლი ტელიორ-ზანცის (დიდი ბრიტანეთი) პოდკასტის – „წინაპართა ხმები: ჩვენი ბებიების ხმები“ – პრეზენტაცია**. პოდკასტში, რომელიც პანდემიის დროს, ავტორების დაფინანსებით შეიქმნა, გაცოცხლებულია ისტორიები და ხალხური სიმღერებისაქართველოდან. „ჩვენ ვიცავთ ქალთა ხმებს, რადგან უცხოელები თვლიან, რომ მხოლოდ ქართველი კაცები მღერიან, ქალები კი – არა. ჩვენ არ გვინდა, რომ ქართველ მომღერალ ქალთა უზარმაზარი ნიჭი შეუმჩნეველი დარჩეს“ – ესაა პოდკასტის მთავარი კონცეფცია. ისინი სამომავლოდ ბევრი საინტერესო ეპიზოდის ჩანერას გეგმავენ და ცდილობენ სახსრების მოძიებას ამისათვის.

სიმპოზიუმზე გაიმართა ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის **ორი ახალი პუბლიკაციის პრეზენტაცია**. ესენი გახლავთ: „ქალთა როლი იუნესკოს მიერ აღიარებულ ევროპულ ტრადიციულ სასიმღერო პრაქტიკებში“ და ცნობილი ამერიკელი ეთნომუსიკოლოგის, ბრუნო ნეტელის ნაშრომის – **„ეთნომუსიკოლოგიის კვლევა: ოცდაცამეტი თვალსაზრისი“** – ქართულ ენაზე თარგმნილი გამოცემა.

სიმპოზიუმის სასესიო ნაწილში ტრადიციულად იყო ჩართული **ფილმის ჩვენება**. ეს გალდათ იტალიელი რეჟისორის, **რენატო მორელის** ფილმი საქართველოს შესახებ, სახელწოდებით **„ნადიმის ხმები“ – საერთაშორისო სუფრა სვანეთში**.

როგორც ყოველთვის, სიმპოზიუმის **გახსნა და დახურვა გრანდიოზული კონცერტებით აღინიშნა**. გახსნის კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ქართულმა და უცხოურმა ქალთა კოლექტივებმა, რაც დაუკავშირდა ტმკსც-ის ზემოთ ხსენებული ერთ-ერთი ახლი გამოცემის პრეზენტაციას, რომელიც ქალთა როლს ეძღვნება იუნესკოს მიერ აღიარებულ ევროპულ ტრადიციულ სასიმღერო პრაქტიკებში. დახურვის გალა კონცერტი კი ტრადიციულად ქართველი და უცხოელი მამაკაცთა ანსამბლების მონაწილეობით შედგა. გარდა ამისა, სიმპოზიუმის ყოველ სასესიო დღეს, კონსერვატორიის მცირე დარბაზში ტრადიციული, შუადღის კონცერტები იმართებოდა სტუმარი და მასპინძელი ანსამბლების მონაწილეობით.

XI სიმპოზიუმის მონაწილეებს სამეცნიერო სესიებისა და კონცერტების გარდა, რამდენიმე არაფორმალურ ღონისძიებაზე დასწრების შესაძლებლობაც მიეცათ. კერძოდ, შეხვდნენ ქართული ქალაქური ფოლკლორის შემსრულებელ **ანსამბლ „რანინას“** (ხელმძღვანელი სოსო კოპალეიშვილი) და **ესტუმრენ „გარდენია შევარდნაძეს“**, სადაც დაესწრნენ აჭარული ხალხური რენჯის ნიმუშების ალბომის პრეზენტაციას, გამოფენასა და აჭარული მუსიკის ფოლკლორულ კონცერტს.

რაც შეეხება ე.წ. **კულტურულ დღეს**, სიმპოზიუმის მონაწილეებმა დაათვალიერეს ქვაში ნაკვეთი ქალაქი უფლისციხე (ძვ. წ.-ის VI ს), ვაშმადა კი ესტუმრნენ ნიკა ვაჩიეიშვილის საოჯახო მარანს, სადაც ექსპრომტად გაიმართა ქართული და მსოფლიო მრავალხმიანობის არაფორმალური, მაგრამ საოცრად შთამბეჭდავი კონცერტი.

თავისი არსებობის 20 წლის მანძილზე, ტრადიციული მრავალხმიანობის

სიმპოზიუმმა შეძლო მსოფლიოს ათეულობით ქვეყნის ეთნომუსიკოლოგთა და ხალხური მუსიკის შემსრულებელთა ერთ დიდ ოჯახად გაერთიანება, რაც უთუოდ ჩვენს მნიშვნელოვან მონაპოვრად და სიმპოზიუმის წარმატებული მომავლის სანინდრად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

### From the Editors

The Tbilisi International Symposium on Traditional Polyphony in 2022 was the eleventh in a row; however, given that it was held 20 years after the first symposium, it also became an anniversary. The XI symposium was attended by 35 scientists, including 20 foreigners and 15 Georgians. This collection combines the texts of the papers presented at the symposium, sorted by topic. It should be noted that the traditional topics of the scientific sessions of the XI Symposium were supplemented with several new issues. One of them is **Computational Ethnomusicology**, a modern field of research in musical folklore, which opens new prospects for ethnomusicologists. **Frank Scherbaum** (Germany) made a presentation on this topic, who presented five years of experience in computer analysis of Georgian traditional vocal music. Another new topic was **Audiovisual Ethnomusicology: Challenges and Perspectives**.

**Daiva Račiūnaitė-Vičinienė** (Lithuania) discussed the problems of audiovisual documentation and communication of Lithuanian polyphonic song from the standpoint of an ethnomusicologist; **Caroline Bithell** (UK), based on the experience of online workshops of Georgian song during the COVID pandemic, discussed intercultural activities in virtual world. Most of the papers of Georgian and foreign authors both individually and in groups touched upon Regional Styles of Traditional Polyphony and Musical Language. For example, **Simha Arom**, **Florent Caron-Darras**, **Michele Castelengo**, **Frank Kane** (France), **Ana Lolashvili** (Georgia) and **Frank Scherbaum** (Germany) co-authored the results of the first stage of work on the categorization of chord inventories and chord progressions in Georgian polyphony; French ethnomusicologist **Michele Castelengo** presented “A New Approach to the Analysis of the Sounds of Traditional Vocal Polyphony.” **Madona Chamgeliani** (Georgia) and **Marina Decristoforo** (USA/Georgia), based on the materials of a field ethnographic expedition to Svaneti in 2021, presented the results of observation on the changes in the ritual celebrating one Svan holiday; **Teona Rukhadze** and **Sandro Natadze** (Georgia) presented the problems of the importance and functioning of Svan holidays. **Nino Naneishvili** and **Paata Alaverdashvili** (Georgia) discussed the therapeutic meaning of Batonebi songs, both semantic and melodic construction, on the one hand, by searching for parallels between the content of the texts of therapeutic songs and the principles of one of the popular psychotherapeutic techniques, on the other hand, through a comparative analysis of treatment methods.

Within the framework of the same topic, musicologists **Meri-Sofia Lakos** (Finland) and **Mohamed Ashkan Nazari** (Iran) co-authored the article “Polyphony in the Music of Hawraman: a study of the unconscious polyphony yielded in the interaction of Shemshal and singing in Hawraman’s traditional music”; **Natalia Zumbadze** (Georgia) – discussed the polyphony of Khevsuretian songs; **Žana Pärtlas** (Estonia) drew the attention of scientists to the *kergütämine* technique; and **Janika Oras** – about the changes in the meaning and function of the polyphonic tradition over time, which the researcher showed from the point of view of older ethnophores.

The article “Many Faces of Ethnomusicology” and discussion the reasons, goals and perspectives of the transformation of ethnomusicology was presented by the famous ethnomusicologist **Joseph Jordania** (Australia/Georgia) in the frame of **Theory and History of Polyphony**. Mr. Joseph was not able to come to the symposium this time, however, with the experience of the previous symposium, which was held in online format due to the pandemic, the scientific sessions of this symposium involved him and those scientists who could not come to Georgia for various reasons.

The topic of **Comparative Study of Traditional Polyphony** united two scientists: **Polo Vallejo** (Spain) and **Kae Hisaoka** (Japan). Polo Vallejo is a regular participant of our symposiums and has a solid experience in the study of grammar of the traditional Georgian musical language. He presented the paper “Revisiting the Triton”. The author researched one of the fundamental parameters of Georgian harmony with musical methods characteristic to pedagogy and composition. The report by Kae Hisaoka (Japan) “Preliminary Study of Traditional Music of the Black Sea Coast: with an Emphasis on Georgian and Circassian Ritual Songs, Instruments and Polyphony” is based on the results of a study conducted by the author in the Republic of Adygea in 2021. It was an attempt to compare Georgian and Circassian music.

Under the topic **Polyphony in Sacred Music** participants of the symposium listened to an article by **Tamar Chkheidze** (Georgia) “The Essence of “Formulae” Mode in Georgian Chanting and Its Realization in Multipart Context” and an article by **Ekaterine Kazarashvili** (Georgia) “St. Stepane the Confessor (Karbelashvili) about Georgian Chanting (Based on Vasil Karbelashvili’s personal letters)”.

The topic **Social Aspects of Traditional Polyphony** included articles of three ethnomusicologists: **Andrea Kuzmich** (Canada) with the paper “Sing with Ukraine: Political Koliada or Guerrilla Carolling as a Responce to the War in Ukraine”; **Mario Morello** (USA) with the article “The Polyphonic Song as an Instrument to Collectively Summon an Anti-war Space, Italian Songs of Wartime Resistance” and **Maka khardziani** (Georgia) with the paper “The Impact of Migration Processes on Ethnic, Religious, Cultural Identity and Traditions of Svan Eco-migrants”.

The symposium ended with a **Round Table**, discussing **Musical Folk Tourism**. The presentation was followed by an interesting discussion with Madona Chamgeliani, Nino Naneishvili (Georgia), Jeoff Burton (UK) and Marina Decristoforo (USA). Online joined: Penelope Gonzalez (Spain) and Matthew Knight (Canada). During the round table, the motivation of foreign guests studying Georgian singing and experience of their Georgian hosts were discussed; as well as the benefits and challenges related to cultural tourism in Georgian reality.

At the end of one of the Scientific Sessions, for the first time in the history of Symposiums, a podcast by **Susan Thompson** and **Holly Taylor-Zuntz** (UK) **Voices of Ancestors: Voices of our Grandmothers** – was presented. The podcast, created during the pandemic with the help of authors, brings to life stories and folk songs from Georgia. “We champion women’s voices because foreigners assume that only Georgian men sing, and women do not. We do not want the huge talent of Georgian women singers to be overlooked” – this is the main concept of the podcast. They plan to record many interesting episodes in the future and try to find funds for this.

Two new publications of the International Research Center for Traditional Polyphony were presented at the symposium. These are: “The role of Women in European Traditional Singing Practices Recognized by UNESCO” and the work of the famous American ethnomusicologist Bruno Nettl – “The Study of Ethnomusicology: Thirty-Three Discussions” – translated into Georgian.

The session part of the symposium traditionally involved film presentation. This is a film by Italian director **Renato Morelli** about Georgia, called **Voices of Conviviality: An Inter-National Supra Evening in Svaneti**.

As usual, the opening and closing of the symposium were marked by concerts. Georgian and foreign women’s collectives took part in the opening concert, which related to the presentation of one of the new publications of the IRCTP, dedicated to the role of women in European traditional singing practices recognized by UNESCO. The closing gala concert was traditionally held in the

Grand Hall of the Conservatoire with the participation of Georgian and foreign male ensembles. In addition, every session day of the symposium, traditionally, midday concerts were held in the Recital Hall of the Conservatoire with guest and host ensembles.

In addition to scientific sessions and concerts, participants of the XI symposium were given the opportunity to attend several informal events. They met with the ensemble **Ranina** performing Georgian urban folklore (lead by Soso Kopaleishvili) and visited “Gardenia Shevardnadze,” where they attended the presentation of the album of Acharan Folk Crafts, an exhibition, and a folk concert of Acharan music.

As for the cultural day, the symposium participants visited Uphlitsikhe – an ancient rock-hewn town. After the excursion, they visited Nika Vacheishvili’s Marani, where an informal, but impressive concert of Georgian and world Polyphony was held.

For 20 years of its existence, the symposium of traditional Polyphony has managed to unite dozens of countries of the world as one large family of ethnomusicologists and folk music performers, which we can consider as our significant achievement and a harbinger of the successful future of the symposium.



**მრავალხმიანობის თეორია და ისტორია**

**THEORY AND HISTORY OF POLYPHONY**





## **ეთნომუსიკოლოგიის მრავალი სახე**

არსებობის 135 წლის განმავლობაში ეთნომუსიკოლოგია მუდმივად განიცდიდა და დღესაც განიცდის ცვლილებას. ამ ცვლილებების მიზეზი მრავალი იყო. დღეს ჩემს მოხენებაში განვიხილავ მხოლოდ ორ მათგანს: პოლიტიკურ-ეთიკური შეხედულებების ცვლილებებს და ტექნოლოგიური ბაზის გაფართოების ზემოქმედებას ეთნომუსიკოლოგიის განვითარებაზე.

### **1. პოლიტიკურ-ეთიკური შეხედულებები**

თავდაპირველად ეთნომუსიკოლოგიის ამოცანას წამოადგენდა არაეფროპული ხალხების მუსიკალური კულტურების შესწავლა და სისტემატიზაცია. სწორედ ამ თეორიულმა ამოცანებმა შექმნა შედარებითი მეთოდის ფართო გამოყენების აუცილებლობა. თითოეული კულტურის სიდრმისეული შესწავლა არ ითვლებოდა აუცილებლად კლასიფიკაციისათვის, ასე რომ, მეცნიერები თავს არ ინუხებდნენ არც შესადარებელი კულტურების ენის შესწავლით და არც რაიმე ექსპედიციის მოწყობით. ამ პერიოდის შრომები გამოირჩეოდა, ერთი მხრივ, საოცრად ფართო გაქანებით, უზარმაზარი თეორიული საკითხების დაყენებით, მაგრამ, ამავე დროს, ნაშრომების მეთოდოლოგიური საფუძველი ძალზე არამყარ იყო და შედარებული კულტურების ძალიან მწირი ცოდნით გამოირჩეობა. მაგალითად, არც ზიგფრიდ ნადელი (1933), და არც მარიუს შნაიდერი (1940, 1961, 1969), რომლებიც წერდნენ ქართულ მუსიკაზე, არასოდეს ყოფილან საქართველოში და, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც ზედმეტი იყო მათი მხრიდან ისეთი შრომატევადი საქმეების კეთების შესახებ, როგორცაა ქართული ენის შესწავლა, ან ქართულ ენაზე არსებული ლიტერატურის საფუძვლიანი გაცნობა.

ეთნომუსიკოლოგიის განვითარების ამ პირველ პერიოდში ყველაზე მძლავრი სამეცნიერო სკოლა შეიქმნა გერმანიაში, კერძოდ, ბერლინში. გერმანელებმა საოცარი გულმოდგინებით გამოიყენეს პირველი მსოფლიო ომის მიერ მოცემული შესაძლებლობა, როდესაც სულ სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლები მოხვდნენ მათთან, როგორც სამხედრო ტყვეები. გერმანელებისა და ავსტრიელების მიერ ვენისა და ბერლინის ფონოგრაფიის მიერ ჩაწერილ სიმღერებს დღესაც უდიდესი მეცნიერული ღირებულება აქვთ. ბევრი კულტურისათვის ეს ჩანაწერები დღესაც გვევლინებიან პირველ ხმოვან ჩანაწერებად ამ კულტურებიდან.

სამწუხაროდ, ზუსტად ეს პერიოდი დაემთხვა გერმანიაში რასისტული თეორიების გაჩენას და ფართოდ გავრცელებას. ამ თეორიების გამო მე20- საუკუნის 20-30-იან წლებში ითვლებოდა, რომ ადამიანთა სხვადასხვა რასებს სხვადასხვა ინტელექტი და ათვისების უნარი ჰქონდათ. გარდა ამისა, ითვლებოდა, რომ ენა გასაზღვრავდა რასას და ენასა და მუსიკალურ კულტურას შორის უნდა ყოფილიყო აშკარა კავშირი. სწორედ ამ მიზეზის გამო იყო, რომ, მაგალითად, ბალყარული მუსიკის ჩამწერები (თვით ბალყარელები) ჯიუტად ცდილობდნენ, საკუთარი მრავალხმიანი სიმღერები ჩაეწერათ მონოდიურად, ერთ ხმაში, რათა მათი მუსიკა და ენა (თურქული ენა) ერთმანეთისთვის დაეახლოვებინათ (ასეა, მაგალითად, შეიბლერის რამდენიმე კრებულში. იხ. რახაევი, 1988).

შესაბამისად, მართალია, ბერლინის სკოლამ დიდი როლი ითამაშა შედარებითი

მუსიკოლოგიის განვითარებაში და ფართოდ მოაზროვნე მეცნიერების მთელი პლეადა გამოიყვანა ასპარეზზე (ერის მორის ფონ ჰორნბოსტელი, ალექსანდრე ელისი, კარლ შტუმპი, კურტ ზაქსი, მარიუს შნაიდერი და მრავალი სხვა), მათი თეორიული კონსტრუქციები „თიხის ფეხებზე“ იდგა და დაინგრა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე. სხვათა შორის, მეორე მსოფლიო ომი, თავისი რასისტული შეხედულებებით და გენოციდის არნახული სისასტიკით, გახდა კიდევ ძირითადი პოლიტიკური მიზეზი შედარებითი მუსიკისმოცდობის დანგრევისათვის. არა მარტო შედარებითი მუსიკისმოცდნობა აღმოჩნდა „კანონგარეშე“, არამედ თვით „რასის“ კონცეფციაც და ტერმინიც მოძულეულ იქნა (ტერმინი „რასა“ შეიცვალა უფრო ნეიტრალური ტერმინით „პოპულაცია“).

სწორედ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იწყებს ეთნომუსიკოლოგია განვითარებას ამ ტერმინის თანამედროვე მნიშვნელობით. შესწავლის ცენტრმა დანგრეული ბერლინიდან გადაინაცვლა აყვავებულ ლოს-ანჯელესში.

ახალ მიდგომაში სრულებით შეიცვალა მოთხოვნები მკვლევრის მიმართ: თუ ტიპური ბერლინის სკოლის წარმომადგენელი იყო სავარძლის მეცნიერი, რომელსაც არ მოეთხოვებოდა ექსპედიციების ორგანიზება, ახლა უკვე ეთნომუსიკოლოგს მოეთხოვებოდა არა მარტო ექსპედიციების ჩატარება, არამედ გარკვეული ხნის განმავლობაში (თვეობით, ან უმჯობესია, წლებით), ცხოვრება შესასწავლ კულტურაში, ენის ათვისება, და შეძლებისდაგვარად კულტურის, ეთნოგრაფიის და ადგილობრივ ენაზე გამოცემული ლიტერატურის გაცნობაც (მერიამი, 1964). თვით ექსპედიციასაც უკვე სხვა დანიშნულება ჰქონდა – არა იმდენად მასალის შეგროვება, არამედ მუსიკის როლის გარკვევა საზოგადოებაში.

ამ მიდგომის დანერგვის შემდეგ სრულიან შეიცვალა ეთნომუსიკოლოგიის სახე. ჯერ ერთი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში შესასწავლ ქვეყანაში ცხოვრებამ და, მითუმეტეს, ენის შეწავლის მოთხოვნამ, დიდად შეზღუდა მეცნიერების თვალთახედვის არე და შესაძლო კვლევის მაშტაბები. მეცნიერები ახერხებდნენ, როგორც წესი, ერთი კულტურის გაცნობას, და ერთი ახალი ენის მეტნაკლებად შესწავლას. ფართო შედარებით შესწავლაზე ლაპარაკი, ფაქტიობრივად, შეწყდა ეთნომუსიკოლოგიაში.

ამან ტრაგიკული შედეგებიც მოიტანა – ეთნომუსიკოლოგიაში, ფაქტობრივად, შეწყდა ფართო მაშტაბის თეორიული კვლევების ჩატარება. ამაზე არაერთხელ გამოთქვამდნენ წუხილს მონინავე ეთნომუსიკოლოგები (ბრუნო ნეტლი, 2005; ტიმ რაისი, 2010). მახსოვს, როცა ტიმ რაისმა გაიგო, რომ მე და სტივენ ბრაუნი ვაპირებდით შედარებითი ეთნომუსიკოლოგიით დაინტერესებულ კოლეგებთან შეხვედრას რიო დე ჟანეიროს კონფერენციის დროს, 2001 წელს, მითხრა, რომ ეთნომუსიკოლოგიაში შედარებითი მეთოდი როცა უარყვეს, ფაქტიურად „ნარეცხ წყალს ბავშვიც გადააყოფესო“ (ზეპირი კომუნიკაცია, 2001 წელი, 7 ივლისი, რიო დე ჟანეირო).

პოლიტიკურ-ეთიკური ხასიათის ცვლილებები გამოიწვია აგრეთვე თვით ეთნომუსიკოლოგების ეთნიკური პროფილის გამრავალფეროვნებამაც. 1960-იან წლებამდე, შეიძლება ითქვას, მთელი ეთნომუსიკოლოგიური სფერო ორ დიდ ნაწილად იყო გაყოფილი. პირველ ნაწილს შეადგენდნენ ქვეყნები და კულტურები, რომლებშიც კარგად იყოს შემონახული საკვლევო მასალა. ესენი იყო აფრიკის, სამხრეთ ამერიკის, აზიის მრავალი კულტურის და ავსტრალიის აბორიგენული მოსახლეობის კულტურები; ეთნომუსიკოლოგიის მეორე დიდ სფეროს კი შეადგენდა ის კულტურები, საიდანაც მოდიოდნენ პროფესიონალი ეთნომუსიკოლოგები. ესენი იყვნენ განვითარებული ეკონომიკის მქონე, ძირითადად, ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნები.

ითვლებოდა, რომ ამ განვითარებულ კულტურებში ხალხური შემოქმედება უკვე წარსულს იყო ჩაბარებული. შესაბამისად, ამ პერიოდში ძალიან მიღებული იყო, რომ ევროპელი ან ამერიკელ ეთნომუსიკოლოგი დაქორწინებულიყო ეგზოტიკური კულტურის წარმომადგენელზე, სანგრძლივი ექსპედიციები მოეწყო მეუღლის ქვეყანაში, ესწავლა მათი ენა და ღრმად გაცნობოდა მათ კულტურას.

მიღებული პრაქტიკა, ნაწილობრივ მაინც, შეიცავდა კოლონიალურ სულისკვეთებას, როდესაც მოწინავე ტექნოლოგიური ერების წარმომადგენლები ეხმარებიდნენ და სწავლობდნენ იმ ქვეყნებს, სადაც მასალა კი ბევრი იყო, მაგრამ პროფესიულად კარგად მომზადებული საკუთარი კადრები არ ჰყავდათ ამ მასალის შესასწავლად და კლასიფიკაციისათვის.

ამ პრობლემას თანდათან მოენახა ლოგიკური გადაწყვეტა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ფოლკლორული მასალებით მდიდარ ქვეყნებში დაიწყო საკუთარი კულტურების აქტიური შესწავლა, ანუ დაიწყო კულტურების მეცნიერული შესწავლა საკუთარი ძალებით, საკუთარი სპეციალისტების მიერ. როგორც მოსალოდნელი იყო, გაჩნდა თავისებური ქიშპობაც კულტურის ადგილობრივსა და ევრო-ამერიკელ შემსწავლელებს შორის.

იყო გამონაკლისებიც. მაგალითად, მართალია ამ პერიოდში თითქმის სრულიად მოიშპო შედარებითი კვლევები, სწორედ ამ პერიოდში განხორციელდა ეთნომუსიკოლოგიის ისტორიაში ყველაზე მამუტაბური შედარებითი კვლევის პროექტი, ე.წ. „კანტომეტრიკა“ (ლომაქსი, 1968). სხვათა შორის, ეს პროექტი დაფინანსდა და ჩატარდა მუსიკალური აკადემიის გარეთ. თვით პროექტის ხელმძღვანელი, ლევენდარული ალან ლომაქსი, არ იყო პროფესიონალი ეთნომუსიკოლოგი და მას არ შეეძლო მუსიკალური დამწერლობის წაკითხვა, ან ჩანერა. შესაბამისად, მთელი პროექტიც სანოტო ჩანაწერების გარეშე განხორციელდა. აკადემიაში საკმაოდ უარყოფითი იყო ალან ლომაქსის შეფასებაც.

არაევროპული კულტურების შესწავლაზე კონცენტრირების გამო ბევრი იყო კურიოზებიც. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატებოდა უამრავი ექსპედიციის ჩატარებასა და ათასობით ჩანაწერის გაკეთებაში ეგზოტიკურ კულტურებში, მაშინ, როცა ევროპის უამრავი, უაღრესად საინტერესო რეგიონი შეუსწავლელი რჩებოდა. მაგალითად, პოლინეზიური და აფრიკული მრავალხმიანობა ევროპელ ეთნომუსიკოლოგთა შორის ცნობილი იყო მე-XIX და, უფრო მეტიც, მე-XVIII საუკუნიდან (ეთნომუსიკოლოგიის დისციპლინის გაჩენამდე), მაგრამ ალბანეთისა და საბერძნეთის უაღრესად საინტერესო მრავალხმიანობა მათთვის ცნობილი გახდა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (ლოიდი, 1961).

იყო ბედნიერი გამონაკლისებიც. მათ შორისაა, მაგალითად, ბულგარული, ქართული, ლიტვური და რუსული მრავალხმიანობა, რომლებიც ცნობილი გახდნენ ეთნომუსიკოლოგიის განვითარების ადრეულ ეტაპებზეც. ბუნებრივი იყო, რომ ეს კულტურები დიდი ხნის განმავლობაში შეისწავლებოდა ადგილობრივი სპეციალისტების მიერ. დღეს ეს ტენდენცია უკვე წამყვანია ეთნომუსიკოლოგიაში.

## **2. ეთნომუსიკოლოგია და ტექნოლოგიური პროგრესი**

ახლა მიმოვიხილოთ ტექნოლოგიური პროგრესის როლი ეთნომუსიკოლოგიაში. ეთნომუსიკოლოგიის განვითარება თავიდანვე უშუალოდ იყო დაკავშირებული ტექნოლოგიურ პროგრესთან. ჯერ, თავისთავად, ფონოგრაფის გამოგონებამ მისცა ძლიერი ბიძგი თვითჩვენი სამეცნიერო დისციპლინის განვითარებას. პირველი ეტაპის სავარძლის ეთნომუსიკოლოგებისთვის, რომლებიც თავის სამუშაო კაბინეტში ქმნიდნენ მსოფლიოს მომცველ შედარებით ჰოპოთეზებს, უბრალოდ აუცილებელი

იყო დიდ რაოდენობის ფონოგრაფიული ჩანაწერების აქტიური გამოყენება (ხშირად კულტურული კონტექსტის გარეშე).

სხვათა შორის, ფონოგრაფის გამოჩენამ მოიტანა აგრეთვე მეტად სპეციფიკური „ოქროს ხანის მითიც“ (ჟორდანი, 2010). ეს მითი მდგომარეობს იმაში, რომ ფონოგრაფზე ჩანერილი პირველი ხალხური მომღერლები (და პროფესიული მომღერლებიც) მრავალ კულტურაში ლეგენდარულ ფიგურებად იქცნენ. სწორედ ფონოგრაფმა გახადა შესაძლო ის სასწაული, რომ შეიძლებოდა შემსრულებლის მოსმენა სულ სხვა ქვეყანაში და სხვა ეპოქაში. ეს იყო საშემსრულებლო უკვდავების მიღწევა, რაზეც ოცნებაც კი არ შეეძლოთ ადრეული ეპოქის შემსრულებლებს. სწორედ ამიტომაც, რომ ქართულ ფოლკლორულ მუსიკაში გათვითცნობიერებულ ადამიანს თუ ჰკითხავ, როდის იყო ქართული ხალხური შემსრულებლობის „ოქროს ხანა“, როდესაც ყველაზე მეტი უნიჭიერესი შემსრულებელი იყო აქტიური, დიდი შანსია, რომ პასუხად მე-19 საუკუნის ბოლოდან მეოცე საუკუნის პირველ სამ ათწლეულამდე პერიოდი დაგისახელონ (ანუ ფონოგრაფით ჩანერილი პირველი შემსრულებლების წლები).

საინტერესოა, რომ ზუსტად ასევე პასუხობენ მსგავს შეკითხვას ბევრ სხვა ქვეყანაშიც. ეს კი მიგვითითებს, რომ პირველი გრამფირფიტების გამოჩენამ უდიდესი ფსიქოლოგიური გარდატეხა შეიტანა მუსიკალურ კულტურაში, და აიყვანა პირველი ჩანაწერების გმირები ლეგენდარული სტატუსის დონეზე.

ზემოთ ნახსენები „ოქროს ხანის მითი“ ეხება არა მარტო ხალხურ შემრულებლობას. გავიხსენოთ, როგორი ავტორიტეტი ჰქონდათ (და აქვთ დღესაც), მაგალითად, პროფესიულ მომღერლებს – კარუზოს, შალიაპინს ან სარაჯიშვილს.

ტექნოლოგიურმა პროგრესმა მოიტანა უფრო და უფრო მცირე ზომის ჩამწერების შექმნა, რამაც პრინციპულად შეცვალა ჩანერის პროცესი. განსაკუთრებით პრაქტიკული აღმოჩნდა კასეტისანი მაგნიტოფონების დიდი რაოდენობით გამოჩენა 80-იან წლებში. თუმცა, ეს ახალი ტექნოლოგია მაინც არ აღმოჩნდა ისეთი მნიშვნელოვანი კულტურის ისტორიაში, რომ გატოლებოდა ფონოგრაფის მიერ მოტანილ კულტურულ ეფექტს.

ახალი ეტაპი დადგა მას შემდეგ, რაც დაინერგა დიგიტალური აპარატურა, როგორც აუდიო, ისე ვიდეო. გარდა იმისა, რომ გაადვილდა ხმის და გამოსახულების ერთდროული ჩანერა (რაც ადრე მხოლოდ ოცნების საგანი იყო ეთნომუსიკოლოგებისათვის), პრინციპულად ახალი იყო youtube არხზე მასალების განთავსებისა და ერთმანეთთან გაზიარების სიადვილე და სიიარაღე.

დღეს მკვლევარს მხოლოდ კომპიუტერი და ინტერნეტი სჭირდება, რომ ნებისმიერი ინფორმაცია მოიძიოს, ან თავისი ახალი აღმოჩენა გაუზიაროს კოლეგებს. ინტერნეტმა სრულებით შეცვალა მეცნიერის ყოველდღიური ცხოვრება. როცა მე მჭირდება საკუთარ წიგნში რაიმეს ციტირება, იმის მაგივრად, რომ მივიდე თაროსთან და ავიღო ჩემი წიგნი, მე ხშირად შევდივარ ინტერნეტში, ვნახულობ იქ ჩემს შრომებს, გავხსნი ჩემი წიგნის ფაილს და ახლა უკვე ფაილში, ისევე დიგიტალურად, ვეძებ სჭირო გვერდს. საოცარია, მაგრამ დღეს ერთ კომპიუტერში უფრო მეტი ინფორმაციის მოძებნა შეიძლება, ვიდრე მთელს თბილისის ან მოსკოვის საჯარო ბიბლიოთეკებში, და უფასო „ვიკიპედიაში“ 20-ჯერ უფრო მეტი და უფრო ახალი ინფორმაციის ნახვა შეიძლება, ვიდრე ლეგენდარულ „ენციკლოპედია ბრიტანიკაში“.

ახალი, გაზრდილი ტექნოლოგიური საშუალებები ეთნომუსიკოლოგიას ახალ პერსპექტივებს უსახავს. youtube არხზე მასალების მონახვა უფრო და უფრო ადვილდება და ეჭვს გარეშეა, რომ კიდევ უფრო გაადვილდება.

კარგად მახსოვს, როცა ჩემს სადოქტოროზე მუშაობის დროს დამჭირდა უცხოური ლიტერატურის მოძიება, სპეციალურად გამომიწერეს რამდენიმე ნაშრომი მოსკოვის

ბიბლიოთეკიდან (ზოგი ნაშრომი იქაც არ იყო). ეს იყო -80იანი წლების ბოლოს. დღეს ასეთი პრობლემის წარმოდგენა ძალიან ძნელია, მითუმეტეს, რა თქმა უნდა, ძნელია, წარმოვიდგინოთ მოსკოვიდან რაიმე ნაშრომის გამოწერის საჭიროება... ერთადერთი, რაც სჭირდება დღევანდელ ეთნომუსიკოლოგს, ესაა ინგლისური ენის ცოდნა, კომპიუტერთან ურთიერთობის გარკვეული ცოდნა და თავისი საკვლევი საგნის სიყვარული. ეს ბოლო პუნქტია ხშირად ყველაზე ძნელად საშოვნო „ინგრედიენტი“, რადგან დღევანდელ მატერიალისტურ სამყაროში ახალგაზრდები ხშირად უყურებენ მომავალ სპეციალობას მისი უტილიტარული ფუნქციის მიხედვით.

მახსენდება მეღბურნის კონსერვატორიის რექტორი, პროფესორი გარი მაკფერსონი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ჩინელ ვუნდერკინდთან, რომელიც საოცარ ნიჭს იჩენდა ფორტეპიანოზე შემსრულებლობაში. როცა სკოლის დამთავრების დრო მოახლოვდა და ახალგაზრდა მუსიკოსს ჰკითხეს, რას აპირებდა, მან ბევრი გააოცა თავისი პასუხით. მე თვითონ წავიკითხე ინტერვიუ მასთან და კარგად მახსოვს ჩემი გაკვირვება, რომ ამ შესანიშნავ შემსრულებელს უნდოდა კბილის ექიმი გამხდარიყო...

თუ ზოგადად შევაფასებთ ეთნომუსიკოლოგიის ახალ პერსპექტივებს, უნდა ვთქვათ, რომ, თუკი ოდესმე შეიძლება ვიფიქროთ შედარებითი მუსიკოლოგიის დაბრუნებაზე, ეს შეიძლება უკვე დღეს მოხდეს. ამის შედეგი იყო, რომ 2012 წელს კანადაში ჩატარდა შედარებითი მუსიკოლოგიის დაბრუნების მცდელობა. ჩვენთვის კარგად ცნობილი სტივენ ბრაუნი, მაიკლ ტენზერი, ალან ლომაქსის თანამოაზრე ვიქტორ გრაური და სხვები იყვნენ ჩართულები ამ კონფერენციაში. მე, სამწუხაროდ, ვერ შევძელი წასვლა ინდოეთთან დაკავშირებული გეგმების გამო. ჯერჯერობით, ამას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. რა არის ამის მიზეზი?

### **დასკვნა: ჩვენ გვჭირდება მეცნიერების გათავისუფლება!**

ეთნომუსიკოლოგია, სამწუხაროდ, ისევ ვერ გამოსულა მეორე მსოფლიო ომის აჩრდილიდან. ჩვენი ტექნოლოგიური შესაძლებლობანი საოცრად გაიზარდა, მაგრამ ჩვენ ისევ ვებოჭილები ვართ „პოლიტიკური კორექტულობის“ ბორკილებში. ჯერ კიდევ ძნელია ტემინ „რასის“ გამოყენება და ჯერ კიდევ თავზარი ეცემათ კოლეგებს, როცა ლაპარაკი იწყება მრავალხმიანობისა და ფიზიკური ანთროპოლოგიის მონაცემების დამთხვევაზე.

საჭიროა გავიზაროთ, რომ ახალი კვლევითი ტექნოლოგია და გაადვილებული კომუნიკაცია ვერ შეძლებს შედარებითი მუსიკოლოგიის ავტომატურად მობრუნებას. საჭიროა მოვიცილოთ იდეოლოგიური ბორკილები, რომლებიც ხელს უშლის ჩვენი დარგის პროგრესს. საუბარი მაქვს არამარტო ეთნომუსიკოლოგიის პროგრესზე. დღევანდელი მეცნიერული საზოგადოება გაყოფილია, ერთი ნაწილი თავგანწირულად ცდილობს არ დაარღვიოს „პოლიტიკური კორექტულობის“ პრინციპები, გინდაც ეს სიმართლისა და მეცნიერული პროგრესის ხარჯზე მოხდეს. რაც შეეხება მეორე ნაწილს, მათი ბრძოლა კედელზე თავის რტყმას წააგავს.

მე ეს კარგად მაქვს გამოცდილი ჯერ კიდევ 1991 წელს, გერმანიაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც კოლეგებს ნადვილი თავზარი დაეცათ, როცა ჩემი არგუმენტები მოისმინეს მრავალხმიანობის და ფიზიკური ანთროპოლოგიის მონაცემების თანხვედრაზე. ამის შესახებ მე ბრუნო ნეტლთან მქონდა წლების შემდეგ საუბარი და, უნდა გითხრათ, რომ ამ მხრივ სასიამოვნო ძვრები შეინიშნება.

შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ ეთნომუსიკოლოგია წინ მიიწევს, ზოგიერთი სხვა დარგისგან განსხვავებით. მაგალითად, ენაბლუობის დარგის სპეციალისტებს დღემდე ვერ გაურკვევიათ, რატომაა აფრიკაში გაცილებით მეტი ენაბლუობა,

ვიდრე, მაგალითად, ევროპაში, ან აღმოსავლეთ აზიაში. მიუხედავად იმისა, რომ მე პროფესორ შერი რიისთან ერთად გავაკეთე მოხსენება ამის შესახებ, ოც წელზე მეტია ჩვენს მოხსენებას ჭიუტად არ აქცევენ ყურადღებას (რიისი & ჟორდანი, 2001).

უნდა გვახსოვდეს, რომ ტექნოლოგიური პროგრესი თავისთავად ვერ უზრუნველყოფს მეცნიერების პროგრესს. საჭიროა მეცნიერებაში მეფობდეს პოლიტიკური იდეებისგან, პოლიტიკური შეზღუდვებისაგან თავისუფალი ატმოსფერო. სამწუხაროდ, კაცობრიობის ტექნოლოგია გაცილებით უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე ეთიკურ-პოლიტიკური შეხედულებები. მეცნიერების თავისუფალი განვითარებისათვის კი აუცილებელია თავისუფლება ნებისმიერი პოლიტიკური დიქტატისგან.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუსიკის სფეროში, რადგან თანდათანობით მატულობს დადასტურება იმისა, რომ მუსიკას ჩვენი ტვინის გაცილებით უფრო ღრმა ფენები განაგებენ, ვიდრე ენა. დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეხსიერების ზოგადი დაქვეითების შემთხვევაში, მუსიკალური მეხსიერება ყველაზე დიდხანს ინახება. დღეს ისიც კარგად ვიცით, რომ მუსიკალური ინფორმაცია ინახება ჩვენს ე.წ. „რეპტილიის ტვინში“ ანუ იქ, სადაც საუბარია ცოცხალი არსების გადარჩენის მექანიზმებზე. მაშ, რატომ უნდა გაგვიკვირდეს, რომ იყოს კავშირი მრავალხმიანი მუსიკისა და ფიზიკური ანთროპოლოგიის სფეროებს შორის? ეს კავშირები, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ სათუთაა, მაგრამ ჩვენ არ უნდა ვუარყოთ ამის შესაძლებლობა იმ მიზეზით, რომ მსგავსი იდეები არ შეესაბამება ჩვენს იდეოლოგიურ-პოლიტიკურ შეხედულებებს.

მეცნიერება არ უნდა გრძნობდეს თავს იდეოლოგიურ-პოლიტიკური შეხედულებების შეზღუდვებში. რა თქმა უნდა, მეცნიერება შეიძლება ცდებოდეს, მაგრამ ის თავისი ძიების პროცესში თავისუფალი უნდა იყოს.

ვფიქრობ, ეთნომუსიკოლოგიას დღეს კარგი შანსი აქვს, რომ ამ მხრივ ახალი პერსპექტივები დაუსახოს მთელი რიგი მეცნიერების დარგებს და აჩვენოს, რომ მეცნიერებაში მხოლოდ „მეცნიერული კორექტულობის“ პრინციპი შეიძლება და უნდა ბატონობდეს.

---

*JOSEPH JORDANIA*  
(*AUSTRALIA/GEORGIA*)

## MANY FACES OF ETHNOMUSICOLOGY

During the 135 years of its existence ethnomusicology has been undergoing and is still undergoing a constant change. There were many reasons of these changes. Today I will discuss two of the prominent reasons: changes in political and ethical viewpoints, and the advances in technology.

### **1.Changes in Political-Ethical Views**

The initial aim of ethnomusicology was to study and systemize the musics of non-European peoples. It was these theoretical aims that created a fruitful basis for the wide use of the comparative methodology.

Deep understanding and details of compared cultures were not considered necessary nor feasible, so scholars did not trouble themselves with the enormous task of learning the languages of the compared cultures, or of organizing fieldwork, even brief projects. As a result, scholarly works from this period of the development of the discipline on one hand had an extremely wide vision of the problems, posing issues of tremendous theoretical depth, and at the same time, the methodological basis of these works was very shaky, and knowledge of the compared cultures suffered from the lack of many useful details.

For example, neither Siegfried Nadel, nor Marius Schneider, who were actively working on aspects of Georgian polyphony, ever visited Georgia, and for sure, it was never expected that they would learn the Georgian language or study an existing literature on Georgian language.

During this first period of development of ethnomusicology the most influential school was in Berlin, Germany. With truly a German diligence, those scholars utilized the situation created by the WWI, when the great number of nationalities gathered in Germany as prisoners of war. The recordings made by the Viennese and Berlin Phonogrammarchiv are of great scholarly value even today. In many cases, they represent the very first sound recordings from some cultures.

Unfortunately, this same period had given Germany the rise of questionable Nazi racial theories. It was believed, because of these theories in the 1920s and the 1930s, that various races had inborn differences in intellectual development and learning faculties. It was also believed that language was the central defining element of culture and race, and that there was a pre-determined genetic link between the language and music of a people.

Because of similar beliefs, for example, the rich polyphonic music of the North Caucasian Balkarians and Karachaevis were recorded as monodic melodies (by Balkarian musicologists themselves!), as they tried very hard to bring their Turkic language and related identity closer with their own musical traditions (this is the case for example, in Sheibler's several collections of Balkarian songs, all recorded as monophonic versions).

It is true that great Berlin school of comparative musicology played a major role in the development of our discipline and gave the world a generation of widely thinking scholars (among them Erich Moritz for Hornboŕstel, Alexander Ellis, Carl Stumpf, Curt Sax, and Marius Schneider), but their theoretical constructions had "clay feet" and crumbled as soon as WWII finished. By the way, WWII itself, with its racist attitudes and genocidal atrocities, became the main political reason

for the destruction of comparative musicology. Not only was comparative musicology outlawed, but also even the term “race” was found to be untenable for the contemporary development of the natural sciences, and the more neutral term “population” was substituted for “race.”

It was after WWII that the term “ethnomusicology” was widely used in its contemporary meaning. The study center of the discipline shifted from the ruins of Berlin to the thriving Los Angeles.

According to the new approach to the discipline, the demands of ethnomusicologists also changed completely. If a typical representative of the Berlin School of comparative musicology was an armchair scholar who was never expected to organize fieldworks, in the new doctrine ethnomusicologists were obliged to have fieldwork organized, and not only short-term field studies but also long-term studies for months, or even better for years, living in among representatives of the studied culture, learning their culture and language, and reading their literature on native language. Moreover, field studies had a different aim, not so much gathering materials as exploring the role of music in people’s lives.

With the introduction of the new methodology of study, ethnomusicology was completely transformed. First of all, spending prolonged periods of time in a single culture and the requirement to study the native language greatly limited scholars’ cultural viewpoint and range of interests. Scholars were able, as a rule, to establish close contact with a single culture and single language. Wide cross-cultural studies were completely out of reach.

This brought certain negative results as well, as ethnomusicology found itself cut off from any wide-ranging theoretical studies requiring cross-cultural perspectives. This tragic result was critically discussed by prominent ethnomusicologists (Bruno Nettl, Tim Rice). I remember very well when Tim Rice learned from me that Steven Brown and I were going to organize a special “comparative dinner” during the ICTM World Conference in Rio de Janeiro in 2001; he told me that when ethnomusicology refused any cross-cultural comparative research, they, in his words, had “thrown out the baby with the bath water.”

ყველაზე ხშირად ეს არის მუსიკოსების სმენითი “გაუგებრობები”, რომლებსაც მეხსიერებაში აქვთ ტემპირებული გამის ბგერები, პასუხისმგებელი მცდარ ინტერპრეტაციებზე, როდესაც ინტერვალების გაზომვა ცენტრებში ძალიან შორდება ოქტავის დაყოფას თორმეტ თანაბარ ნაწილად.

### 5. მიმოხილვა და დასკვნა

ყველა ინტერვალური სისტემის გასაგებად, კიდევ ერთხელ შევხედოთ ობერტონულ მწკრივს (სურ. 9). ყველაზე ტრადიციული მრავალხმიანი მუსიკა სტაბილიზდება ვერტიკალურად ობერტონული მწკრივის პირველ ინტერვალებზე: ოქტავა H1–H2; კვინტა H2–H3 და კვარტა H3–H4, “ჩარჩო” ინტერვალებზე, რომელთა საერთო ობერტონები ადვილად ისმინება და იზომება<sup>1</sup>.

მე-7 ობერტონი, რომლის არსებობა იგნორირებულია დასავლურ მუსიკოლოგიაში, თუმცა კი არის ჰიგმეებისა და ფლორესის დუეტების მუსიკის განუყოფელი ნაწილი, ორიენტირებულია ობერტონული მწკრივის სხვა ნაწილების, მაგალითად, არჩევანი მე-6 და მე-12 ობერტონებს შორის, სადაც ვხედავთ რომ კვარტას H6–H8<sup>1</sup>, აქვს შუალედური H7.

ვაგრძელებთ პროცესს და აღვნიშნავთ, რომ კვარტა H8- H12 შედგება კლების მნიშვნელობის მქონე 4 ინტერვალისგან: მაჟორული ტონი 9/8, მინორული ტონი 10/9<sup>1</sup>. და ორი სხვა, რომლებიც კიდევ უფრო მცირეა 11/10, და 12/11. ეს ინტერვალები გვხვდება რამდენიმე ტიპის მუსიკაში და, კერძოდ, ქართულ მუსიკაში. სურათი 10 გვიჩვენებს 2019 წელს ჩანერილი ლიტურგიკული გალობის დაბოლოების ანალიზს<sup>1</sup>, სადაც ორი საინტერესო მომენტი: ე.წ. “ნეიტრალური” ტერციისა და მცირე ინტერვალების არსებობა, რომელთა ინტერპრეტაცია რთულია მათი სიმცირისა და გაზომვის გაურკვევლობის გამო. თანმიმდევრობა ობერტონულად არსებობს 3/2 კვინტის სტაბილურ ინტერვალში A-დან B-მდე.

<sup>9</sup> ჩანანერი ნაგრაზე. ეს აკუსტიკური კვლევა იცებს არა მხოლოდ მხარდაჭერის ტექნიკური ხარისხით, არამედ ხელახალი ჩანერის მეთოდითაც, რაც იძლევა მრავალხმიანობის ცალკეულ ნაწილებზე წვდომის შესაძლებლობას. გვსურს მაღლობა გადაუხადოთ სიმჟა არომს მის არქივებზე წვდომის უფლებისათვის.

<sup>1</sup> ზოგიერთი, ტაივანის “ბუნუნის” მსგავსი ირჩევს ოქტავას, კვინტასა და მცირე ტერციას: იხ. Vu Rung Shun, 1996.

<sup>1</sup> ვარტის ციფრული გამოსახულება არის მის გარშემო არსებული ორი ჰარმონიული ციფრის კოეფიციენტი. ჩვენ მართლაც ვხედავთ, რომ თანაფარდობა 8-ის 6-თან იგივეა, რაც 4-სა 3-თან.

<sup>12</sup> Vu Rung Shun, 1996. კვარტის ციფრული გამოსახულება არის მის გარშემო არსებული ორი ჰარმონიული ციფრის კოეფიციენტი. ჩვენ მართლაც ვხედავთ, რომ თანაფარდობა 8-ის 6-თან იგივეა, რაც 4-სა 3-თან. ეს ორი ინტერვალი ერთად ქმნის ალორძინების ხანის მუსიკის რეგულირების რამდენიმე სისტემის ‘წმინდა’ დიდ ტერციას. იხ. Duffin (2006).

<sup>13</sup> თორნიკე სხიერელის ნამღერის ჩანანერი სიმჟა არომის სახლში 2019 წელს; ხელახალი ჩანერის ტექნიკა.

A-ში შუა ხმა კვინტას ანაწილებს ორ ინტერვალად: ძირითადი ტონი 9/8 და კვარტა 8/6.

B-ში შუა ხმა ქვევით ჩადის და კვინტა ნაწილდება ორ თანაბარ ინტერვალად, რომლებიც ჟღერენ, როგორც უცნაური ტერცია. ამ ორი ინტერვალის მნიშვნელობებია  $301.5/246=1.225$  და  $246/200.1=1.229$ . ამის ახსნა მარტივია. დიდ ტერციას 5/4 (აქ 10/8) და მცირე ტერციას 6/5 (აქ 12/10) შორის არის შუალედური/გარდამავალი ინტერვალი 11/9 ტერცია (ნეიტრალური ტერცია).

C-ში ზედა ხმა ჩადის დაბლა; დანარჩენი ორი ხმა ერთიანდება და პირველთან ერთად ქმნის ერთიან ნეიტრალურ ტერციას.

D-ში სამივე ხმა უნისონშია, მუსიკალურად ინაწილებენ საწყის კვინტას, რომელსაც ემყარება მცირე ტერცია (6/5) და დიდი ტერცია (5/4).

ეს მუსიკალური ნაწყვეტი სესხულობს ობერტონული ტრანშის 8/12 ინტერვალებს და შეიძლება ველოდოთ, რომ მცირე მელოდიური ინტერვალებიც იმავე სისტემაშია, რაშიც მკითხველსაც შეუძლია დარწმუნდეს.

ასეთი მელოდიური სიზუსტე შორს არის ციფრული ვარაუდებისგან, რომლებიც ბუნდოვანს ხდის ზოგიერთ წიგნს აკუსტიკის შესახებ. მათზე დაკვირვება შესაძლებელია სპექტრული ანალიზზე საერთო ობერტონების ძიების დროს და როგორც ჩანს, ახდენენ გამოთვლების ინტერპრეტაციას სისტემაში, რომელიც მათ ფარავს. უპირველეს ყოვლისა, ისინი ასახავენ ინსტრუმენტალისტებისა და მომღერლების განსაკუთრებულ ოსტატობას, რომლებიც წარმოადგენენ ათასწლოვანი ტრადიციის ნაწილს და რომლებიც ყურით ახდენენ კორექტირებას.

დიდი მადლობა ფრანკ კეინს ინგლისური თარგმანისთვის.

**თარგმნა მაია კაჭკაჭიშვილმა**

### **აუდიომაგალითები**

1. სიმჰა არომის პირადი არქივი, კოკოიანდონგო – 1979.11; ბილიკი 18; მომღერალი: ნდოლე.
2. შრომის სიმღერა მონაცვლეობით, XI. ვიეტნამი [ნუნგ ან] ლანგ ტრენ, საო ბანგის პროვინცია. „მსოფლიოს ხმები“ III N16, ადამიანის მუზეუმი, პარიზი 1996.
3. დანა რაპოპორტის პირადი არქივი; კუნძული ფლორესი; „თანჯუნგ ბუნგას“ რაიონი, 2007.

*MICHELE CASTELNGO*  
(FRANCE)

## A NEW APPROACH TO ANALYZING THE MUSICAL SCALES OF TRADITIONAL VOCAL POLYPHONY

There is a wide diversity of forms of oral tradition polyphonic vocal music. Each tradition has a sound identity that can be recognized by ear, because of the specific features of its interval organization and the combinations that result from its blending beats – as well as by the sound qualities of the voices themselves.

The research that we present here is based on the constant interaction between listening and spectro-temporal acoustic analysis, one questioning the other and vice versa<sup>1</sup>.

### 1. Some Remarkable Sound Characteristics of Traditional Polyphonic Music

Singing in the open air promotes vocal emission which is rich in harmonics. The sensation of a full sound is reflected in acoustic analyses by great spectral richness, up to 8000 Hz and more, thereby making it possible to seek high-level harmonic coincidences<sup>2</sup> (Fig. 1).

The second important point for our approach is frequency stability. As a „living“ musical instrument, the voice has an intrinsic short-term instability<sup>3</sup> visible in analyses, which we perceptively ignore because it is remembered as a characteristic of the vocal source. Without vibrato, the voices of traditional singers are most often perceived as being „straight“, and thus stable.

Long-term frequency stability allows us to compare the harmonic spectra over an entire piece. The stability that we observed in the singing of the Aka Pygmies is all the more remarkable because the group of singers includes all of the members of the encampment, with no distinctions (Fig. 2).

In other cases, the singers do not remain at the same pitch: they most often go progressively sharp, as we can see in the Vietnamese song (Fig. 3). This effect is not a drawback in our approach because the relative stability between the parts is maintained thanks to the common harmonics which constitute the musical frame of reference of a polyphonic piece.

### 2. The Notion of Common Harmonics in Melody

The notion of common harmonics is part of a long history, i.e. the use of proportions. Prior to the use of measurements which are expressed with respect to an absolute reference – the meter for lengths, the 440 Hertz tuning fork for frequencies – the common practice of engineers, architects, and stringed-instrument makers was based on the comparison and measurement of the **ratios** between the various quantities involved. The long history of Western music theory is based on comparisons of the length of strings producing the intervals of the musical scale: the ratio of 2 to 1 for the octave, the ratio of 3 to 2 for the fifth as seen from the numerous illustrations of musical treatises.

---

<sup>1</sup> It goes without saying that the technical qualities of the recording support should be taken into account before any acoustic measurements.

<sup>2</sup> Particularly with the Audiosculpt software (@Ircam) which offers numerous interactions between the visual representations coupled with tools for filtering and synthesis of the harmonic spectrum.

<sup>3</sup> Very short-term instability. Mentioned in the abstract, on the order of 25 cents (Kastelengo, 2015: 265, sound 6.5).

When violinists tune the *E* string to the *A* string, to tune the fifth interval between these two strings, they carry out a similar comparison operation by eliminating the beats due to the common harmonics: they unconsciously practice very precise arithmetic. The sound phenomena that occur during the combination of the two periodic sounds are clearly audible for musicians and visible on an acoustic analysis (Fig. 4a, 4b).

Let us consider for example the ascending fifth *A3–E4*. The two sounds have in common the *E5* which is harmonic 3 of *A3* and which is also the octave of *E4*. On a sonographic analysis in which the scale of frequencies is linear, the common harmonic of the two successive sounds is visible, and thus identifiable right away, with no calculation. Let us add that the precision is all the greater when the number of harmonics is large because the frequency difference increases with the rank of the harmonics<sup>4</sup>. In musical practice, however, the more the voices are rich in harmonics, the more the adjustment of the intervals is a perceptible effect taken into account by the singers, an effect that influences the overall perceived quality.

For the researcher, the method of visual evaluation of intervals by seeking common harmonics – which we have long practiced – sometimes involves surprises, as seen in Figure 5 (audio. 1).

This is a sonogram of a separated part of a polyphony recorded in re-recording by Simha Arom<sup>5</sup>. Three separated melodic segments appear against the backdrop of the rhythm (clapping). By numbering the harmonics starting from the lowest one (H1), we observe in the middle of the emission a horizontal coincidence between harmonics 7 and 8 of two successive sounds of the melody. Although the voice moves a little bit, it is statistically clear that it is indeed the vocal realization of the interval 8/7<sup>6</sup>. This interval is not found in Western culture. Let us add that the path of the horizontal line going through the two harmonics 8 and 7 allows us to estimate the inevitable instability of the voice – very low for this singer – while confirming that it is indeed the harmonic ratio 8/7, which occurs again in each segment of the song.

### 3. Common Harmonics in two-part Polyphony

As soon as two parts start singing simultaneously, their frequencies come together, producing various acoustic phenomena: beats, roughness, and differential sounds. Most often the parts are mixed in the recording and it becomes difficult to access the musical scale that they come from. We present here two examples of duets for which the spectrographic image offers new interpretation possibilities based on the observation of common harmonics.

#### 3.1. Traditional Song from Vietnam (Fig. 6, audio ex. 2).

The analysis of the duet of young boys is a good example of the diversity of musical situations in polyphony. In each of the four parts of the song we hear successively:

- a- The alternating entrance of each voice V1 and V2 in solo.
- b- The union of stable voice V1 and voice V2 which is close in frequency, evolving rapidly.

<sup>4</sup> For the common harmonics see: Kastelengo, 2015: 55, 401.

<sup>5</sup> This example is part of the research carried out with Susanne Fürniss on the study of the interval system of the Aka Pygmies based on sound archives constituted by Simha Arom from 1971 to 1986. The results are now in publication and will appear in a publication of the AAWM association.

<sup>6</sup> In the numerical expression of the intervals, it is customary to put the larger number in the numerator to obtain a result greater than 0.

c- The simultaneous stabilization of V1 and V2 on a fifth interval for four seconds.

d- The unison of the two parts on the preceding low sound for 14 seconds, interrupted by the rapid evolutions of voice 2.

The spectral analysis also reveals a remarkable sound achievement. The two singers obtain, through the controlled use of the two formant zones of the vowel [a], the reinforcing of harmonics 3 and 6 of the low sound, such that we hear the permanence of a fifth interval, even when the two voices are in unison<sup>7</sup>.

### **3.2. Example of a Traditional Duet of Singers from the Island of Flores (Lamaholot)**

(Fig. 7, audio ex. 3)

In this style of duets, the voices alternate between moments where they continue, making between them very small intervals, difficult to identify by ear, and moments of stability on an interval of the harmonic series or in a unison.

The control of the beats and the variable „roughness“ on the held notes is appreciated by the tradition bearers and is part of the mastery of the best singers, but the „score“ of each voice is practically impossible to extract because the intervals between the two parts are very small and of very short duration.

*It is the visual identification of the spectro-temporal analysis of a harmonic common to 13 occurrences of the same frequency which gave us the key for accessing the main underlying intervals and also the framework interval of ratio 7/5. This common harmonic, only 4 kHz from it (fig. 7) goes through harmonic 6 of the sounds indicated by numbers 1–7–11; it also goes through the harmonic common to the two sounds of the minor third chord 6/5: sounds number 2–5–8 and through harmonic 7 with a melodic uncoupling of one of the two parts in unison, visible at numbers 3, 4, 6, 9, 10, 12, 13.*

### **4. Polyphonies in 3 or More Parts: Example of Polyphony of the Aka Pygmies**

When listening to the sound example corresponding to Figure 5 (audio ex. 1), all musicians hear a major tone, „a slightly large one“, but acceptable with regard to the usual variability of vocal production, or because of the minor flaws due to the recording as can be observed with records.

But here, the technical quality of the recordings is not in question<sup>8</sup>. Our analyses attest to the reproducibility of the stability of the singers. Given that the musical structure is periodic, we can superimpose several realizations of the same segment by transparency. As we can see in Figure 8, the two singers have impressive reproducibility: all of the intervals, 9/8, 8/7, and 7/6 are perfectly controlled from one period to another.

Most often these are listening „misunderstandings“ of musicians who have in memory the sounds of the tempered scale which are responsible for erroneous interpretations when the measurements of intervals in cents move too far away from the division of the octave into twelve equal parts.

---

<sup>7</sup> The adjustment of the vocal formants on the harmonics of the sung sound is used in many vocal traditions. (Castelengo, 2015: 465–470).

<sup>8</sup> Recording on Nagra. This acoustical study benefits not just from the technical quality of the support, but also from the re-recording method which offers the possibility of accessing the separate parts of the polyphony. We would like to thank Simha Arom for giving us access to his archives.



## 5. Overview and Conclusion

To understand all interval systems, we must take another look at the harmonic series (figure 9). Most traditional polyphonic music stabilizes vertically over the first intervals of the harmonic series: the octave H1–H2; the fifth H2–H3 and the fourth H3–H4, „framework“ intervals of which the common harmonics are easily audible and measurable<sup>9</sup>.

The presence of harmonic 7, ignored in Western musicology although it is an integral part of Pygmy music and the duets from Flores, orients on the choice of the other parts of the harmonic series, such as that found between harmonics 6 and 12, where we see that the fourth H6–H8<sup>10</sup> [has as an intermediary H7. Continuing the process, we note that the fifth H8–H12 is composed of four intervals of decreasing value: the major tone  $9/8$ , the minor tone  $10/9$ <sup>11</sup>, and two others which are still smaller,  $11/10$  and  $12/11$ . These intervals are found in several types of music and in particular in Georgian music. Figure 10 shows the analysis of the coda of a liturgical chant recorded in 2019<sup>12</sup> which offers two remarkable points: the presence of the so-called „neutral“ third and small intervals which are difficult to interpret because of their smallness and the uncertainties of measurement.

The sequence is harmonically contained within a stable  $3/2$  fifth interval from A to B

In A, the middle part shares the fifth in two intervals, a major tone  $9/8$  and a fourth  $8/6$ .

In B, the middle part goes lower and the fifth interval is shared in two equal intervals which sounds like a strange third. The values of these two intervals are  $301.5/246 = 1.225$  and  $246/200.1 = 1.229$ . It is easy to interpret. Between the major third  $5/4$  (here  $10/8$ ) and the minor third  $6/5$  (here  $12/10$ ) there is an intermediary interval, the  $11/9$  third (neutral third).

In C, the top part goes down; the other two voices come together to form with the first a single neutral third.

In D, the three parts are in unison, musically sharing the starting fifth, which is underlying in harmony in a minor third ( $6/5$ ) and a major third ( $5/4$ )

This musical excerpt borrows the intervals of the harmonic tranche  $8/12$  and we can expect that the small melodic intervals are also within the same system, which the reader can verify.

Such melodic refinements are very far from the numerical speculations that encumber several books on acoustics. They are directly observable on the spectral analyses by the seeking of common harmonics and they are found to be interpreting the calculations in the system that covers them. Above all, they reflect the exceptional skill of the instrumentalists and singers who are part of a millennial tradition and who make adjustments by ear.

*Many thanks to Frank Kane for the English translation.*

---

<sup>9</sup> Some, like those of the „Bunun“ of Taiwan, chose the octave, the fifth and the minor third: see Wu Rung Shun, 1996.

<sup>10</sup> The numerical expression of the fourth is the quotient of the two harmonic numbers that surround it. We see indeed that the ratio of 8 to 6 is the same as 4 to 3.

<sup>11</sup> These two intervals together form the „pure“ major third of several tuning systems of the *Renaissance* music. See Duffin (2006).

<sup>12</sup> Recording of the singing of Tornike Shkiereli at the home of Simha Arom in 2019; re-recording technique.

### Audio Examples


1. S. Arom personal archive; kokoyandongo – 1979.11; track 18; singer: Ndole
2. Chant de travail alterné, xi; Viet-Nam [Nùng An] LangTrên, province de CaoBang. «Les Voix du Monde» III n°16, CNRS-Musée de l'Homme, Paris 1996.
3. Dana Rappoport personal archive; Flores Island; „Tanjung-Bunga“ district; 2007.

### References

- Castelengo, M. (2015). *Écoute musicale et acoustique*. Paris: Eyrolles.
- Duffin, R. W. (2006). Just Intonation in Renaissance Theory and Practice. *Society for Music Theory*, 12 (3), 1–16. <http://journals.openedition.org/ethnomusicologie/2604>
- Leipp, É. (1971). *Acoustique et musique*. Paris: Masson
- Rappoport, D. (2011). 5. To Sing the Rice in Tanjung Bunga (Eastern Flores), Indonesia 103 Dana Rappoport. In B. Abels (Ed.), *Austronesian Soundscapes: Performing Arts in Oceania and Southeast Asia* (pp. 103–132). Amsterdam: Amsterdam University Press. <https://doi.org/10.1515/9789048508112-008>
- Wu Rung Shun. (1996). *Tradition et transformation: le pasi but but, un chant polyphonique des bunun de Taïwan*. Nanterre: Thèse, Paris Nanterre University


**სურათი 1.** ქალისა და მამაკაცის სასიმღერო ხმის ორი ნიმუშის ანალიზი.

**Figure 1.** the analysis of two examples of men’s and women’s singing voices.




**სურათი 2.** 7'40" ზომის ფრაგმენტის სპექტროგრაფიული ანალიზი, რომელზეც სიმღერის ერთ-ერთი ხარისხის ნიშანი 0-ის მაჩვენებლის პარალელურია შესრულების დაწყებიდან დასრულებამდე.

**Figure 2.** The spectrographic analysis of a 7'40" piece on which a reference mark of one of the degrees of the song stays parallel with the reference 0 from the beginning to the end of the performance.



**სურათი 3.** ეს ეფექტი არ არის ჩვენი მიდგომის ხარვეზი, რადგან ნაწილებს შორის შედარებითი სტაბილურობა შენარჩუნებულია საერთო ობერტონების წყალობით, რომლებიც ქმნიან მრავალხმიანი ნაწარმოების ჩარჩოს.

**Figure 3.** This effect is not a drawback in our approach because the relative stability between the parts is maintained thanks to the common harmonics which constitute the musical frame of reference of a polyphonic piece.




**სურათი 4ა, ბ.** ხმოვანი მოვლენები, რომლებიც თავს იჩენენ ორი პერიოდული ბგერის შერწყმისას.


**Figure 4 a, b.** The sound phenomena which occur during the combination of the two periodic sounds are clearly audible for musicians and visible on an acoustic analysis

სურ. 4a

Fig 4a




სურ.4b  
 Fig. 4b




**სურათი 5.** ინტერვალების ვიზუალური შეფასების მეთოდი საერთო ობერტონების ძიებით ზოგჯერ სიურპრიზებს გულისხმობს.

**Figure 5.** The method of visual evaluation of intervals by seeking common harmonics sometimes involves surprises.




**სურათი 6.** ახალგაზრდა მამაკაცების დუეტის ანალიზი, ვიეტნამი.

**Figure 6.** The analysis of the duet of young boys from Viet-Nam.




**სურათი 7.** საერთო ობერტონის მხოლოდ 4კჰზ გაივლის 1-7-11 ციფრებით მითითებული 6 ბგერის ობერტონში; ასევე, გაივლის მცირე ტერციის 6/5 ბგერებისთვის საერთო ობერტონში: 2-5-8 ციფრებით მითითებულ ბგერებში და მე7-ობერტონში ორი ხმიდან ერთ-ერთის მელოდიური განცალკევებით, რომელიც ჩანს 3,4,6,9,10,12,13 ციფრებზე.

**Figure 7.** The common harmonic, only 4 kHz from it goes through harmonic 6 of the sounds indicated by numbers 1-7-11; it also goes through the harmonic common to the two sounds of the minor third chord 6/5: sounds number 2-5-8 and through harmonic 7 with a melodic uncoupling of one of the two parts in unison, visible at numbers 3, 4, 6, 9, 10, 12, 13.




**სურათი 8.** ორი მომღერალი შთამბეჭდავიმპროვიზაციას აკეთებს: ყველა ინტერვალი 9/8, 8/7 და 7/6 შესანიშნავად კონტროლდება ერთი პერიოდიდან მეორეში.

**Figure 8.** The two singers have impressive reproducibility: all of the intervals, 9/8, 8/7 and 7/6 are perfectly controlled from one period to another.




**სურათი 9.** ყველაზე ტრადიციული მრავალხმიანი მუსიკა სტაბილიზდება ვერტიკალურად ობერტონული მწკრივის პირველ ინტერვალებზე.

**Figure 9.** Most traditional polyphonic music stabilizes vertically over the first intervals of the harmonic series.



**სურათი 10.** გვიჩვენებს 2019 წელს ჩანერილი ლიტურგიკული გალობის დაბოლოების ანალიზს. თორნიკე სხიერელის ნამღერის ჩანაწერი სიმჰა არომის სახლში 2019 წელს; ხელახალი ჩანერის ტექნიკა.

**Figure 10.** The analysis of the *coda* of a liturgical chant recorded in 2019. Recording of the singing of Tornike Shkiereli at the home of Simha Arom in 2019; re-recording technique.





**მარინა დეპრისტოფორო (აგშ)  
ბაღონა ჩაბგელიანი (საქართველო)**

**„და, თქვენს მიკროავტობუსს კარგი მგზავრები ჰყავდას“:  
სვანეთის „გულამ გაბრიელის“ დღესასწაულის  
ლოცვები, სიმღერები და რიტუალები**

**წინასიტყვაობა**

წინამდებარე სტატია ეძღვნება „გულამ გაბრიელის“ დღესასწაულს, რომელიც აღინიშნება საქართველოში, კერძოდ, ზემო სვანეთში. ეს არის დღესასწაული მთავარანგელოზ გაბრიელის სახელობის ტაძრისა, რომელიც მესტიის მუნიციპალიტეტის ბეჩოს თემის ერთ-ერთ სოფელში – გულში მდებარეობს (აქედან მომდინარეობს მისი სვანური სახელიც – „გულამ გაბრიელ“, ქართულად „გულის გაბრიელი“) უშბის მთის ძირში. ისევე როგორც სვანური დღესასწაულების, სიმღერებისა და რიტუალების უმრავლესობის საწყისები, „გულამ გაბრიელის“ ძირებიც, სავარაუდოდ, წინაქრისტიანულია, მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები კი მიეკუთვნება იმ პლასტს, რომელსაც წერედიანი, ტუიტი და ბუხრაშვილი (შემდგომ წტ) „ხალხურ ქრისტიანობას“ უწოდებენ (2018: 49).

კონკრეტულად ამ დღესასწაულისადმი მიძღვნილი საარქივო თუ თანამედროვე მასალა, ძალიან მწირია. შევეცდებით წინამდებარე ნაშრომით შევაგვოთ ეს დანაკლისი.<sup>1</sup> სტატიის მიზანია დავხატოთ ისტორიული და თანამედროვე წეს-ჩვეულებების ფართო სურათი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კონტექსტში და წარმოგიდგინოთ ჩვენი 2021 წლის სავლელ დაკვირვებების მოკლე ანალიზი.

**„გულის გაბრიელის“ ტაძარი**

გულის გაბრიელ მთავარანგელოზის ტაძარი, თავისი უნიკალური მოხატულობით, XI საუკუნისაა. ისევე როგორც მთელ საქართველოში, სვანეთშიც ტაძრებს ადგილების სახელებს არქმევდნენ (მაგ.: გულის გაბრიელი, თანლილის მთავარანგელოზი, მხერის მთავარანგელოზი, უშგულის ლამარია და ა.შ.). თუმცა, სვანეთში ეს გაცილებით მაღალ ხარისხშია აყვანილი და ამა თუ იმ ადგილზე მდგარი ტაძრების გასულიერება-გაადამიანურება ხდება. ამას მოწმობს თქმულებები და ლეგენდები, რომლებშიც ტაძრებს ისეთივე დამოკიდებულება და „ურთიერთობა“ აქვთ ერთმანეთთან, როგორც ცოცხალ ადამიანებს.<sup>2</sup>

1935 წელს ეთნოგრაფ ევდოკია კოჟენიკოვას ჩაუწერია ასეთი ლეგენდა „გულის გაბრელზე“: „გულის გაბრიელი დამიქაელ მთავარანგელოზი ძმები ყოფილან. ერთხელ მლოცველს მისთვის ცხვარი შეუწირავს. „გულის გაბრიელს“ დაუმალავს ძმისთვის ცხვრის თავი და საკუთრად დაუტოვებია. მიქაელ მთავარანგელოზი მიუხვდა ძმას და შეუძახა: ჰე გაბრელ! შენ იყავი აწი ყველა არეული ტვინის დამლაგებელი და შენი სახელი ერქვას იმ ცუდ ზნეს, რაც ადამიანს ტვინს აურევსო“. მართლაც, „გულის

<sup>1</sup> წყაროები სვანური მითოლოგიისა და რიტუალების შესახებ, ასევე, მოსაზრებები ე.წ. „ხალხური ქრისტიანობის“ შესახებ, რაც, უდავოდ, სასარგებლო იქნება შედარებითი შესწავლისა და უფრო ღრმა ანალიზისათვის მომავალში, თავმოყრილია შემდეგ ნაშრომებში: შარაშიძე (1968), ჩართოლანი (1961), ფორცხელანი (1999), წერედიანი (2005), ტუიტი (2006, 2004), მუჟვანაძე (2018) და სხვ.

<sup>2</sup> ამ მხრივ, საინტერესოა ლეგენდა მხერის მთავარანგელოზის ტაძარზე, რომელმაც, ღენაშთან (იონა წინასწარმეტყველის ტაძარი) შეჯიბრის შედეგად მოიპოვა ადგილი მხერის მთაზე. აღნიშნული ლეგენდა 80 წლის ფიადორ წერედიანისგანაა ჩაწერილი და საარქივო მასალებითაც დასტურდება.

გაბრიელს“ განსაკუთრებით ავედრებენ ეპილეფსიურ და ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანებს.

გულის გაბრიელ მთავარანგელოზის ტაძრის მეკლიტული ოდითგანვე გოშუანის გვარი ყოფილა და მას ევალება დღეობის მასპინძლობა დღესაც.

### რიტუალები და წეს-ჩვეულებები

სვანეთში კვირის თითოეულ დღეს საკრალურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ცალკეული ღვთაებებისა თუ წმინდანების სახელებს უკავშირებდნენ, რაც თითქმის ყველა ეთნოგრაფიული თუ ისტორიული ცნობით დასტურდება. ამ საკითხის განხილვას საგანგებო ყურადღება ეთმობა ნ. წერედიანის სადისერტაციო ნაშრომში, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი თითოეული ღვთაებისა (წმინდანის) და მასთან დაკავშირებული კვირის დღის ფუნქცია და მნიშვნელობა (წერედიანი, 2004: 234–239) (სურ. 1). „გულის მთავარანგელოზის“ დღედ სვანები სამშაბათს მიიჩნევენ, მისი დღესასწაული კი წელიწადში სამჯერ – კვირაცხოვლობის (სვანურად „უფლიშის“ ან „ხოშა თანაფის“) მომდევნო სამ სამშაბათს აღინიშნება ბეჩოს თემის სოფელ გულში (ნიჟარაძე, 62 :1962).

დღესასწაულზე ტაძარში მხოლოდ მამაკაცები დაიშვებიან. ლოცვა იწყება დილიდან; ტაძარში დგას 3 ან 5 მლოცველი მამაკაცი, რომლებიც ერთდროულად იწყებენ ლოცვას და ერთადვე ამთავრებენ. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანი სხვადასხვა ტექსტს ამბობს, ლოცვა სრულიად ჰარმონიულად ჟღერს (სურ. 2). შესაძლოა, ასეთი ლოცვა ყოფილიყო გალობის პირველწყარო. ეკლესიაში რიტუალის დასრულების შემდეგ, პროცესია სპეციალური საგალობლის მღერით გარეთ გამოდის. ბოლოს გამოსულ მამაკაცს ხელში რახით (ადგილობრივი ძლიერი ალკოჰოლური სასმელი) სავსე თასი უჭირავს. გალობით ტაძრის ირგვლივ შემოვლის შემდეგ, რიტუალის ყველა მონაწილე რახის თითო ყლუპს შესვამს. შემდეგ იწყება ფერხული და ცეკვა-თამაში.

როგორც წესი, შესაწირ საქონელს ტაძარში ან მის შემოგარენში არ კლავენ. სამკვეთლოში შესაბამის ლოცვას აღავლენენ, ზვარაკს შუბლზე სანთელს მიუთებენ, შემდეგ სამჯერ ძალიან სწრაფად დაატრიალებენ და თან ავადმყოფის სახელს იმეორებენ. ცნობილია, რომ სვანეთში როცა ვინმეს ეპილეფსია ემართებოდა, მას საკუთარი სახელით არ მიმართავდნენ. მაგალითად, თუ ეპილეფსიით დაავადებულს გიორგი ერქვა, მას გამოსაფხიზლებლად შესძახებდნენ: „გაბრიელ, გონს მოდი!“.

გადმოცემა, რომელიც „გულის გაბრიელს“, როგორც მკურნალს ახასიათებს, 2012 წელს გაგვიზიარა ლატალის სოფელ ივხის მცხოვრებმა 85 წლის დივო გვიჩიანმა: „აქ, ძირითადად, ვისაც „მაითა მაზიგ“ (თავის ტკივილი და სულიერი აშლილობა) აწუხებს, ისინი მოდიან. დიდება მის სახელს. გულში ზემოთ 2 კილომეტრი უნდა იარო, ძალიან დიდი აღმართი და ცუდი გზაა. ჩემი ძმა გვყავდა შარშან – თენგიზს ჰქონდა პრობლემები. სანამ ახვალ არყის ხის ტოტებისგან საბელი უნდა გააკეთო და ყელზე შეაბა ავადმყოფს, მერე ამ საბელს ხელს მოჰკიდებს მისი პატრონი და ასე აიყვანს ზემოთ. ეს საბელი ეკლესიის შესასვლელში „ლადაბში“ (სამკვეთლო)<sup>3</sup> უნდა მოხსნან და დატოვონ. თუ ავადმყოფი არ აირია, მაშინ ხელახლა უნდა ამოიყვანო. თუ აირია და დუჟი მოერიო, ან რამე სიგიჟე გამოავლინა, მაშინ დიდება გულის

<sup>3</sup> როგორც წერედიანი, ტუიტი და ბუხრაშვილი აღნიშნავენ, „სვანური საეკლესიო არქიტექტურის ერთ-ერთი განსაკუთრებული თავისებურებაა ტაძარზე ერთი ან რამდენიმე დამატებითი ოთახის მიშენება, რომელთაგან გვერდითი ფრთის ერთ-ერთი ოთახი გამოიყენება სამზარეულოდ, სადაც ქალები დღემდე აცხობენ შესაწირ ნალოც პურებს“ (50 :2018).

გაბრიელს, უნდა შესწირო საკლავი. სამკვეთლოში დატოვებული საბელით შეწვავენ გულ-ღვიძლს და ავადმყოფს ეშველება. იმ დღეს უამრავი საკლავი იკვლება, სავსეა იქაურობა და უკან არაფერი მოაქვთ. მე არ მინახავს შიგნით, კარგი მოხატულიაო, მაგრამ ქალებს არ უშვებენ. თენგიზს ამის მერე არაფერი ანუხებს. დიდება გულის გაბრიელს“ (ჩაინერა მ. ჩამგელიანმა).

### **საველე დაკვირვებები**

როცა გულში დღესასწაულზე დასასწრებად ჩავედით, ლოცვა უკვე დაწყებული იყო. ჩვენ შერეულ ჯგუფს წარმოვადგენდით, რომელიც აერთიანებდა სვანებს, საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებს და უცხოელებს. ყველა ჩვენგანი ხალხური სიმღერით იყო დაინტერესებული. საკმაოდ მძიმე საგზაო პირობებისა და, განსაკუთრებით, ბოლო ციკაბო აღმართის გამო, ხალხის უმრავლესობა ამ გზას ფეხით გადის. ბერძნული პეიზაჟი, საიდანაც იშლება ერთ-ერთი საუკეთესო ხედი უშბაზე, გასაოცარია, განსაკუთრებით, თბილ და ნათელ დღეს, როგორცაა დაემთხვა ჩვენი მოგზაურობა (სურ. 3).

წინა საღამოს ჩამგელიანების ოჯახის ქალებმა (სოფელი ლახუშდიდან), თითოეულ ჩვენგანს გამოუცხვეს ნალოცი პურები („ლემზირები“), რომლებიც ჩვენ მეორე დღეს გულის მთავარანგელოზის ტაძრის შიგნით მყოფ მამაკაცებს გადავცით, რომ დაველოცეთ. რამდენადაც ტაძარში მხოლოდ კაცები დაიშვებოდნენ, ჩვენ (სტატიის ავტორები) გარეთ ვიდექით. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, სვანთა რიტუალურ სივრცეში დადგენილია როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა ტერიტორიები, თუმცა, ქალთა მოძრაობის საზღვრებს კერძო შიდა სივრცესა და რიტუალურ გარე სივრცეს შორის, თემი ადგენს“ (ნტბ, 2018: 62). ჩვენ შემთხვევაში, სვანი ქალები ჩვენი ჯგუფიდან ამზადებდნენ ლემზირებს, გადასცემდნენ მათ მლოცველ მამაკაცებს; შეეძლოთ მდგარიყვნენ რიტუალურ სივრცეში, მხოლოდ – ტაძრის გარეთ; ეკრძალებოდათ ტაძარში შესვლა და მონაწილეობა მსხვერპლშენიშვაში (სურ. 4). ჩვენი ჯგუფის წევრ მამაკაცებს კი, განურჩევლად წარმომავლობისა, მიეცათ ტაძარში შესვლის უფლება (მით უფრო, რომ მათ ჰქონდათ ჩამწერი აპარატურა, რაზეც წინასწარ გვქონდა შეთანხმება). მართალია, ჩვენ ქალები ბევრს ვერაფერს ვხედავდით, გვესმოდა განუწყვეტელი ლოცვები. ტაძარში მყოფი მამაკაცები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოთქვამდნენ ლოცვებს, თუმცა, მათი ხმები არ ირეოდა ერთმანეთში და არ ქმნიდა კაკაფონიას, არამედ საოცრად ჰარმონიულად ჟღერდა და პატარა სამლოცველოს კედლებში ნამოგზაურები, მოგედულად აღწევდა ჩვენამდე.<sup>4</sup> ლოცვა უწყვეტად გრძელდებოდა, სანამ ხალხის ნაკადი მიედინებოდა ტაძრისაკენ და ნალოც პურებს აწვდიდა მლოცველებს. „ხოჩა პასაჟირალ“! („კარგი მგზავრები გყოლოდეს“) – მოულოდნელად გავიგონეთ ტაძრიდან მამაკაცის ხმა, რომელმაც, როგორც ჩანს, მიკროავტობუსის მძღოლისაგან მიიღო შესაწირი. მლოცველმა მამაკაცებმა ჩვენც გვკითხეს სახელები და ილოცეს ყოველი ჩვენგანისთვისაც.

ლოცვის რიტუალის დასრულების შემდეგ დადგა ქეიფისა და ცეკვა-ფერხულის დრო. თავდაპირველად, მამაკაცებმა რახით დალოცეს სადღესასწაულო სუფრა და სანამ ჯერ კიდევ ტაძარში იმყოფებოდნენ, დაიწყეს სიმღერა „დიდებათა“ („დიდება მთავარანგელოზებს“), რომლის თანხლებით სათითაოდ გამოდიოდნენ ტაძრიდან ხელიხელ ჩაკიდებულები. ბოლოს გამოსულს ხელში რახით სავსე თასი ეჭირა, რომლიდანაც მოგვიანებით ყველას შეასვა თითო ყლუპი (სურ. 5).

<sup>4</sup> ჩვეულებრივ, ლოცვითი ფორმულები მოიცავს ტექსტს: „დიდაბ აჯხად“ – „დიდება შენდა“ ან „დიდაბი ლეხედ“ – „დიდების მოსვლა“ (იხ. ასევე ნტბ, 2018)

კაცებმა ფერხულით შემოუარეს ტაძარს და გავიდნენ მინდორზე, სადაც უკვე გაშლილი იყო სუფრა და უნდა გაგრძელებულიყო ქეიფი. დანარჩენი ხალხი, ვინც არ ყოფილა ტაძარში და უკვე ილხენდა, შეუერთდა ფერხულს. ამის შემდეგ იმღერეს „ჰარირა“, საზეიმო საცეკვაო სიმღერა, რომელიც სვანეთში ცნობილია როგორც „ლიმლდანი“<sup>5</sup> (სურ. 6). მართალია, მუსიკალურად ეს სიმღერა „ჰარირას“ სხვა ვარიანტებს ჰგავდა, ტექსტი საგანგებოდ ამ დღესასწაულისთვის იყო შერჩეული: „დაე, გულის მთავარანგელოზმა გაბრიელმა დაგვლოცოს დღეს ყველა აქ მყოფი!“<sup>6</sup> სიმღერისა და ტაშის გააქტიურებასთან ერთად რამდენიმე ხანში შესული მამაკაცი შევიდა მომღერალთა ნახევარწრის შუაში და ცეკვა დაიწყო.

მთის ფერდობზე რამდენიმე მამაკაცი სამსხვერპლო ბატკანს ამზადებდა: ცხოველი ტაძართან მოიყვანეს, შუბლზე სანთელი მიაკრეს, სამჯერ დაატრიალეს და ისევ მთის ფერდობზე წაიყვანეს სამლოცველოსგან მოშორებით. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივები საკმაოდ გაერთნენ სუფრაზე და საქეიფო განწყობაზე დადგნენ, ჩვენი – ეთნოგრაფებისა და ეთნომუსიკოლოგების ჯგუფის იქ ყოფნამ, კამერებითა და ხმის ჩამწერებით, უბიძგა მათ შეესრულებინათ კიდევ რამდენიმე სიმღერა. თუმცა, ვინც ტექსტიც გაიხსენა და მელოდიაც, ძირითადად, მოხუცები იყვნენ. შემდეგ მათ სთხოვეს სიმღერა ჩვენი ჯგუფის მომღერლებს, რაზეც თანხმობა მიიღეს. დაკლული ბატკანი უკვე ცეცხლზე იწვებოდა, სმა-ჭამა და, შიგადაშიგ, სიმღერა კი საათობით გაგრძელდა.

### მსჯელობა და მოკლე ანალიზი

ლეგენდებით, ისტორიულ მონაცემებითა და თანამედროვე დაკვირვებებით ცხადი ხდება, რომ „გულის გაბრიელის“ დღესასწაული მნიშვნელოვანია ბეჩოელებისთვის, მაგრამ ისევე როგორც ბევრ ტრადიციულ დღესასწაულზე, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოშიც, აქცენტი გადატანილია სმა-ჭამაზე და არა ისეთ ხალხურ ჩვეულებებზე, როგორებიცაა სიმღერა და ცეკვა. ეს უკანასკნელნი მნიშვნელოვანწილად სცენაზეა გადატანილი და აღიქმება როგორც „წარმოდგენა“ და არა როგორც „წეს-ჩვეულება“.<sup>7</sup> ჩვენთან მოსაუბრეებმა აღნიშნეს, რომ ხშირად აღარ მღერიან, თუმცა, წამახალისებელ გარემოებებში მზად არიან ამისთვის. ამასთან, ლოცვის ტექსტი, რომლითაც მლოცველი კარგ მგზავრებს უსურვებს მიკროავტობუსის მძღოლს, ასევე, წყალობის გამოთხოვა ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად ცხადყოფს რიტუალების მორგების ტენდენციას თანამედროვე სიტუაციებთან. უცხოების – არა ტურისტების, არამედ მკვლევრების – სტუმრობამ განაპირობა სიმღერებისა და ცეკვების დემონსტრირების მოთხოვნილება, რაც, შესაძლოა, კამერის ფაქტორმა განსაზღვრა – შემსრულებლებს იმედი ჰქონდათ, რომ მათ ჩანაწერს ტელევიზიით აჩვენებდნენ.

გარკვეულწილად შეიძლება ითქვას, რომ სვანური დღესასწაულების უმრავლესობა ინერციით აგრძელებს არსებობას, ზოგიერთი კი (მაგ.: ლიფანალი ამ ლიმპარი) პოპულარობას ინარჩუნებს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ფართოდ შესწავლის საგანია, არამედ უცხოელთა ინტერესის გამოც. ხშირ შემთხვევაში

<sup>5</sup> მსჯელობა სემანტიკურ და ასემანტიკურ ტექსტებზე სვანურ სიმღერებში, იხ. მჟავანაძე და ჩამგელიანი (2018, 2016).

<sup>6</sup> გაბრელ ხუაი ლადი ლადალსუ გუაჰი, ნაი ამჩუ მერდე მარეს.

<sup>7</sup> ეს ორი ცნება არ გამოირიცხავს ერთმანეთს: აქ იგულისხმება, რომ წეს-ჩვეულება ხშირად იყინება და ინახება, მხოლოდ, როგორც წარმოდგენა, რამდენადაც ის გამოდის პრაქტიკის საზღვრიდან და დადგმითი ჩვენების სახეს იღებს.

სწორედ ეს განაპირობებს ამ რიტუალების რეკონსტრუირებას (კაგანოვა, 103 :2021), ან გადაქცევას „სპექტაკლად ტურისტებისთვის“, რომელიც აღწერილი აქვთ წერედიანს, ტუიტსა და ბუხრაშვილს (წტბ, 2018: 63). საქართველოს დამოუკიდებლობასთან ერთად ორთოდოქსული ეკლესიის აღდგენამ, ასევე, სვანეთის ტურისტულ ზონად გამოცხადებამ და მის განვითარებაში ინვესტიციების ჩადებამ, გავლენა იქონია აქაურ რიტუალებსა და მათ შენარჩუნებაზეც. ამ ფაქტს დასახელებული მკვლევრებიც აღნიშნავენ, განსაკუთრებით, დღესასწაულებთან დაკავშირებით. მათი სიტყვებით: „რიტუალების ადგილობრივი აღმსრულებლები, რომლებმაც 1991 წლიდან კონტროლი მოიპოვეს ამ პროცესზე, 24 წლის შემდეგ პირდაპირი მნიშვნელობით გამოდევნილები აღმოჩნდნენ ტურისტული ჯგუფების მიერ, მაშინ როცა მართლმადიდებელი მღვდლები ღვთისმსახურებას ატარებდნენ ტაძრებში“ (წტბ, 2018: 63)<sup>8</sup>.

„გულის გაბრიელის“ დღესასწაული ერთ-ერთი იმათგანია, რომელიც ძველებურად კონტროლდება რიტუალების ადგილობრივი აღმსრულებლების მიერ, ტურისტებისა და ოფიციალური პირების გარეშე. ამას, რასაკვირველია, დადებითი მხარეც აქვს და პრობლემებიც ახლავს: ერთი მხრივ, რიტუალების აღსრულების პრაქტიკის გადაცემა მომავალი თაობისათვის ორგანული პროცესია, მეორე მხრივ კი, ამას მივყავართ სვანური სიმღერებისა და ცეკვების დავინყებასთან, რომლებიც ადრე რიტუალების განუყოფელი ნაწილი იყო. ამასთან, მემკვიდრეობის შენახვის დისკურსი, რაც უმნიშვნელოვანესია სვანეთისთვის და მისი სტატუსისთვის UNESCO-ს პროგრამაში (Applis, 2020), არსებით როლს ასრულებს ისეთი დღესასწაულების პოტენციურ მომავალში, როგორცაა გულის გაბრიელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძრის დღესასწაული<sup>9</sup>. როგორც ჩანს, ასე თუ ისე რაღაც უთუოდ მაინც დაიკარგება. საქმე მხოლოდ ისაა, ვინ წყვეტს, რა შეიძლება იყოს ეს.

## **თარგმნა მაკა ხარძიანმა**

<sup>8</sup> იხ. წერედიანი, ტუიტი, ბუხრაშვილი (63 :2018) სიტუაციის სრულად წარმოდგენისთვის. მეც განვიხილავ მსგავს ფენომენს ჩემს სადოქტორო დისერტაციაში. იხ. კაგანოვა (97 :2021–159).

<sup>9</sup> ამ სტატიაში საკმარისად ვერ ჩავუღრმავდით კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების პრობლემას. შესაძლოა, ამ თემის უფრო დეტალური დამუშავების პროცესში, მომავალში, აღნიშნული პრობლემაც მოვიცვათ. შესაბამისი კონტექსტი და ამჟამინდელი დისკურსი იხ. Bendix, Eggert, and Peselmann (2012); Bithell (2014) – ამ ნაშრომში კონკრეტულადაა განხილული ქართული მუსიკის აღორძინება; Coombe and Weiss (2015) Kirschenblatt-Gimblett (1995, 2004); Meskell (2018); Timothy and Boyd (2006); Tsitsishvili (2009) – რომელშიც განხილულია ქართული პოლიფონია და UNESCO-ს მემკვიდრეობის პროგრამა და სხვა.

*MARINA DECRISTOFORO (USA)*  
*MADONA CHAMGELIANI (GEORGIA)*

**“AND MAY YOUR MARSHRUTKA HAVE GOOD PASSENGERS”:  
PRAYERS, SONGS, AND RITUALS OF THE SVAN FEAST DAY OF GULA GABRIEL**

**Preface**

The present paper focuses on the celebration of the feast day of Gula Gabriel, practiced in Upper Svaneti, Georgia. Traditionally celebrated three times a year, on three Tuesdays after Easter, Gula Gabriel is the feast day of the ancient shrine of Archangel Gabriel, located in Gul (hence the name “Gula Gabriel”), in the community of Becho, near the slopes of Ushba. As with many Svan feast days, songs, and celebrations, the roots of Gula Gabriel are likely pre-Christian, and the associated practices fall into what Tserediani, Tuite, and Bukhrashvili (from here on TTB) designate as “folk’ Christianity” (2018: 49). There is little archival and contemporary material concerning this particular Svan feast-day, and we hope to partially fill the lack of data.<sup>1</sup> This paper aims to present a preliminary, broad picture of the historical and contemporary practices, offering some historical ethnographic context, as well as an account and brief analysis of our field observations in 2021.

**The Shrine of Gula Gabriel**

The church of the Archangel Gabriel in Gul, Svaneti, dates back to the XI century. The unique frescoes found inside this small shrine belong to the same period. It is worth noting the fact that in Svaneti, the spot where the church now stands has always been given great spiritual significance. Legends and tales confirm that not only this particular sacred space but shrines in general, were personified. This personification was expressed not only in their names (eg: Gulash Gabriel, Tanghil Church of the Archangel, Mkheri Church of the Archangel, Ushguli Lamaria, etc.), but was also reflected in the stories associated with them. In some of these legends, the shrines even compete with each other.<sup>2</sup> It is true that similar church-naming practices exist everywhere in Georgia, but in Svaneti, they are taken a step further: according to Svan mythology, shrines can have similar sorts of “relationships” with each other as living people. In some cases, the shrines are brothers to each other, and sometimes they fight each other. In 1935, ethnographer Evdokia Kozhevnikova recorded a legend about Gula Gabriel: “Gula Gabriel and Archangel Michael were brothers. Once, Gula Gabriel hid the head of a sacrificed sheep from his brother and kept it for himself. Archangel Michael was on to his brother, and called out to him, “Hey Gabriel! You are the one to set confused minds right. And the bad temper that so wrecks the mind will carry your name”. And so, Gula Gabriel is especially prayed to by people with epilepsy and mental illness. For this, a yoke made of birch branches is tied to the sick person and taken to the shrine.

---

<sup>1</sup> A sampling of sources on the topic of Svan mythology and rituals in general, and discourse on ‘folk’ Christianity, that are sure to be useful for future comparative study and deeper analysis includes: Charachidze (1968), Chartolani (1961), Pirtskhelani (1999), Tserediani (2005), Tuite (2004, 2006), and Mzhavanadze (2018), among a number of others.

<sup>2</sup> One example of this is the legend about the Mkheri Church of the Archangel, which won a place on Mkheri Mountain as a result of a competition with Uenash (Shrine of the Prophet Jonah) This legend was written down by 80-year-old Fyodor Tserediani and is confirmed by archival materials.

The current key-keepers of this church are the Goshuani family, and it is thus their responsibility to host the feast-day celebrations.

### Rituals and Customs

During the feast day, only men are allowed inside the church. The prayer starts in the morning, with several men (3–5) standing in the church and starting to pray harmoniously (Fig. 1) Though they start and end together, they all say different texts this type of prayer could indeed be one of the origins of chanting. After the prayer, the men exit in a procession, singing a hymn, with a bowl full of *rakhi* (local hard alcohol) in hand. They finish singing in a circle and pass the bowl around for each participant to take a ritual drink. Then round dances and games begin.

Gula Gabriel is celebrated three times a year, on three Tuesdays after Easter. In the Svan tradition, to praise or pray to any shrine and deity, the rite is generally performed several times a year, in different ways. This is also the case with the shrine of Gula Gabriel. Each day of the week is associated with the name of a particular saint or deity: Tuesday is considered the day of Gula Gabriel. According to B. Nizharadze, the first week of Easter (aka St Thomas' Sunday) festival is known as *Uplish* or *Khosha Tanaf* and used to last for 3 weeks (Nizharadze, 1962: 62). In the Becho commune, this day is called the day of Archangel Gabriel. For Svans, Archangel Gabriel is a deity who heals spiritual diseases, and therefore, the worshipers would ask him for healing. Almost all ethnographic and historical sources indicate that giving sacred significance to individual days of the week and connecting them to the name of this or that saint or deity carries great importance. Special attention is paid to the consideration of this issue by N. Tserediani in her thesis, which describes in detail the function and meaning of each deity (saint) and the day of the week intended for them (Tserediani, 2005: 234–239) (Fig. 2).

In addition to the fact that a ritual to bless the Archangel's shrine at Gul was performed within the framework of a larger holiday cycle, the feast day of the church, as we mentioned, is celebrated three times a year. As a rule, sacrificial offerings are not slaughtered in the church or its immediate surroundings. First, a prayer is recited in the church, and a candle is put on the sacrificial animal's forehead. Then, it is quickly spun three times, while the name of the sick person is repeated. Notably, in Svaneti when someone had an epileptic seizure, they were not addressed by their first name: for example, if the epileptic's name was Giorgi, they would nonetheless shout, "Gabriel, come to your senses!" to get him to come to.

The following account of the healing aspect of Gula Gabriel was related to us in 2012 by Divo Gvichiani in Latali:

Mainly those who suffer from *maita mazig* (headaches and mental disorders) come here. Glory to Gula Gabriel! You have to walk 2 kilometers up there, and the road is very steep and bad. We had my brother last year, Tengiz, who had problems. Before you go up, you should make a yoke from the branches of a birch tree and tie it around the sick person's neck, then, on the day their guardian, will take this yoke by the hand and lead them up. This yoke should be removed and left in the "lad-bäsh" (outbuilding)<sup>3</sup> at the entrance of the church. If the patient is not disturbed, then it [the prayer/

<sup>3</sup> As Tserediani, Tuite, and Bukhrashvili (2018: 50) explain, "One distinctive feature of Svan ecclesiastical architecture is the inclusion of one or more rooms adjoining the church proper. One of the side wings attached to the church serves as a kind of kitchen, where, until recently, women baked the bread to be presented as offerings in the sanctuary on portable hearths".

ritual – ed.] didn't work, and they have to return again. If they do become disturbed or show some kind of craziness, then Glory to Gula Gabriel, and you have to make a sacrifice. The innards of the animal are put on the yoke [as on a spit – ed] and roasted, and that's how it helps. On that day, a lot of sacrificial animals are slaughtered, the place is full and nothing is brought back. I have not seen inside the church, they say it is nicely painted, but women are not allowed inside. Nothing bothered Tengiz anymore after that. Glory to Gula Gabriel! (Transcribed by Madona Chamgeliani)

### Fieldwork Observations

When we arrived in Gul for the feast day, the prayers inside the church were already underway. We were a mixed group of Svans, Georgians from other regions, and foreigners, all with ties to the folk singing world. The road conditions on the way are rough, and the last part of the way up is particularly unfriendly for vehicles – most people simply hike up. The scenery of the Becho valley, which affords some of the best views of Ushba, is rather stunning, especially on a clear warm day, like the one when our journey took place (Fig. 3) The previous night, special offering bread (*lemzir*) was baked by the women of the Chamgeliani family (from vil. Lakhushdi), one for each of us, and, we handed the *lemzir* to the men inside the church when we arrived. Since only men were allowed inside, we (the authors of the present article) stood outside, while the male members of our group went in. As TTB note, “Among the Svans, both female and male trajectories are represented in ritual space, but the limits of women's circulation between private interior and exterior ritual sites are contained within the frontiers of the commune” (2018: 62). In our case, the female Svan members of our group prepared the *lemzir*, handed it to the praying men, and could be present in ritual spaces outside the church itself, but the animal sacrifice and church entry were off limits (Fig.4). The male members of the group, Svan or not, were permitted to enter, (since they had recording equipment, we also asked permission and arranged this in advance). Though we (the women) could not see much, we were able to hear the prayers, which went on continuously, each man seemingly speaking alone, yet somehow, all voices formed not a cacophony, but an almost harmonious sound, reverberating through the walls of the small church, and traveling, in a muted form, towards us, as we stood by the door<sup>4</sup>. The praying went on almost nonstop, so long as people were still coming up to the church and handing the bread to be blessed. “Khocha Pasajiræl!” (“May you have good passengers”), we heard one of the men say, referring to, evidently, a *marshrut 'ka*<sup>5</sup> driver, over whose offering they were praying. The men asked for our names and said prayers for each of us as well.

After all the prayers were said, it was time for the libations and circle dancing. First, the men recited a prayer over the libations – a chalice full of *rakhi*. Then, still inside the church, they began to sing “Didebata” (“Glory to the Archangel”). They then came out of the church one by one, arms locked, already stepping into the dance, with the last one in the line holding the chalice – everyone would later take a sip from it (Fig.5).

The men circled the church, singing and following the round dance steps, and began to come down to a field, where tables were already set up, and the celebrations were to continue. Others, who had not been inside the church and were already drinking and feasting, joined the dance,

<sup>4</sup> The usual prayer formulas include texts of d “*Didāb ajq'ād*” – “may you be blessed/may glory come your way” or “*Didābi leq'ed*” – “to whom glory comes” (See also TTB, 2018)

<sup>5</sup> A *marshrut 'k'a* is a routed taxi van (usually a Sprinter or the like), which holds anywhere between 10 and 20 passengers, and travels on either regional or inner-city routes.



though few could remember the song. The men then started to sing the song “Harira,” a celebratory dancing song, which is known as “Lishldani” in Svaneti<sup>6</sup> (Fig.6). Though the melody and vocal arrangement were indeed similar to the other versions of “Harira,” the text was specific to the event: “May Gula Gabriel bless us and all the people here today!”<sup>7</sup> As the song progressed and clapping intensified, several of the mostly older men started dancing in the middle of the semi-circle formed by the singers.

<sup>2</sup> დეკანოზი ვასილი 1925 წელს ბერად აღკვეცეს და სტეფანედ სახელდებული ბოდბელ ეპისკოპოსად აკურთხეს. 1928 წლიდან ალავერდელ მღვდელმთავრად დაადგინეს. (ანდლულაძე; 2006:40)

<sup>3</sup> ხ.ე.ც. – ამგვარად აღინიშნება ვ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ვასილ კარბელაშვილის პირად არქივში დაცულია 600-ზე მეტი დოკუმენტი.

ნევრებთან, სასულიერო პირებთან – ეგზარხოსებთან, ქართველ ეპისკოპოსებთან;

- მიმონერები საზოგადო მოღვაწეებთან – მწერლებთან, პოეტებთან, სასულიერო სემინარიის ლექტორებთან, მუსიკოსებთან, სტუდენტებთან, მისწავლეებთან.

საეკლესიო მუსიკის მკვლევართათვის ცნობილია ძმები კარბელაშვილების ერთობლივი მუშაობის შედეგად ნოტებზე გადატანილი და გამოქვეყნებული სანოტო კრებულები. ესენია: „მწუხრი“ (1897)<sup>4</sup> და „ცისკარი“ (1898)<sup>5</sup> (ლიტურდია) წმ. იოანე ოქროპირის ნირვის წესი<sup>6</sup>, ფ. კარბელაშვილის მიერ შედგენილი „საგალობლნი შობის დღესასწაულისანი“ (1899)<sup>7</sup>, ფილიმონ კარბელაშვილის მიერ გამოცემული „მწუხრი“ (1907). ძმები კარბელაშვილების მიერ დატოვებული საგალობელთა სანოტო ჩანაწერები<sup>8</sup>, ამ დროისათვის, რედაქტირებული სახით გამოქვეყნებულია სხვადასხვა სამგალობლო კრებულში<sup>9</sup>.

კარბელაშვილების ოჯახში სიმღერა-გალობის უწყვეტი ტრადიცია მეფე ერეკლე II-ის მეფობის პერიოდიდან მოდის, სადაც ვასილის პაპა პეტრე კარბელა ქართლიდან კახეთში გალობის მასწავლებლად იყო მინვული. ამდენად, ის, რასაც ძმები კარბელაშვილები ასახავდნენ საკუთარ სანოტო კრებულებსა თუ ხელნაწერებში, მიჩნეულია ქართლ-კახური საეკლესიო გალობის კრებით შემოქმედებით ნიმუშებად.

<sup>4</sup> **ქართლ-კახური გალობა „კარბელაანთ კილოთი“.** ნაწ. 1, *მწუხრი* / ნოტებზედ გადაღებული და საკუთრებით დაბეჭდილი მღ. ვასილ გრიგ. ძის კარბელოვის-მიერ. თბილისი, 1897 (მ. შარაძის და ამხანაგობის სტ.).

<sup>5</sup> **ქართლ-კახური გალობა. ნაწილი 2, ცისკარი** [ნოტი] = Карталино-Кახетинское Церковно-Грузинское пение. Часть 2, Утренняя: კარბელაანთ კილოთი / ნოტებზედ გადაღებული და საკუთრებით დაბეჭდილი მღ. ვასილ გრიგოლის ძის კარბელოვის მიერ. თბილისი, 1898 (Типография „Цнобис Пурцели“)

<sup>6</sup> **ქართული გალობა (ქართლ-კახური კილოთი); (ლიტურდია) წმ. იოანე ოქროპირის ნირვის წესი** / მიხეილ მიხეილის ძის იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ნოტებზედ გადაღებული და დაწერილი მღ. მღ. ძმათა პოლ. და ვას. კარბელაშვილთა, ალ. მოლოდინაშვილის და გრ. მღებრიშვილის დახმარებითა; წინასიტყვაობა და დედანზედ გამართვა-შესწორებით მღ. ვასილ გრიგოლის ძის კარბელაშვილისათა გამოცემულია ალექსანდრე ეპისკოპოსის ან გურია-სამეგრელოს მწყემსთ-მთავრის წარსაგებლითა. თბილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, 1899.

<sup>7</sup> **კარბელაშვილი ფილიმონ (1899). „საგალობლნი შობის დღესასწაულისანი“.** გადმოცემულია მღ. პ. კარბელოვის და ა. მღ. მოლოდინოვის მიერ. რვეული ა. თფილისი. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

<sup>8</sup> ხელნაწერები დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, საქართველოს ეროვნული არქივისა და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში.

<sup>9</sup> **ქართული საეკლესიო გალობა. აღმოსავლეთის სკოლა, ტომი III**, მეორე გამოცემა. მწუხრი – ცისკარი – ნირვა. გადმოცემული ძმები კარბელაშვილებისა და ანდრია ბენაშვილის მიერ. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრი თბილისი 2008.

**ქართული საეკლესიო გალობა. აღმოსავლეთის სკოლა, ტომი VII.** თორმეტ საუფლო და უძრავ დღესასწაულთა, დიდი მარხვისა და ზატყის საგალობლები. გადმოცემული ძმები კარბელაშვილების მიერ. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრი. თბილისი 2014.

**ქართული გალობა/ სვეტიცხოვლის სკოლა. სადა კილო. გადმოცემული ვასილ და პოლიექტოს კარბელაშვილების მიერ.** მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვისა და გრიგოლ ჩხიკვაძის ხელნაწერების მიხედვით. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი. თბილისი 2012

**ქართული გალობა. ანთოლოგია. ტომი II, ტომი III.** აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია – იოანე ოქროპირის ლიტურგიის საგალობლები (I და II ნაწილი). თბილისი 2018.

**ქართული გალობა. ანთოლოგია. ტომი IV.** აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია – იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის, პირველშენიერულის (პაპ გრიგოლ დიდის, „დიოლოლოსის“) ლიტურგიების, ჯვრისწერისა და ხელდასხმის განგებათა საგალობლები (III ნაწილი). თბილისი 2018.

**ქართული გალობა. ანთოლოგია. ტომი X, ტომი XI.** აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია – ღამისთვის ლოცვის საგალობლები (I და II ნაწილი). თბილისი 2019.

წერილებში ყველაზე ხშირად გვხვდება შემდეგი დეფინიცია – „ქართლ-კახური გალობა „კარბელაანთ კილოთი“. როდესაც ვ. კარბელაშვილი ძველ მგალობლებს იხსენებს, მათ რიგში ასახელებს მის პაპას და მამას – პეტრე<sup>1</sup> და გრიგოლ<sup>1</sup> კარბელას, რომელთა ტრადიციის გამგრძელებელი თავად გახლდათ. „ძველი გალობის მიმდევართ ვხედავთ დიდ გერონტის და მის შვირდს გერონტი ჭილაშვილს, პეტრე კარბელას, გრიგოლ კარბელას, მეორე რიგის მგალობელთ – სოფრონ არქიმანდრიტს, ბიძინა არხიმანდრიტს, შემდეგ არხიმანდრიტ ტარასის და სხვათა. დღეს ის ძველი გალობის კილო დაცულია ქართლ-კახურს გალობაში „კარბელაანთ კილოში“, რასაც დრო და ჟამი და მომავალი თაობაც დაამტკიცებს! (#104. გვ. 2).

ქართული გალობის ბუნებისა თუ შესრულების შესახებ მსჯელობისას ვეყრდნობით ძველ ლიტურგიკულ კრებულებში დაცულ ცნობებსა თუ ქართველი ჰიმნოგრაფებისა და დიდი მგალობლების გამონათქვამებს. მათ მიერ დატოვებული წერილობითი და აუდიო ჩანაწერები საეკლესიო გალობის მკვლევრებსა და შემსრულებლებს დიდ დახმარებას გვიწევს. ვასილ კარბელაშვილის არქივში დაცულია არაერთი დოკუმენტი, რომელიც სწორედ მსგავსი ცნობების შემცველია. პირად არქივში არსებული ხელნაწერები შეიცავს არაერთ სამუსიკო ტერმინს. ქართულ მუსიკათმცოდნეობაში სამუსიკო ტერმინების საკითხი ერთ-ერთი საკამათო და მრავალმნიშვნელოვანია. ამდენად, ძველი მგალობლის მიერ ამა თუ იმ ტერმინის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება, აზუსტებს და ხსნის ტერმინის შინაარსს მისი ვიწრო და ფართო გაგებით.

ვ. კარბელაშვილის პირად არქივში ხშირად გვხვდება ფრაზა „ქართული გალობის კანონი“, რომლის ქვეშაც არაერთი შინაარსი მოიაზრება. ქართული გალობის კანონი გულისხმობს საგალობელში კილოს სიზუსტის დაცვას, სიტყვისა და ჰანგის სინქრონულ წარმოთქმას, ვერბალური ტექსტის სწორ არტიკულაციას და არა უცხო ენის (ამ შემთხვევაში რუსულის) მიბაძვით წარმოქმნილი აქცენტების ქართულ გალობაში გადმოტანას, რაც ხშირად, გუნდის წევრების ენობრივი განსხვავებულობის გამო, სირთულეს წარმოადგენდა. პირად არქივში ქართული გალობის შესრულებასთან დაკავშირებული მოსაზრებების შეჯერებით, შეიძლება ასევე ითქვას, თუ რა არ ახასიათებს ქართულ გალობას. ეს არის: „უადგილო ადგილას დასვენება, ჰაზრის შეწყვეტა-დანყება, ხმის ტრიალის მარცვლებიდან მარცვლებზე გადატან-გადმოტანა, ყელისმიერი ბგერები, საგალობლის მაღალ ტონში დანყება, ხმაზე ძალდატანება, ერთი მეორეს გადასწრება ან ხმით ერთის მეორეზე გადაჭარბება. ყოველი ღრიალი გალობაში ან აჩქარება, გალობა-მეტყველებაში დიდად გასაკიცხი იყო და სირცხვილი, სიცილი, ჩურჩული-ლაპარაკი აქეთ-იქით, საშინლად იყო აღკრძალული“ (ვ. კარბელაშვილის მოგონებები, #260. გვ. 3. 1935 წ. მაისს, დღეს 12).

ვასილი ხშირად აქვეყნებდა კრიტიკულ პუბლიკაციებს მგალობელთა გუნდების შესრულების ხარისხთან ან საგალობლების ნოტებზე გადატანასთან დაკავშირებით. იგი ერთნაირი პრინციპულობითა და გაბედულებით გამოირჩეოდა როგორც მაღალი იერაქების, ისე საზოგადოებისთვის ცნობილი სახეების თუ სახელების მიმართ. მოვიყვანთ ერთ-ერთ ციტატას ვასილის წერილიდან (#362) რომელიც მან

<sup>1</sup> 1754 წელს დაბადებული პეტრე გრიგოლის ძე კარბელა (ხმალაძე), გალობის ხელოვნებას სიყრმეშივე დაუფლებია. იგი მსახურობდა მეფე ერეკლე II-ის კარზე. შემდგომ პეტრე ხმალაძე, იგივე პეტრე კარბელა, სამთავისში მოღვაწეობდა ლოტბარად. პეტრე კარბელას ვაჟიშვილი, გრიგოლი, მამამისის გამობრძლი იყო გალობაში (შულღიაშვილი; 2012:VI).

<sup>1</sup> დეკანოზი გრიგოლ კარბელაშვილი დაიბადა 1812 წელს შიდა ქართლის სოფელ ქვემო ჭალაში, გარდაიცვალა ამავე სოფელში 1880 წელს).

14 ოქტომბერს სათავადაზნაურო გიმნაზიის ქალთა და ვაჟთა გუნდის მოსმენის შემდეგ გაუგზავნა გიმნაზიის გალობის მასწავლებელს, ბ-ნ ზ. ფალიაშვილს. „თუ ავჯით მოჩქარებისათვის ანელეთ, მაშინ გადააკეთეთ იმ ავჯის კილოზედ, თუკი მოგეძებნებათ საგანძურში, ხოლო თანახმად ქართულის გალობისა ან მთავარი კილოსი და ნუ სჩიჯნით. ნუ აქუცმაცებთ და ნუ ანადგურებთ. დრო არის მოისპოს მთავარ ხმათა გათახსირება და საკუთარის გალობის მოთხზვა გარეშე ქართულის გალობის კანონისა“ (ვ. კარბელაშვილის არქივი; #362). ზოგ შემთხვევაში ქართული გალობის კანონის რღვევა გამოიხატებოდა მისი შესრულების სტილისტიკის გადასხვაფერებაში. კერძოდ, მას მოჰყავს მაგალითად ქაშვეთის ტაძარში მდგარი გუნდის შესრულებიდან, სადაც საგალობელი „რომელი ქერუბინთა“ გუნდმა დაიწყო ჯერ სამი ხმით, ხოლო შემდეგ მუხლებში დაემატა მეოთხე ხმა. აგრეთვე, შესრულების პროცესში მგალობელთა რაოდენობა 50-მდე გაიზარდა. „ეს რის მომასწავლებელია? იმის მომასწავლებელია, რომ შესავალში უნდა მიიპყროს მსმენელის ყური და ჩააწვეთოს, რომ ეს ქართული გალობა არისო, შემდეგ კი იწყება, იწყება ოთხ ხმიანი გალობა!!! ღმერთმან შეინახოს მაგნირი გალობა! არაფრის კანონი ქართული გალობისა, მაგაში არ მოსჩანს, სტილისტიკა ქართული გალობისა სულ მოწყვეტილია და გადამახინჯებული (ვ. კარბელაშვილის არქივი. #142).

### **ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის ურთიერთმიმართება**

დღეისათვის ცნობილია, რომ არაერთი ხალხური სიმღერის კილო-ჰარმონია თუ მელოდიური ნახაზი, მათ შორის, წარმართული პერიოდისა, უდევს საფუძვლად საეკლესიო გალობას. ეს საკითხები არაერთი მკვლევრის ინტერესის საგანი გამხდარა და კვლევები ამ მიმართულებით დღესაც აქტიურად გრძელდება. კარბელაშვილების ოჯახში იყვნენ საეკლესიო გალობის უბადლო მცოდნენი, ამასთანავე, ისინი კარგად ერკვეოდნენ ხალხური სიმღერის საშემსრულებლო სპეციფიკაში. ამდენად, ძმები კარბელაშვილების მიერ გამოქვეყნებულ საეკლესიო გალობისადმი მიძღვნილ არაერთ პუბლიკაციაში ჩანს, თუ რა საერთო და განმასხვავებელი თვისებები გააჩნდა ტრადიციული მუსიკის ამ ორ შტოს.

ვასილ კარბელაშვილი სხვადასხვა ტიპის დოკუმენტში არაერთხელ აღნიშნავს ქართლ-კახური სიმღერისა და საეკლესიო გალობის საერთო კილოურ ძირებზე. „საუკეთესო მუხლები სიმღერისა – ძველის ძველისა საუკეთესო საგალობლებს დღესაც, დღემდე უწყვიან საფუძვლად, როგორც არის „შენ გიგალობთ“, „ღირს არს და მართალ“, „რომელი ქერუბინთა“ და სხვ. რომელთა მოსმენით, არამცთუ ქართველი კაცი, არამედ სულ უცხო კაციც კი რაღაცა სრულ დაკმაყოფილებას და აღფრთოვანებასა გრძნობს“ (#80). მიუხედავად ტრადიციული სიმღერა-გალობის ასეთი ურთიერთსიახლოვისა, 1919 წელს დ. არაყიშვილისადმი მიწერილ წერილში ვასილი სიმღერასა და გალობას მკაცრად მიჯნავს ერთმანეთისაგან. „ქართული გალობა – სიმღერა არ არის და სიმღერა – გალობა არ არის. საუკუნეობით ასე მოდის“ (#119. 1919წ 17 მაისი. სასულიერო კონცერტი „ლიტურდია“ დ. არაყიშვილისა). აქვე დავიმოწმებთ პ. კარბელაშვილის მიერ XIX საუკუნის დასასრულს გამოქვეყნებულ ისტორიულ მიმოხილვას „ქართული საერო და სასულიერო კილოები“, სადაც მესამე და მეექვსე პარაგრაფი დათმობილი აქვს საკითხს – ძველი ქართული საერო და სასულიერო კილოები. პ. კარბელაშვილი საქართველოში პირველ საუკუნეებშივე ქრისტიანობის უსისხლოდ მიღებას უკავშირებს სწორედ ძველი წარმართული სასიმღერო კილო-მოდებების ახალ ქრისტიანულ საგალობელში ადაპტაციას. კერძოდ, „რაკი დედა-აზრი ესრეთის ლოცვა-ვედრებისა არ ეწინააღმდეგებოდა



საქრისტიანო მოძღვრებასა, სამღვდლოება ეგრეთვე მოექცა კერპობის დროინდელ სასიმღერო და საგალობელ კილოებს: აილო და მაგ კილოებს ამოუყენა საქრისტიანო საგალობელთა სიტყვები (ტექსტი) და ძველი კილო ხელუხლებელი დარჩა. მეტი რა უნდოდა ქართველ ერსა ამ მხრივ? მაღლობ ადგილებზე სალოცავები არ მოეშალა ქრისტიანობის მიღებით, წირვა-ლოცვაზედ ისევ მამა-პაპური კილოები ესმოდა“ (პ. კარბელაშვილი 1898:11). საუკუნეების მანძილზე ისე ჩამოინაკვთა ქართული გალობის მუსიკალური ენა, წყობა და ხასიათი, რომ მიუხედავად მათი პირვანდელი საერთო ძირებისა, ქართული ტრადიციული სიმღერა და გალობა სრულიად სხვადასხვა გზით განვითარდა, რასაც მოწმობს ზემოთ მოცემული სიტყვები და საეკლესიო გალობის პროფესიული განვითარების გზა.

კარბელაშვილების ოჯახის წევრები, მამა – გრიგოლი, ძმები – ფილიმონი<sup>1</sup>, ვასილი და პოლიევქტოსი<sup>1</sup> მთელი ცხოვრების მანძილზე გალობის პედაგოგებად გვევლინებიან აღმოსავლეთ საქართველოს არაერთ სოფელსა თუ ქალაქში. საეკლესიო გალობას ასწავლიდნენ სამრევლო სკოლებში, სასულიერო სემინარიასა თუ გიმნაზიაში. სწავლების მეთოდი ეფუძნებოდა ზეპირ გალობას, რომელსაც ისინი უწოდებენ სწავლების ე.წ. „ძველ დახავსებულ მეთოდს“, ან „ნამდვილ მეთოდს“, რასაც უპირისპირებდნენ სწავლების ე.წ. „რაციონალურ მეთოდს“. ძველი მეთოდის უპირატესობებზე საუბრისას ვასილი აღნიშნავს: „იმ ძველმა ზეპირობამ გალობა-სიმღერისამ შეუნარჩუნა ქართველთა განსაკუთრებული ხასიათი. იმ ზეპირ გადაცემაში მოსწავლენი ეჩვევიან იმ ხმათა დამახასიათებელ თვისებათა, რომელნიც ევროპულად აღზრდილ ყურისათვის შეუწყნარებელია და ბარბაროსობა“ (#131). ვასილი აღწერს, თუ ძველი მეთოდის მიხედვით როგორ ამეცადინებდა მამა გალობაში: „მეთოდი სწავლებისა საქართველოში არ შეწყვეტილა 1889 წლამდე, რომლის შემდეგ დაიწყეს ევროპული ნოტები. მოსწავლე იტყოდა ერთხელ, ორჯელ, სამჯერ საგალობელს თავიდან ბოლომდე ან ნაწილს. მერე მსმენელთაგანი განუძღვრებოდნენ და თან საგალობელის ტექსტში აღნიშნავდნენ დასვენების, ამალების და დადაბლების აღსანიშნავად ან მოკლე ხაზებით, მძიმეებით ტექსტის ზემოთ და ქვემოთ. აი ამგარი მოქმედებით, შესწავლით იმ ნიშნებს გადასცემდნენ ერთი ერთმანეთს. ამ გვარათ გვასწავლა მამამ და რაკი ყური შევაჩვიეთ, მივჩერებოდით მას და დახსომებით ვითვისებდით. ის რომ ორჯელ რომ იმას ეთქვა მესამეთ ჩვენ გავიმეორებდით ხოლმე და აღარაფელ სიძნელეს არ წარმოადგენდა ჩვენთვის გალობის შესწავლა, თუ გადაცემა წირვაზედ“ (#260).

ვასილი იხსენებს 1874 წელს მამის გადმოცემულ ამბებს გალობის სწავლების თაობაზე: „ან სწავლების დროს ან შემდეგ როგორ წამოეკიდებოდა პატარა გრიგოლი ზურგზე და რიგრიგობით მოატარებდა ხოლმე თანამედროვე ლავრა მონასტრებს სადაც გალობა და კითხვა ეკლესიიდან სდულდა და გადმოდიოდა: ისმენდა იგი, რაც აკლდა ივსებდა კითხვა-გალობაში თუ მღვდელთათვის საქრო ცოდნა-მეცნიერებაში. იმ წესით, იმ რიგად როგორცა თავიდან ჰქონდათ მიღებული მის თანამედროვე სრულ მგალობელთ მოსწავლეთა და მოტრფიალეთა გალობა მეტყველებისა. სრული მგალობელი თვით წავიდოდა თავის ნაშაგირდლებთან ერთ კვირითა, ორი კვირით დარჩებოდა მასთან, ნასწავლს გაამეორებინებდა. თუ ჩაცვინული რამ ჰქონდა, დაავალებდა აღარ შეეცვალა და როგორც ანდერძებს ისე

<sup>1</sup> მღვდელი ფილიმონ კარბელაშვილი დაიბადა 1831 წელს სოფელ ქვ. ქალაში, გარდაიცვალა აქვე 1879 წელს.

<sup>1</sup> დეკანოზი პოლიევქტოს კარბელაშვილი დაიბადა 1855 წელს სოფელ ქვემო ქალაში, გარდაიცვალა 1936 წელს გურჯაანში.

ავალედა გალობა-კითხვის დაცვა-გარდაცემას მოსწავლეთათვის და ყურისგდებას. მგალობელი მგალობელთან, მოსწავლე მოსწავლესთან იოლად მიდიოდნენ დროთა და ჟამთა გასიდამავლობაში. თუ ახალი რამ ჰქონდა ნასწავლი იმასაც შეისწავლიდა, რომ სხვისათვისაც გადაეცა. რაღას უნდა დაეშალა ან ვიღას, რომ ასე ესწავლათ და ნაანდერძევი მამაპაპისეული ჩვეულება არ შეენახათ?! (#260. ვ. კარბელაშვილის მოგონებები, გვ. 3. 1935 წ. მაისს, დღეს 12). დღეს, როცა ამ წერილებს ვკითხულობთ, გვიჭირს დაჯერება იმ ფენომენალური მეხსიერების და უნარების, რაც წინა საუკუნის მგალობლებს გააჩნდათ. ჩვენ, როგორც მკვლევრებმა, ისე პრაქტიკოსმა მგალობლებმა, მიზნად უნდა დავისახოთ უფრო მეტი მელოდია-მოდელის დამახსოვრება, რაც განავითარებს ჩვენს მეხსიერებას და მუსიკალურ ინტუიციას. საუკუნეების გამოცდილება აჩვენებს, რომ ამის შესაძლებლობა ადამიანის შემოქმედებითი უნარების ფარგლებშია.

ვ. კარბელაშვილის პირად არქივში არსებული მასალები ნათელ სურათს გვიქმნის საქართველოში XIX-XX საუკუნის მიჯნაზე არსებული ისტორიული რეალობის შესახებ. როგორც სანოტო, ისე სხვა ტიპის ხელნაწერებში არაერთი საკითხი იწვევს მკვლევრის ინტერესს, თუმცა მოხსენებაში რამდენიმე საკითხის გაშუქებით შემოვიფარგლეთ და შევაჯერეთ სხვადასხვა პერიოდის წერილებში ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებული მოსაზრებები და ფაქტები. ხელნაწერების გაცნობა ამდიდრებს ჩვენს ცოდნას საეკლესიო გალობის ისტორიისა და თეორიის საკითხების შესახებ. კარბელაშვილების ოჯახის წარმომადგენელთა ცხოვრება და მოღვაწეობა ნებისმიერი მგალობლისა თუ ახალგაზრდა მეცნიერისთვის მოტივაციის მომცემი და სამაგალითოა, რასაც პირად არქივში არსებული წერილების შინაარსი კიდევ ერთხელ ადასტურებს.

როგორც თავად ვასილ კარბელაშვილი, ჩვენც მისივე ერთ-ერთი წერილის მიხედვით დავასრულებთ მოხსენებას: „დავშთები მარადის ერთგული ქართული კახურის გალობის მოქირნახულე მღ. ვას. კარბელაშვილი“ (#362. ბ. ზაქარია ფალიაშვილს).

### გამოყენებული ლიტერატურა

- ანდლულაძე, ს. (2008). საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლნი – ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა.
- კარბელაშვილი, პ. (1898). *ქართული საერო და სასულიერო კილოები. ისტორიული მიმოხილვა*. ტფილისი: სტამბა ექ. ივ. ხელაძისა.
- ტოგონიძე, ლ. (2012). *ძმები კარბელაშვილები*. თბილისი.
- ქართული გალობა. (2012). სვეტიცხოვლის სკოლა. სადა კილო. გადმოცემული ვასილ და პოლიევქტოს კარბელაშვილების მიერ. მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვისა და გრიგოლ ჩხიკვაძის ხელნაწერების მიხედვით. თბილისი: საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი.
- ბ. ე. ც. ვასილ კარბელაშვილის პირადი არქივი #38.

**EKATERINE KAZARASHVILI**  
(GEORGIA)

**ST. STEPANE THE CONFESSOR (KARBELASHVILI)**  
**ABOUT GEORGIAN CHANTING**  
**(BASED ON VASIL KARBELASHVILI'S PERSONAL LETTERS)**

Vasil Karbelashvili<sup>1</sup> – later St. Stepane the Confessor<sup>2</sup>, is an outstanding figure of the 2<sup>nd</sup> half of the 19<sup>th</sup> century and the 1<sup>st</sup> half of the 20<sup>th</sup> century. He is one of the prominent representatives of the renowned Karbelashvili family. Together with his siblings Vasil is a devoted defender of and active fighter for Georgian spiritual and material culture. His spheres of activity encompass many branches of secular and religious life. In his personal correspondence and newspaper publications, he intensively and boldly expressed his opinion on the polyphonic nature of Georgian chanting, performance, teaching and dissemination of chanting, transcription into notation system and its current state. Basing on his personal archive, the paper discusses the problems of Georgian chanting in the 19<sup>th</sup> -20<sup>th</sup> centuries.

**Vasil Karbelashvili's Personal Archive**

Vasil Karbelashvili's personal archive is preserved at K. Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts. A certain part of the archive (handwritten notated hymns, personal letters, documents) is known to church musicologists. We got familiarized and studied Karbelashvili's personal archive at NCM<sup>3</sup>. Among them, we focused on the handwritten documents related to musical culture.

Karbelashvili's archive contains the following types of handwritten documents:

- sheet music of songs and hymns;
- neumated texts of hymns copied from the neumated manuscripts of different centuries (S-425, Pitareti collection of hirmi, etc);
- sermons (black and white copies);
- report cards;
- material for newspaper publications (*Tsiskari*, *Droeba*, *Iveria*, *Sakartvelo*, *Sakhalkho gazeti*, *Tsnobis pirtseli*, and others);
- personal and public letters (personal correspondence with family members, the clergy – exarchs, Georgian bishops);
- correspondence with public figures – writers, poets, theological seminary lecturers, musicians, students.

<sup>1</sup> Vasil Karbelashvili was born in the village of Kvemochala, Kaspi district in 1858. He grew up together with 5 siblings – in the family of archpriest Grigol Karbelashvili. He passed away in 1936, was interred in the fence of Navtlughi St. Barbare Church, Tbilisi. In 2011, the Holy Synod of the Georgian Church canonized five Karbelashvili brothers, including Vasil. Vasil was named St. Confessor Bishop Stepane.

<sup>2</sup> Archpriest Vasil was ordained as a monk in 1925, named Stepane he was consecrated as the bishop of Bodbe. From 1928 he was appointed Bishop of Alaverdi (Andghuladze, 2006:40)

<sup>3</sup> NCM – National Centre of Manuscripts. Vasil Karbelashvili's personal archive contains over 600 documents

### Researchers of Church Music are Familiar with the Music Collections

prepared and published as a result of Karbelashvili brothers' joint work. These are: "Vespers" (1897)<sup>4</sup> and "Matins" (1898)<sup>5</sup>, "The Liturgy of St. John Chrysostom",<sup>6</sup>

P. Karbelashvili's "Christmas Hymns" compiled by Pilimon Karbelashvili (1899)<sup>7</sup>, "Vespers" published by P. Karbelashvili (1907). The handwritten notated hymns<sup>8</sup> left by the Karbelashvili brothers have been published, in edited form, in various hymn collections.<sup>9</sup>

In Karbelashvili family, the continuous tradition of singing-chanting dates back to the reign of King Erekle II, when Vasil's grandfather Petre Karbela was invited from Kartli to Kakheti as a teacher of chanting. Thus, what the Karbelashvili brothers included in their musical collections and manuscripts unites the church chanting common in Kartli and Kakheti. In the letters most encountered is the definition "**Kartli-Kakhetian chanting in Karbelashvilis' mode**". "Among the followers of old chanting there are great Geronti and his apprentice Geronti Chilashvili, Petre Karbela, Grigol Karbela, second-rank chanters – Archimandrite Soprom, Archimandrite Bidzina, then Archimandrite Tarasi and others. Today, that old chanting mode is preserved in **Kartli-Kakhetian chanting 'Karbelaant Kilo'** (Karbelashvilis' mode), what will be proved by time and future generations!" (#104, p. 2). When V. Karbelashvili recalls old chanters, among them he mentions his grandfather and father

<sup>4</sup> "**Kartli-Kakhetian Chanting in Karbelaant Kilo**", *part I. Vespers* /transcribed into notes and published by Priest Vasil Karbelov. Tbilisi, 1897 (Typography M. Sharadze and Co)

<sup>5</sup> "**Kartli-Kakhetian Chanting**", *part II. Matins* [sheet music] =*Kartalino-Kakhetinskoe tserkovnoe-Gruzinskoe penie*; chašt 2. Utrenya: in Karbelashvilis' Mode/transcribed into notes and published by Priest Vasil Karbelov. Tiflis, 1898 ("Tsnobis purtseli" typography)

<sup>6</sup> *Georgian Chanting (Kartli-Kakhetian mode) Liturgy The Liturgy of St. John Chrysostom*/Transcribed into musical notation by Mikhail Ippolitov-Ivanov with the help of priests brothers Pol. and Vasil Karbelashvili; Al. Molodinashvili and Gr. Mghebrishvili; Introduction and specification-amendment with the original by priest Vasil Karbelashvili. Published with the assistance of Alexandre – now Bishop of Guria. Tbilisi: Typography M. Sharadze and Co, 1899

<sup>7</sup> *Karbelashvili Pilimon (1899) "Christmas Hymns"* Transcribed by pr. P. Karbelov and pr. A. Molodinov, notebook A. Tbilisi: Typography M. Sharadze and Co

<sup>8</sup> The manuscripts are preserved at of the National Centre of Manuscripts, National Archives of Georgia and Folklore State Centre of Georgia.

<sup>9</sup> *Georgian Church Chanting. East-Georgian School, vol. III*, second edition. Vespers- Matins-Liturgy, transcribed by the Karbelashvili brothers and Andria Benashvili. Center for Church Chanting of the Patriarchate of All Georgia. Tbilisi 2008

*Georgian Church Chanting. East-Georgian School, vol. VII*. Chants for 12 Great and Immovable Feasts, Lent and for the week of Pentecost, transcribe by the Karbelashvili brothers. Center for Church Chanting of the Patriarchate of All Georgia. Tbilisi 2014

*Georgian Church Chanting. Svetitskhoveli School, Simple Mode*. Transcribed by Vasil and Polievktos Karbelashvili, according to the manuscripts of Mikhail Ippolitov-Ivanov and Grigol Chkhikvadze. The Folklore State Centre of Georgia. Tbilisi, 2018

*Georgian Church Chanting. Anthology, vol. II and III*. East Georgian Tradition of Chanting – Hymns of St. John Chrysostom Liturgy (parts I and II). Tbilisi, 2018

*Georgian Church Chanting. Anthology, vol. IV*. East Georgian Tradition of Chanting – Hymns for the Liturgies of St. John Chrysostom, Basil of Caesarea, First sacrifice (Pope Gregory the Great), wedding and ordination (part III). Tbilisi, 2018

*Georgian Church Chanting. Anthology, vol. IX and XI*. East Georgian Tradition of Chanting – Hymns for overnight liturgy (parts I and II). Tbilisi, 2019

– Petre<sup>10</sup> and Grigol<sup>11</sup> Karbela, the successor of whose tradition he himself was.

When discussing the nature and performance of Georgian hymns, we rely on the references preserved in old liturgical collections, Georgian hymnographers and great chanters. The written and audio recordings they left behind are of great help to researchers and performers of church chanting. Vasil Karbelashvili's archive includes a number of documents containing similar information. The manuscripts in the personal archive also hold musical terms. The issue of musical terms is one of the most controversial and important in Georgian musicology. Thus, the application of this or that term by old singers in different contexts clarifies and explains the content of the term in its narrow and broad sense.

In V. Karbelashvili's personal archive we often come across the phrase "the rule of Georgian chanting", which refers to different content. The rule of Georgian chanting implies observance of the mode accuracy in chanting, synchronous utterance of words and tunes, correct articulation of the verbal text, and not transferring accents, made by imitating a foreign language (Russian, in this case), into Georgian, which was often difficult due to the language differences among the choir members.

Vasil often issued critical publications regarding the performance quality of choirs or transferring hymns to musical notation. He was distinguished by the same integrity and courage in relation to both high hierarchs, and people and names known to the public. Here is a quote from Vasil's letter: "I must tell you that I am very worried that you deliberately distort Kartli-Kakhetian chanting and reject the rule of Georgian chanting, developed over the centuries. I consider their transformation and distortion a great, unforgivable sin; I cannot help but ask you why do you do this? This is not purchasing or giving an estate away. How can we explain this inappropriate stopping from time to time and displacement of voice from syllable to syllable?" (V. Karbelashvili, #362). He sent this critical letter to composer Zakaria Paliashvili, who was the teacher of chanting to a female-male choir at the school for nobility. In several cases, the violation of the rule of Georgian singing manifested itself in the alteration of its performance style. Namely, as an example he gives a number of facts observed in the chanting of Kashueti Church choir, which were inappropriate for the performance of Georgian hymns: the choir started the hymn "Romelni kerubimta" in three voices and in the following stanzas the fourth voice joined in; In addition, during chanting the number of chanters increased to 50. "What does this mean? This means that in the beginning they want to draw the listener's ear to the fact that this is Georgian chanting; but then four-part chanting begins!!! God bless their chanting, but they do not follow the rule of Georgian chanting; the style of Georgian chanting is completely distorted" (V. Karbelashvili, #142).

By revising the opinions about Georgian chanting in the personal archive, we can also speak what is not characteristic to it. These are: a break in an inappropriate place, interruption of the idea, transfer of voice rotation from syllable to syllable, guttural sounds, beginning of a hymn in a high tone, voice strain, predominance of one voice over another. "Loud or haste chanting was highly reprehensible and shameful; laughing, whispering during chanting was strictly prohibited" (V. Karbelashvili, #260. 1935:3).

---

<sup>10</sup> Petre Karbela (Khmaldze), born in 1754, mastered art of chanting in his childhood. He served at the court of King Erekle II. Later, Petre Khmaldze, aka Petre Karbela, was a choirmaster at Samtavisi Cathedral. Petre Karbelashvili's son Grigol was his father's student in chanting.

<sup>11</sup> Archpriest Grigol Karbelashvili was born in the village of Kvemochala, Shida Kartli, passed away in the same village in 1880.

### **Relation between Georgian Folk Song and Church Chanting**

It is a well-known fact that the basis of church hymns are mode-harmonic or melodic patterns of many songs, including pagan ones. This issue has been the subject of interest for many researchers, and the studies continue in this direction. There were incomparable experts of church chanting and singing in Karbelashvili family, they were also well versed in the specifics of folk song performance. Thus, common and distinguishing features of these two branches of traditional music can be found in Karbelashvili brothers' publications on church chanting.

In various types of documents, Vasil Karbelashvili repeatedly mentions common modal roots of Kartli-Kakhetian songs and church hymns. "The best stanzas of ancient songs are still the basis of the best hymns, such as "Shen gugalobt", "Ghirs ars da martal", "Romeli kerubinta" and others. Listening to which makes not only Georgians, but also foreigners experience some kind of complete satisfaction and excitement (V. Karbelashvili, #80). Despite the closeness of traditional singing and chanting, in his letter to D. Arakishvili in 1919, Vasil strictly separates singing and chanting." Georgian chanting is not singing, and singing is not chanting. It's been like this for centuries" (V. Karbelashvili, #119. 1919). Here we will refer to P. Karbelashvili's historical overview "Georgian Secular and Sacred Modes" published at the end of the 19<sup>th</sup> century, in which paragraphs 3 and 6 deal with the issue – old Georgian secular and sacred modes. P. Karbelashvili connects bloodless adoption of Christianity in Georgia in the first centuries with the adaptation of old pagan singing mode-models to new Christian hymns. Namely, since main idea of these prayers and supplications did not contradict Christian doctrine, the clergy acted with the modes of songs and chants of the idolatry period as follows: the words (text) of Christian hymns were adjusted to these modes, and old modes remained intact. What else did the Georgians want in this respect? The shrines on the heights were not destroyed with the adoption of Christianity, during the liturgy, they could still hear their ancestors' modes (Karbelashvili P. 1898:11). Over centuries, the musical language, scale and character of Georgian chants were carved so that, despite their initial common roots, Georgian traditional songs and chants developed in completely different ways, this is evidenced by the words given above and the path of professional development of church chanting.

### **Methods of Teaching Church Chanting**

Throughout their lives the members of Karbelashvili family, father – Grigol, brothers – Pili-mon,<sup>12</sup> Vasil and Polievktos,<sup>13</sup> were teachers of chanting in many villages and cities of East Georgia. Church chanting was taught in parish schools, theological seminaries and gymnasiums. Teaching was based on the oral method, which they referred to as the so-called "old method overgrown with moss" or the "true method", which was juxtaposed by the so-called "rational method of teaching". Vasil describes how his father used to teach him chanting with the old method: "*This method of teaching existed in Georgia until 1889, after which they started using European notation system. The student would repeat the hymn once, twice, three times from the beginning to the end or a part of it. Then the listeners would repeat and mark rest, ascend and descent with short lines and commas above and below in the text of the hymn. This way, they passed on the signs to each other. This is how our father taught us, and since we had our ears trained, we would stare at him and learn by*

---

<sup>12</sup> Priešt Pilimon Karbelashvili was born in the village of Kvemochala in 1831; where he passed away in 1879.

<sup>13</sup> Archpriešt Polievktos Karbelashvili was born in the village of Kvemochala in 1855; he passed away in Gurjaani in 1936

*memory. If father repeated the hymn twice, we chanted it a third time, and it was not at all difficult for us to learn the hymn or chant it in the service” (V. Karbelashvili, #260). As for the so-called “Rational method” it implies learning hymns with the help of musical notation. Those who received musical education at the turn of the 19<sup>th</sup> -20<sup>th</sup> centuries were actively involved in the process of writing the hymns into musical notes and preparation of church choirs. But since they did not have a thorough knowledge of chanting and most of them did not stand on the roots of traditional music from childhood, they did not achieve the desired result. As it is clear from the publications of that period, they needed longer time to work with the choir and as it is clear from the evaluations, the choirs they prepared did not have the necessary repertoire for divine service. “*Priest Vasil Karbelashvili was the teacher of chanting, who taught with old oral method, and thanks to whom the whole seminary chanted the stichera of II, IV, VI and VIII voices, from memory, at the general lesson for all classes held in the church. My students of the time will confirm this. This is the benefit we have from oral teaching, the “old method overgrown with moss”. Don’t you want to show us the chanting by a rationally installed musician?! Now can you show us chanting learned by rational method? You can’t show an example of that!*” (V. Karbelashvili, #131).*

Vasil recalls the stories told by his father in 1874 about teaching chants: “how, during the teaching or after, little Grigol would climb on his back and they visited modern Lavras and monasteries one after another, where chanting and prayers poured from the church: he listened and made up for what he lacked in chanting and praying, and the knowledge needed for priests. In the same manner as his contemporary accomplished chanter-students and enthusiasts of chanting had learned from the beginning. An accomplished chanter would go to his former students, stay with them for one week or two, and repeat with them all he had taught them. Like a will he asked them to safeguard chanting and pass it on to their students. From time to time, a singer visited another singer, a student – another student; if the host had learned something new, he would teach it to the guest to pass it on to others. What or who could prevent them from learning this way and preserving the legacy of their ancestors?! ((#260. V. Karbelashvili's Memoirs, p. 3. 12 May, 1935). Today, when we read these letters, it is difficult to believe in the phenomenal memory and skills possessed by the singers of the previous century. We, both researchers and practicing singers, should strive to memorize more melody-models; this will develop our memory and musical intuition. Centuries of experience show that this is within the scope of human creative abilities.

The stories from V. Karbelashvili's personal archive create a clear picture of the reality in the field of church chanting in Georgia at the turn of the 19<sup>th</sup> -20<sup>th</sup> centuries. A number of issues in both sheet music and other types of manuscripts arouse the interest of a researcher, however in the paper we have limited ourselves to covering a few issues and compared the opinions on the same issue in letters from different periods. Studying the manuscripts enriches our knowledge of the history and theory of church chanting. The life and activity of Karbelashvili family representatives, their love and devotion to Georgian church chanting motivate and are exemplary for any singer or young scholar.

### References

- Andghuladze, S. (2008). *Fighters for the autocephaly of the Georgian Church – Bishop Stepane Bodbel (Vasil Karbelashvili)*. Dissertation for the scientific degree Candidate of Historical Sciences. Tbilisi: Department of History and Theory of Culture, Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
- Georgian Chanting. (2012). *Svetitskhovlis skola. Sada kilo (Svetitskhoveli School. Simple mode)*. Notated by Vasil and Polievktos Karbelashvili. According to the manuscripts of Mikhail Ippolitov-Ivanov and Grigol Chkhikvadze. Tbilisi: The Folkore State Centre of Georgia.
- Karbelashvili, P. (1898). *Kartuli saero da sasuliero kiloebi (Georgian Sacred and Secular Modes)*. *Historical overview*. Tbilisi: Dr. Iv. Kheladze's typography.
- N.C.M. Vasil Karbelashvili's privet Archive #38
- Togonidze, L. (2012). *Dzmebi karbelashvilebi (Karbelashvili brothers)*. Tbilisi.



**გამოთვლითი ეთნომუსიკოლოგია**

**COMPUTATIONAL ETHNOMUSICOLOGY**



**ტრადიციული ქართული ვოკალური მუსიკის  
კომპიუტერული ანალიზის ხუთი წელი: პროექტი GVM**

**1. შესავალი**

კომპიუტერული ეთნომუსიკოლოგია ჯერ კიდევ ახალგაზრდა, თუმცა, სწრაფად განვითარებადი კვლევითი სფეროა, რომელიც მთელ რიგ განსხვავებულ დისციპლინებს მოიცავს. ამ პრეზენტაციაში მიმოვიხილავ ხუთი წლის მუშაობას კვლევითი პროექტის „ტრადიციული ქართული ვოკალური მუსიკის კომპიუტერული ეთნომუსიკოლოგია“ ფარგლებში, რომელიც ფინანსდება გერმანული კვლევითი ფონდის (DFG) მიერ, 2018 წლიდან და ხორციელდება ერლანგენისა და პოტსდამის უნივერსიტეტების ერთობლივი ხელმძღვანელობით, საერთაშორისო და ინტერდისციპლინური გუნდის მიერ<sup>1</sup>. კერძოდ, გაგიზიარებთ კლასიკური ეთნომუსიკოლოგიური მეთოდებისა და ჩვენი კომპიუტერული მიდგომების გაერთიანების მცდელობის, პირადად, ჩემ მიერ შერჩეულ ვარიანტებს.

ჯერ კიდევ პროექტის დაწყებამდე, დიდი დრო და რესურსი დასჭირდა მონაცემთა ბაზების გენერაციასა და დამუშავებას. მთლიანობაში, GVM პროექტის მსვლელობისას, შეიქმნა ან განმეორებით დამუშავდა და გამოყენებულ იქნა ციფრულ მონაცემთა სამი დიდი ბაზა, რომლებიც გამოდგებოდა გამოთვლითი ანალიზისთვის. მათგან ორი – ერქომაიშვილის მონაცემთა ბაზა (Müller et al., 2017; Rosenzweig et al., 2020; Scherbaum et al., 2021, 2020, 2017), რომელიც მოიცავს არტემ ერქომაიშვილის 1966 წლის ჩანაწერებს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიიდან და GVM-ის მონაცემთა ბაზა (Scherbaum et al., 2019; Scherbaum, Mzhavanadze, et al., 2018; Scherbaum & Mzhavanadze, 2018), რომელიც, ძირითადად, მოიცავს სვანური მუსიკის ჩანაწერებს, უკვე ხელმისაწვდომია ერლანგენის უნივერსიტეტის<sup>2</sup> ვებ-აუდიო/ვიდეო ინტერფეისებზე და, მათი მეშვეობით, ყოველი ჩანწერილი სინქრონიზირებული ნიმუში (ტრეკი), შესაძლებელია, მოისმინო ერთიანად ან ცალკეული ხმის გამოყოფით. რაც შეეხება GVM-ის მონაცემთა ბაზას, მაღალი ხარისხის მთელი აუდიო, ვიდეო, ფოტომასალა, ასევე, სესიების დოკუმენტური ჩანაწერები და სხვა ინახება იენის უნივერსიტეტის ონლაინ არქივში (ესეც დაფინანსებულია გერმანიის კვლევითი საბჭოს მიერ<sup>3</sup>).

ამგვარად, დღეს არსებობს ტრადიციული ქართული ვოკალური მუსიკის მაღალხარისხიანი ჩანაწერების კოლექცია, რომელიც ხელმისაწვდომია არაკომერციული გამოყენებისათვის. საკვანძო ასპექტი და ძირითადი მიზეზი, რის გამოც ეს მონაცემები ასე სასარგებლოა გამოთვლითი ეთნომუსიკოლოგიისათვის, არის ის, რომ ყველა ხმა ცალკეა ჩანწერილი ხორხის მიკროფონების საშუალებით (Kane & Scherbaum, 2016; Scherbaum, 2016; Scherbaum et al., 2015; Scherbaum,

<sup>1</sup> პროექტის განმახორციელებელი გუნდი: რეზა, დ.დ. ესფაჰანი (პოტსდამი), მეინარდ მიულერი (ერლანგენი), ნანა მუავანაძე (პოტსდამი), სებასტიან როზენცვიგი (ერლანგენი), ფრანკ შერბაუმი (პოტსდამი), დანიელ ვოლმერი (პოტსდამი).

<sup>2</sup> <https://www.audiolabs-erlangen.de/resources/MIR/2019-GeorgianMusic-Erkomaishvili> <https://www.audiolabs-erlangen.de/resources/MIR/2017-GeorgianMusic-Scherbaum>

<sup>3</sup> <https://lazardb.gbv.de/detail/7392>

Rosenzweig, et al., 2018) ან გენერირებულია პოსტ-დამუშავების გზით (Müller et al., 2017), რაც მრავალი საინტერესო საკვლევო საკითხის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა. ქვემოთ შევხები რამდენიმე შერჩეულ თემას და ზოგიერთ მნიშვნელოვან გამოცდილებას, რომელიც ჩვენ ამ მუშაობისას მივიღეთ.

## 2. ტრადიციული ქართული მუსიკის ტონალური ორგანიზაცია

ეს იყო სამეცნიერო დისკუსიის ერთ-ერთი ყველაზე წინააღმდეგობრივი თემა ბოლო ათწლეულის განმავლობაში (ერქვანიძე, 2002, 2016; წერეთელი და ვეშაპიძე, 2014, 2015). ჩვენი წვლილი ამ დისკუსიაში ემყარება ერქომიშვილისა და GVM-ის მონაცემთა ყოველმხრივ აკუსტიკურ ანალიზს (Scherbaum et al., 2020, 2022). ეს სამუშაო ტექნიკურად საკმაოდ რთული იყო, თუნდაც, ტონის მუდმივად, თანდათანობით ამალღების გამო სვანურ რეპერტუარში. ამ კონტექსტში, მოგვიწია დაგვემუშავებინა, დაგვეტესტა და დაგვეწერა მთელი რიგი ახალი მეთოდებისა (Müller et al., 2017; Rosenzweig et al., 2019, 2021, 2022).

ამ საქმიანობიდან, ვფიქრობ, სამი მთავარი გაკვეთილი მივიღეთ:

ერქომიშვილისა და GVM-ის მონაცემთა ბაზის ტონალური ორგანიზაციის გასაგებად, საჭიროა სამი სიდიდის დადგენა: ა) ტონების აღწერა, ანუ იმის გარკვევა, რომელი ტონური სიმაღლეებია გამოყენებული სიმღერის საყრდენად; ბ) ჰარმონიული ინტერვალების აღწერა; გ) მელოდირ საფეხურებს შორის მანძილის (მელოდირი ნაბიჯების ზომის) დადგენა (სივრცეში განაწილება), რითაც იქმნება ცალკეული ბგერების (ტონური სიდიდეების) აკინძვის სურათი მელოდირ ფრაზაში.

ჰარმონიული ინტერვალების აღწერის სტრუქტურა სისტემურად განსხვავდება ტონური სიმაღლეების აღწერის სტრუქტურისაგან, შესაძლოა, იმ ჰარმონიული ინტონაციების კორექტირების გამო, რომლებიც ხარისხობრივად უკვე იყო აღწერილი მეოცე საუკუნის დასაწყისში (Nadel, 1933). მაგალითად, ჰარმონიული სეკუნდა თითქმის ყოველთვის უახლოვდება 200 ცენტს, მაშინ, როცა მელოდირი სეკუნდა ბევრად ნაკლებია. ნაწილობრივ, ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ჰარმონიული სეკუნდები თავს იჩენენ ცნობილი „ქართული აკორდის“, 1-4-5-ის შემადგენლობაში.

აღმოჩნდა, რომ მელოდირი ნაბიჯების ზომები, გამოყენებული ცოცხალი შესრულებისას, მკვეთრად განსხვავებულია და დაახლოებით 170 ცენტს შეადგენს. ერთი შეხედვით, ეს შეიძლება მივიჩნიოთ თანაბარდამორებულ (უნიტონურ) ბგერათრივად. თუმცა, ეს მიახლოებითია. რაც შეეხება ერქომიშვილის მონაცემთა ბაზას (Rosenzweig et al., 2020), ხშირად შეიმჩნეოდა, რომ საგალობლებში, ყველაზე გამოკვეთილი სიმაღლის ტონების ჯგუფის ირგვლივ მდებარე მელოდირი ინტერვალები უნიტონური ბგერათრივისთვის შეუფერებლად დიდი იყო (Scherbaum et al., 2020).

გარდა ამისა, არსებობს ფუნდამენტური სტატისტიკური არგუმენტები იმის საპირისპიროდ, რომ მელოდირი ბგერათრივის აღსადგენად გამოყენებულ იქნას მცირერიცხოვანი მელოდირი ნაბიჯების ზომები. რამდენადაც მელოდირის საფეხურებრივი გადანაწილების სიმაღლის პიკი დაახლოებით 170 ცენტია და მეტ-ნაკლებად სიმეტრიულია, თითქმის ყოველთვის, სანიმუშო მოდელი ამგვარი გადანაწილების ცენტრიდან მიიღება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიუხედავად ცალკეული ტონების სიმაღლებრივი გადანაწილებისა, სანიმუშო ნაბიჯი დაახლოებით 170 ცენტის ფარგლებში მოდელირდება. ამიტომ, მე განვიხილავ მელოდირი ნაბიჯების ზომების ანალიზს, როგორც მელოდირი ბგერათრივის განსაზღვრის ყველაზე ნაკლებად საიმედო მეთოდს.

### **3. ტრადიციული ქართული მუსიკის ახალი, დინამიკური ვიზუალური პრეზენტაცია**

ტრადიციული ქართული ვოკალური მუსიკის ვიზუალური წარმოდგენა – ეს არის თემა, რომელშიც გამოთვლელი საშუალებები განსაკუთრებით სასარგებლოა. ამ კონტექსტში ჩვენ მოვსინჯავთ სიმღერების ვიდეოპრეზენტაციის სხვადასხვა ტიპები (რაკურსები)<sup>4</sup>. გთავაზობთ ერთ მაგალითს, რომელშიც კურსორი მიჰყვება ტონისა და ნოტის სიმაღლის ტრაექტორიას, სანამ თქვენ უსმენთ მუსიკას. მაგალითი ატვირთულია პროექტის ვებ-გვერდზე და ნაჩვენებია სურ. 1-ზე<sup>5</sup>.

ამ ნიმუშში სიმღერის ტექსტი მოცემულია ნოტების თავზე. ინდივიდუალური შემსრულებლების ახლო პლანით გადაღებული ვიდეოების სუბტიტრები ეკრანის მარცხენა მხარეს ჩნდება. წითელი კურსორები აღნიშნავენ ფაქტობრივ პოზიციას სიმღერაში. მწვანე რიცხვი მრავალწერტილით მარჯვენა ზედა კუთხეში გვიჩვენებს კურსორის ლოკაციაზე ყველაზე დაბალი ხმის FO მნიშვნელობას ცენტრში (შედარებით საყრდენ სიხშირედ არჩეულია 55 ჰერცი). სტრიქონსზედა და სტრიქონსქვედა ინდექსების სახით მითითებული რიცხვები, შესაბამისად, გვიჩვენებს ჰარმონიულ ინტერვალს შუა ხმასა და ბანს შორის და შუა და ზედა ხმებს შორის. და ბოლოს, გრაფიკის მარჯვენა ნაწილში მოწოდებულია ინფორმაცია FO-ს სიხშირული განაწილების შესახებ სიმღერის ყველა ბგერაში. ჩვენ ამას ვუწოდებთ „ტონურ გადანაწილებას“ ან “ტონურ ინვენტარს”. ეს არის კონკრეტულ სიმღერაში გამოყენებული კონფიგურაციის სისტემის ასახვის ერთ-ერთი გზა. თითოეული პიკი შესაბამება ბგერათრიგის გარკვეულ საფეხურს (უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხ.: Sherbaum et al., 2020). დახრილი ნაცრისფერი ციფრები პიკებს შორის გვიჩვენებენ ინტერვალებს ბგერათრიგის სხვადასხვა საფეხურს შორის ცენტრებში. შეგახსენებთ, რომ 100 ცენტი შესაბამება ნახევარ ტონს. ამგვარად, კონფიგურაციის ნებისმიერი გამოყენებული სისტემის ასახვა სრულფასოვნადაა შესაძლებელი. აუდიოსათვის ჩვენ გამოვიყენეთ pywebaudioplayer-ის სისტემა (Pauwels & Sandler, 2018), რომელიც თითოეული ხმის სიმაღლის რეგულირების საშუალებას იძლევა მოსმენის პროცესში. ამგვარად, მსმენელს შეუძლია, შექმნას საკუთარი საანსამბლო მიქსი.

### **4. სვანური სამგლოვიარო ზარი**

სვანური ზარი მამაკაცთა სამხმიანი სიმღერაა, რომელიც დაკრძალვის დღეს სრულდება, მანამ, სანამ გარდაცვალებულს მიწას მიაბარებენ. მომღერლები დგანან მიცვალებულის სახლის ეზოში, საჭმლითა და სასმლით განწყობილ მაგიდასთან. ადრე, სვანურ სოფლებში ზარის მრავალ ვარიანტს ამბობდნენ, თუმცა, ამჟამად, როგორც გვითხრეს, 11 ვარიანტია შემორჩენილი. რაკი სვანური გლოვის რიტუალები ყველაზე არქაულადაა მიჩნეული, ზარების ჩანაწერების კოლექცია შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი მონაცემთა ბაზის მარგალიტად, როგორც კვლევის კუთხით, ისე კულტურული თვალსაზრისით. ჩვენი მუშაობის არსი, რომელიც ზარის კვლევასთანაა დაკავშირებული, კარგად ჩანს ოთხ გამოქვეყნებულ სტატიაში (Mzhavanadze & Scherbaum, 2020a, 2021; Scherbaum & Mzhavanadze, 2020, 2021) და ვიდეოპრეზენტაციაში (Mzhavanadze & Scherbaum, 2020b), სადაც ნაჩვენებია ამ მოვლენის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისი: აკუსტიკური, მუსიკოლოგიური, ფონეტიკური, ლინგვისტური და, ასევე, კულტურული კონტექსტი. იმ ნაწილში,

<sup>4</sup> <https://www.uni-potsdam.de/en/soundscapelab/computational-ethnomusicology/a-new-web-based-video/audio-interface-for-traditional-georgian-vocal-music>

<sup>5</sup> <http://soundscapelab.de/GVM/PR/F0.php?vaname=3>

რომელსაც დღეს შევხები, გაანალიზებულია GVM-ის მონაცემთა ბაზაში არსებული, ზარის საექსპედიციო ჩანაწერების მუსიკალური და აკუსტიკური თავისებურებები. კვლევის მიზანი იყო, სხვადასხვა სოფლის მომღერალთა მიერ, ზარის 6 სხვადასხვა ვარიანტის, თერთმეტნაირი შესრულების ტონალური ორგანიზაციის შესწავლა. ზოგიერთ შესრულებაში აშკარა იყო სიმღერის ტონის ამაღლება 100 ცენტამდე წუთში. შეიმჩნეოდა, ასევე, მკვეთრი შიდაგარიანტული განსხვავებები მომღერალთა სხვადასხვა ჯგუფის შესრულებისას და ჰარმონიული წყობის მნიშვნელოვნად განსხვავებული სისტემების გამოყენება მათ მიერ.

ამის საპირისპიროდ, ზარის მეტეორი ვარიანტის ორი მომღერლო შესრულება, ჩანერილი სოფელ ზარგაშში, ფაქტობრივად, იდენტური აღმოჩნდა, რამაც ცხადყო იმპროვიზაციული ელემენტების დეფიციტი ამ ორ შესრულებაში. ჩვენი ანალიზის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შედეგი გახლავთ იმის დადგენა, რომ ზარის მუსიკალური სტრუქტურა, გამოხატული, მაგალითად, მის ამბიტუსში, მელოდიური განვითარების სირთულესა და ჰარმონიული აკორდების არსენალში, სისტემატურად იცვლება ენგურის ხეობის გასწვრივ.

## 5. მომღერალთა ინტერაქცია

კიდევ ერთი ასპექტი, რომელსაც მინდა, მოკლედ შევხვო, არის ჩვენი ბოლოდროინდელი საქმიანობა, რომელიც დღესაც გრძელდება და უკავშირდება მომღერალთა არავერბალურ ინტერაქციას პოლიფონიური მუსიკის შესრულების პროცესში. 2019 წელს, ოზურგეთის ტრიო „ხელხვავის“ წევრებთან – ლაშა ჩხარტიშვილთან (ბანი), გურამ გუნთაძესთან (შუა ხმა) და მამუკა სირაძესთან (ზედა ხმა) ერთად, ჩვენ ჩავატარეთ ექსპერიმენტი, სიმღერის პროცესში, მომღერალთა გულისცემის სიხშირის მონიტორინგისათვის. ამისათვის, ჩვეულებრივ ყურსასმენებთან და ხორხის მიკროფონებთან ერთად, თითოეული მათგანი აღჭურვით პულსის სენსორით, რომელიც მივამაგრეთ საჩვენებელ თითზე (სურ. 2). ჩვენ გვინდოდა, დავრწმუნებულიყავით, რომ მომღერლები კარგად იყვნენ განწყობილნი ერთმანეთის მიმართ და, ასევე, ჩაგვწერა იმდენად რთული სიმღერა, რომ ის გამორჩეული ყოფილიყო მანტრას მომღერალთა ანალოგიური ექსპერიმენტისაგან. ამ ორი პირობის საფუძველზე, შევარჩიეთ გურული ხალხური სიმღერა „ჩვენ მშვიდობა“, რომელიც შესრულდა ჩანერის ბოლოს.

არ მოვყვები მოვლენების დეტალურ აღწერას, რაც შეგიძლიათ წაიკითხოთ ჩვენს ნაშრომებში (Scherbaum & Müller, 2022), თუმცა, ვიტყვი, რომ გურამისა და მამუკას გულისცემა ერთდროულად ჩქარდებოდა და ნელდებოდა შესრულების პროცესში. ეს, შესაძლოა, გამოწვეული ყოფილიყო მათი სუნთქვის სინქრონიზაციით და კავშირით სუნთქვასა და გულისცემას შორის, რესპირატორული სინუსური არითმიის (RSA) გზით, თუმცა, სხვა ფაქტორებიც არაა გამორიცხული. ეს შედეგები საკმაოდ დამაიმედებელია და ცხადყოფს, რომ არსებობს ბევრი ახალი და აქტუალური ინფორმაცია, რომლის მიღება შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის სენსორების ერთობლივი გამოყენებით ეთნომუსიკოლოგიური ჩანერის პროცესში.

## 6. დასკვნები

წარმოდგენილი შედეგები ცხადყოფს გამომთვლელი საშუალებების ზოგიერთ პოტენციურ უპირატესობას ზეპირი გადაცემის, ქართული და სხვა, არადასავლური ტრადიციული მუსიკის ანალიზისათვის, ასევე, სავლელ ეთნომუსიკოლოგიური მასალის გავრცელების მნიშვნელობას ახალი ტიპის მულტიმედიური და მრავალარხიანი ჩანაწერების მეშვეობით (ვიდეო და აუდიო ჩამწერების, ასევე,

კუნთოვანი ვიბრაციის, პულსისა და სუნთქვის სენსორების გამოყენებით).

გრძელვადიან პერსპექტივაში, ვიმედოვნებ, რომ ამგვარი მიდგომა საშუალებას მომცემს, კვლევის ფოკუსი გადავიტანო დოკუმენტური საკითხიდან „რას მღერიან?“ უფრო რთულ საკითხებზე, როგორებიცაა: „როგორ მოქმედებს მუსიკა?“ და „როგორ ურთიერთქმედებენ მომღერლები?“

### **მადლიერება**

დასასრულს, მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ამ პროექტის წარმატებაში, კერძოდ, ყველა მომღერალს, რომელმაც გაგვიზიარა თავისი მუსიკა. ეს იყო წარმოუდგენლად მდიდარი გამოცდილება, როგორც, ჩემთვის, პირადად, ისე, სამეცნიერო თვალსაზრისითაც.

სამუშაო განხორციელდა გერმანიის კვლევითი ფონდის მხარდაჭერით (DFG MU 2686/13-1, SCHE 280/20-1).

***თარგმნა მაკა ხარძიანმა***

FRANK SCHERBAUM  
(GERMANY)

## FIVE YEARS OF COMPUTATIONAL ANALYSIS OF TRADITIONAL GEORGIAN VOCAL MUSIC: THE GVM PROJECT

### 1. Introduction

Merab Gurguliani, 56 years old. Resettled from the village of Lakhushdi, Meštia district to Tsalka municipality in 1987. A member of Tsalka municipality folk ensemble Trialeti.

**References**

- Asanidze, T. (2017). The Overview of migration processes in today's Georgia. Master's thesis. TSU.
- Gotsiridze, G. (2011). Svan settlements in Kvemo Kartli. In *Proceedings of the Institute of History of Georgia of I. Javakhishvili Tbilisi State University* (pp. 351–362.). IV. Tbilisi.
- Zurabishvili, T., & Tavberidze, G. (2016). *Eco-migrants and potential eco-migrants in Georgia: experience and self-assessments*. Research report. Tbilisi.
- Vorobyova, O. (2003). Migration processes of population: issues of theory and state migration policy. In *Analytical collection of the Federation Council of the Russia Federal Assembly*, 9(202), 35. (In Russian).

## მრგვალი მაგიდა: მუსიკალური ტურიზმი

### მთავარი მომხსენებელი და თავმჯდომარე: ქეროლაინ ბითელი, მადონა ჩამგელიანთან, ნინო ნანეიშვილთან (საქართველო), ჯეფ ბარტონთან (დიდი ბრიტანეთი) და მარინა დექრისტოფოროსთან (აშშ) ერთად

**ქეროლაინ ბითელი** – ჩვენი მრგვალი მაგიდის დასაწყისში მოკლედ შევაჯამებ დღევანდელ ვითარებას მუსიკალურ ტურიზმთან დაკავშირებით საქართველოში და გამოვყოფ კრიტიკულ თემებსა და საკითხებს, რომლებიც შეიძლება გახდეს ჩვენი დისკუსიის საგანი. შემდეგ მოვინვევ ჩემს კოლეგებს ამ და სხვა საკითხებზე უფრო დეტალურად სასაუბროდ, რათა უფრო ყურადღებით განვიხილოთ სიმღერის შემსწავლელი უცხოელი სტუმრებისა და მათი ქართველი მასპინძლების მოტივაცია და გამოცდილება; კულტურული ტურიზმის ამ კონკრეტულ ფორმასთან დაკავშირებული სარგებელი და გამოწვევები.

#### ჩვენი დისკუსიის მონაწილეები არიან:

- მადონა ჩამგელიანი – ეთნოლოგი და სვანური ტრადიციული რეპერტუარის ცნობილი შემსრულებელი (თავის დებთან, ანასა და ეკასთან ერთად). მადონამ მოიფიქრა პროექტის „ლახუშდი – მომღერალი სოფელი“ ორიგინალური ხედვა.
- ნინო ნანეიშვილი – ბევრისთვის ცნობილია, როგორც „იალონის“ მხატვრული ხელმძღვანელი. ნინო ატარებს მასტერკლასებს ევროპის ქვეყნებში და ბოლო ხუთი-ექვსი წელია – სასიმღერო ტურებს საქართველოში.
- ჯეფ ბარტონი – ლონდონის ქართული გუნდის, „მასპინძელის“ დიდი ხნის წევრი და ყოფილი ხელმძღვანელი; ტურების ვეტერანი მონაწილე. ჯეფი, ასევე, მღერის ლონდონის ბულგარულ გუნდში.
- მარინა დექრისტოფორო – მარინას სადოქტორო დისერტაცია (2021) მოიცავს თავს სახელწოდებით „სოფლის მომღერლები და მომღერალი სოფლები“. მას აქვს როგორც ტურებში მონაწილეობის, ასევე, ტურების ორგანიზების გამოცდილება (ანსამბლ „ადილეისთან“ პარტნიორობით).

კვლევა ამ თემაზე, თავისი სადოქტორო დისერტაციის ფარგლებში, ასევე, ჩაატარა მეთიუ ნაითმა, რომელიც არის ავტორი თავისა პოლიფონიისა და ტურიზმის შესახებ წიგნისთვის ქართული ტრადიციული მრავალხმიანობა: თანამედროვე ტენდენციები და განვითარების პერსპექტივები. მეთიუ დისტანციურად მიიღებს მონაწილეობას სესიაში. აქ დამსწრე სხვა ტურ-ლიდერებს შესაძლოა სურდეთ, ჩაერთონ სესიის მსვლელობაში. დარბაზში, ალბათ, ბევრი იქნება, გასულ წლებში, სიმპოზიუმის დაწყებამდე ან მისი დასრულების შემდეგ მოწყობილი, სასწავლო ტურების ან სასიმღერო ბანაკების მონაწილე.

#### ცნებები და ტერმინოლოგია

სანამ უშუალოდ განხილვაზე გადავალთ, მინდა, შემოგთავაზოთ რამდენიმე კონცეფცია თეორიული ლიტერატურიდან ტურიზმის შესახებ, ასევე, ტერმინოლოგიის საკითხები. რას ვფიქრობთ მათზე, ვინც ამ ტიპის ხალხური მუსიკალური ტურიზმით არის დაკავებული? და რას ფიქრობენ ისინი საკუთარ თავზე?

- ტურისტი – მოგზაური – ვიზიტორი – მომხმარებელი – კლიენტი – შეგირდი – სტუმარი – მეგობარი.

- ლოტბარი – პედაგოგი – შუამავალი – თარჯიმანი.
- ტურის ორგანიზატორი – გიდი – ანტრეპრენიორი – მასპინძელი.

### **კრიტიკული ლიტერატურიდან ტურიზმის შესახებ**

ულფ ჰანერცმა (წიგნში *ტრანსნაციონალური კავშირები: კულტურა, ხალხი, ადგილები*, 1996) ყურადღება გაამახვილა მნიშვნელოვან განსხვავებაზე ტურისტებსა და კოსმოპოლიტებს შორის. მას მოჰყავს პოლ ტერუს ციტატა, რომ ბევრი ადამიანის მოგზაურობის მიზანია „სახლი პლუს“ (სახლი პლუს მზე ან ლამაზი პლაჟები, მაგალითად), სადაც ტურიზმი, ძირითადად, ფუნქციონირებს როგორც სანახაობრივი სპორტი. კოსმოპოლიტები, პირიქით, „მიდრეკილნი არიან ჩაეფლონ სხვა კულტურებში... მათ სურთ იყვნენ მონაწილეები“.

მუსიკა ხშირად არის სანახაობრივი სპორტული ტურიზმის ნაწილი – როდესაც ტურისტებს შეხება აქვთ ტრადიციული მუსიკისა და ცეკვის სავარაუდო შესულებასთან სასტუმროებში, რესტორნებში ან დადგენილ ტურისტულ ადგილებში, „ვიზიტორის გამოცდილების“ ფარგლებში. მათ, ვისაც სურს თავი აარიდოს მასობრივ ტურიზმს და უფრო ღრმა მუსიკალური გამოცდილება მიიღოს, შეუძლიათ, აირჩიონ კონცერტები და ფესტივალები. უკანასკნელ წლებში საქართველოში იმატა ასეთმა მუსიკალურმა შეთავაზებებმა, როგორც ტურიზმის უფრო მეტად განვითარების საშუალებამ და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უცხოელი ვიზიტორების მიერ საქართველოს მდიდარი მუსიკალური მემკვიდრეობის გაცნობის საქმეში. მაგრამ საუკეთესო შემთხვევებშიც კი, პერფორმანსი, ძირითადად, ემსახურება გართობას. ამის საპირისპიროდ, უცხოელი ვიზიტორები, რომლებიც ხვდებიან ქართულ სოფლებში და იწყებენ რეგიონული სიმღერების სტილისა და რეპერტუარების შესწავლას სიმღერის ადგილობრივ ოსტატებთან, წარმოადგენენ მოგზაურის სრულიად განსხვავებულ ტიპს, რომელიც ჰგავს კოსმოპოლიტს ჰანერცისეული გაგებით.

ტურისტებისთვის გამიზნული პერფორმანსები, ასევე, ასოცირდება „სასცენო ავთენტიკურობის“ ცნებასთან, რომელიც დინ მაკკანელმა (1970-იან წლებში) გამოიყენა, მოჩვენებითი ავთენტიკური სოფლის ცხოვრების პერფორმანსების აღსაწერად, რომლებიც სპეციალურად ტურისტებისთვის ეწყობოდა ე.წ. „წინა ხაზის“ რეგიონებში, მაშინ როცა ადგილობრივი მოსახლეობა „უკანა ხაზის“ რეგიონებში ცხოვრობდა. ისევ და ისევ, ეს არის ბარიერი, რომელსაც კვებენ სასიმღერო ბანაკების მონაწილეები, როდესაც ისინი ხანგრძლივად ცხოვრობენ სოფლის ოჯახებში, ჩართული არიან ყოველდღიურ საქმიანობაში და შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ ფესტივალებში, რომლებიც, ჩვეულებრივ, გარეშე პირთათვის ღია არ არის.

ეს ფენომენი, ასევე, შეგვიძლია განვიხილოთ „ალტერნატიული“ ტურიზმის მრავალ სახეობასთან მიმართებაში, რომლებიც 1980-იანი წლებიდან გაჩნდა, შემდეგი ეტიკეტებით: კულტურული ტურიზმი, ეთნიკური ტურიზმი, ეკოტურიზმი, მწვანე ტურიზმი, მდგრადი ტურიზმი, ინტელექტუალური ტურიზმი, ეთიკური ტურიზმი. ალტერნატიული ტურიზმის ბიზნესი ცდილობს, შეამციროს უფსკრული ადგილობრივებსა და ვიზიტორებს შორის, ვიზიტორის ჩაყენებით აქტიური მონაწილის და არა პასიური მომხმარებლის როლში. ასეთი ტურიზმი უფრო მომგებიანია ადგილობრივი ეკონომიკისთვის, რადგან ვიზიტორები უფრო ხშირად გაჩერდებიან ადგილობრივთა ოჯახებში და, მხარს დაუჭერენ, მაგალითად, ადგილობრივ, გარემოსდაცვით ინიციატივებს.

მასობრივი ტურიზმის ნეგატიური ეფექტების დაბალანსების სულისკვეთებით, ავტორები წიგნისა *ტურისტები და ტურიზმი: იდენტიფიკაცია ადამიანებთან და*

ადგილებთან (რედ. Abram, Waldren & Macleod, 1997), შეეცადნენ ეჩვენებინათ, თუ როგორ შეუძლია ტურიზმს „ადამიანებისთვის პირობების უზრუნველყოფა [მასპინძელ საზოგადოებაში], როგორ ახდენენ ისინი საკუთარი თავის იდენტიფიკაციას და როგორ აკავშირებენ საკუთარ თავს დანარჩენ სამყაროსთან“. წიგნში „ტურისტებთან ურთიერთობა: ევროპის პასუხი მასობრივ ტურიზმზე“ (1996) ჯერემი ბუსავენი ანალოგიურ კომენტარს აკეთებს ტურისტული ინტერესის პოტენციალზე, რომელსაც შეუძლია, ხელი შეუწყოს მასპინძლების თვითშეგნების, სიამაყის, თავდაჯერებულობისა და სოლიდარობის განცდას“ და სტიმული მისცეს ტრადიციული ხელნაკეთობებისა და ადგილობრივი დღესასწაულების აღორძინებას. ეს შეთავაზებები არის კიდევ ერთი კრიტერიუმი, რომლითაც შეგვიძლია შევაფასოთ სასიძლერო ტურისტული ინიციატივები და მათი მნიშვნელობა საქართველოში.

სასიძლერო ბანაკები და სასწავლო ტურები საქართველოში ორგანიზებული ვიზიტები მომღერალთა ჯგუფებისთვის, რომლებიც სპეციალურად ჩამოდიან საქართველოში ტრადიციული სიმღერების შესასწავლად, სხვადასხვა სახელს ატარებენ: მუსიკალური ტური – სასიძლერო ტური – ხალხური სიმღერის სასწავლო ტური – სასწავლო-სამემსრულებლო ტური – სალოტბარო ტური – მუსიკალური განმარტოება [რეტრიტი] – განმარტოება ხალხური სიმღერისთვის [რეტრიტი] – სასიძლერო ბანაკი – ხალხური სიმღერის შემსწავლელი ბანაკი – საზაფხულო ბანაკი განსახლებით – მასტერკლასი (ვორქშოფი) – მუსიკალური და კულტურული თავგადასავალი.

### **არსებობს ამ მოვლენების სტრუქტურირების სხვადასხვა მოდელი:**

- ზოგი გულისხმობს ერთ ადგილზე ხანგრძლივ ყოფნას, ყველაზე ხშირად აქცენტი კეთდება ექსკლუზიურად ადგილობრივ რეპერტუარზე; თუმცა, ზოგი მოიცავს ჯგუფის თანმხლებ პედაგოგებს საქართველოს სხვა კუთხეებიდან.
- ზოგიერთი იყენებს „ორმაგი ბაზის“ მოდელს, რომელიც მონაწილეებს საშუალებას აძლევს, გაეცნონ ორ კონტრასტულ რეგიონულ სტილსა და რეპერტუარს: პოპულარული კომბინაციაა სოფელი ლახუმი სვანეთში და სოფელი მერისი აჭარში.
- ზოგი გულისხმობს ხანმოკლე ყოფნას სამ ან ოთხ ადგილას, რაც ინტენსიურ სწავლაზე მეტად უპირატესობას ანიჭებს სტილისა და გარემოს ფართო სპექტრის მოსინჯვის შესაძლებლობას.
- „ვილიჯ ჰარმონი“ (რომელმაც საქართველოში პირველი ბანაკი ოც წელზე მეტი ხნის წინ ჩაატარა) იყენებს შერეულ მოდელს, რომელიც იწყება ერთკვირიანი ინტენსიური რეპეტიციებით, სადაც მონაწილეებს შეუძლიათ ისწავლონ ოცი ან მეტი სიმღერა. შემდეგ ისინი მოგზაურობენ ქვეყნის მასშტაბით, ხვდებიან მომღერლებს სხვადასხვა ადგილას, მონაწილეობენ მოკლე მასტერკლასებში მოწვეულ პედაგოგებთან და მონაწილეობას იღებენ კონცერტებსა თუ ფესტივალებში, ხშირად ადგილობრივ ანსამბლებთან ერთად.

### **ასევე, განსხვავებულია დაბინავების ფორმები:**

- სტუმრად ჩამოსული ჯგუფების წევრები შეიძლება განთავსდნენ სხვადასხვა ოჯახში ან ყველა დარჩეს ერთსა და იმავე სასტუმრო სახლში.
- ზოგ შემთხვევაში, ისინი ბინავდებიან ახლად აშენებულ შენობაში, ძირითადად, მათი პედაგოგის საცხოვრებელ სახლში: მაგალითად, ლენჯერში ფილფანების სახლი და მერისში თურმანიძეების სახლი.

### **ამ ტურებსა და ბანაკებში მონაწილეები სხვადასხვა მარშრუტით მიდიან:**

- „ვილიჯ ჰარმონის“ შემთხვევაში, ქართული ბანაკები უფრო ფართო საერთაშორისო პროგრამის ნაწილია, რომელიც მოიცავს პარტნიორობას მომღერლებთან და პედაგოგებთან სხვადასხვა ქვეყანაში და ისინი ხშირად იყვანენ ადამიანებს, რომლებსაც ადრეც ჰქონიათ კავშირი „ვილიჯ ჰარმონის“ საქმიანობასთან, შეერთებულ შტატებში ან მის ფარგლებს გარეთ.

- კარლ ლინიქის სალოტბარო ტურები განკუთვნილია მათთვის, ვისაც უკვე აქვს ქართული სიმღერის გამოცდილება, მონაწილეები, ძირითადად, პირადი კონტაქტებით არიან მოზიდულები.

- ნინო ნანეიშვილის, ლევან ბითაროვისა და სხვების ხელმძღვანელობით ჩატარებული ტურები ამოიზარდა იმ ვორქშოფებიდან, რომლებსაც ისინი უძღვებიან ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ვორქშოფების მონაწილეებს უჩნდებათ საქართველოში ჩამოსვლის სურვილი.

- „ლახუშდის – მომღერალი სოფლის“ პროექტს საფუძველი ჩაეყარა სრულიად განსხვავებული კონცეფციით, რაზეც მადონა ცოტა ხანში თავად გვეტყვის.

უცხოელი მონაწილეების რაოდენობა შეიძლება მერყეობდეს სამიდან ოცდაათამდე. ბევრი მომღერალი ყოველწლიურად ბრუნდება საქართველოში, ზოგჯერ იმავე ადგილებში, სადაც მეგობრები შეიძინეს, ზოგჯერ კი ახალ ადგილებს ეძებენ. ადამიანების უმეტესობა ამ მოგზაურობის შესახებ ჯერ კიდევ პირადი კავშირებითა და ზეპირი ინფორმაციით იგებს, მაგრამ ზოგი ჯგუფის შემადგენლობა უფრო მრავალფეროვანი გახდა ახლა, როდესაც ეს ტურები ადვილად იძებნება ინტერნეტში (მაგალითად, ფეისბუქის საშუალებით).

სიმღერის შესწავლაზე დახარჯული დრო შეადგენს დღეში ორიდან ექვს საათამდე ან მეტს. ზოგჯერ, სიმღერის ძირითადი გაკვეთილების გარდა, სთავაზობენ ცეკვისა და ინსტრუმენტებზე დაკვრის გაკვეთილებს. პროგრამების უმეტესობა მოიცავს კულტურული ან ისტორიული ღირსშესანიშნაობების მონახულებას და, ასევე, შეიძლება, მოიცავდეს ხინკლის, ჩურჩხელას, სვანური მარილის, ყველის ან ქაჭის დამზადების მასტერკლასებს.

ასეთი ტურების ღირებულება მნიშვნელოვნად განსხვავდება, რაც დამოკიდებულია არა მხოლოდ მოგზაურობის ხანგრძლივობაზე, არამედ ტრანსპორტის რეჟიმსა და განსახლების ტიპზე, მასწავლებლების რაოდენობაზე და სხვ., დამატებით გადასახდელია, მაგ. ფესტივალებზე დასწრებისა და მუზეუმებში შესვლის ხარჯები. ამ ზაფხულს (2022) ტურების ხანგრძლივობა მერყეობდა 9-დან 17 დღემდე, ხოლო ღირებულება - 720 ევროდან (10 დღიანი ტური) 1900 აშშ დოლარამდე (17 დღიანი ტური). ამ უკანასკნელ შემთხვევაში („ვილიჯ ჰარმონის“) ჰქონდა ფასდაკლებული ტარიფი ახალგაზრდებისთვის, ასევე, სტიპენდიაზე განაცხადის შესაძლებლობა.

შესავალ სიტყვას ვასრულებ იმ უპირატესობებისა და გამოწვევების წინასწარი ჩამონათვალით, რომელთა იდენტიფიცირებაც უნდა მოვახდინოთ.

### **სარგებელი მონაწილეებისთვის/სტუმრებისთვის:**

- მათი ქართული სიმღერების რეპერტუარის გაფართოება და განახლება, როგორც ინდივიდუალურად, ისე გუნდის შემადგენლობაში.

- სწავლა უშუალოდ ლოტბარებისგან და ეთნოფორებისგან.

- ახალი მუსიკალური ენისა და სხვებთან ერთად მღერის ახალი გზების შესწავლა.

- ცხოვრების ისეთი წესის განცდა, სადაც სიმღერა და ცეკვა ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს თამაშობს.



- პირველადი ინფორმაციის მოპოვება სიმღერების კულტურული და ისტორიული კონტექსტის შესახებ.

- „ნორმალურ“ ქართულ სახლში სტუმრად ყოფნის განცდა.
- მასპინძელი ოჯახისა და თემის ყოველდღიურ საქმიანობაში მონაწილეობა.
- მონაწილეობა ადგილობრივ ფესტივალებსა და რიტუალებში.
- ადგილობრივი თემებისა და საბაზო სანარმოების უშუალო მხარდაჭერა.

### **სარგებელი მასწავლებლებისა და მასპინძლებისთვის:**

- სტუმარი ჯგუფები შემოსავლის წყაროა (მასპინძელი ოჯახებისთვის, პედაგოგებისთვის, ტურის ორგანიზატორებისთვის, თარჯიმნებისთვის, მძღოლებისთვის და ა.შ.).

- გადახდილი თანხა შეიძლება გამოყენებულ იქნას საოჯახო პირობების გასაუმჯობესებლად (მაგ. აბაზანის დამონტაჟება) ან ისეთი პროექტების დასაფინანსებლად, რომლებიც სარგებელს მოუტანს მთელ თემს.

- სტუმრების განთავსება ადგილობრივ ოჯახებში არის ფინანსური სარგებლის გაზიარების და, ასევე, მეტი ადამიანის ჩართვის საშუალება მასპინძლობის სოციალური კუთხით.

- ბევრი მასპინძელი მოუთმენლად ელის ყოველწლიურად ახალ სტუმრებს და ასევე აფასებს ხანგრძლივ-პერსპექტივიან მეგობრობას, რომელსაც ისინი ამყარებენ ზოგიერთ სტუმართან.

- სტუმრები შეიძლება გახდნენ ტრადიციული პრაქტიკის გაცოცხლებისა და აღდგენის სტიმული.

- სუფრასთან, როგორც მასპინძლებმა, ისე სტუმრებმა შესაძლოა განიცადონ მხიარულებისა და სიყვარულის გადაჭარბებული გრძნობით აღსავსე მომენტები.

- მათ, ვინც ექსკურსიამძღოლად ან თარჯიმნად მუშაობენ, შესაძლოა თავისთვის პირველად აღმოაჩინონ საკუთარი ქვეყნის კუთხეები.

- სტუმრები ცოცხალი მტკიცებულებაა იმისა, რომ ქართულ კულტურას აფასებენ და პატივს სცემენ საქართველოს ფარგლებს გარეთ.

- პედაგოგის ან ადგილობრივი ანსამბლების მიწვევა საზღვარგარეთ ვერქმეოფებისა და კონცერტების ჩასატარებლად შეიძლება გახდეს პროექტის გაგრძელების შესაძლებლობა.

### **გამონვევები – კრიტიკული კითხვები:**

- ეწინააღმდეგება თუ არა ფინანსური ინტერესი სტუმართმოყვარეობისა და სასიმღერო პრაქტიკის ტრადიციულ ფორმებს?

- აქვს თუ არა ზოგიერთ მასპინძელს განცდა, რომ უცხოელი სტუმრებით, მათ მიერ შემოტანილი ფულითა და პრესტიჟით კონკურენციას უწევს სხვებს?

- რა ხდება, თუ სოფლის ზოგიერთი მაცხოვრებელი უკმაყოფილოა უცხო ადამიანების შემოდინებით იმ სივრცეში, რომელიც მათ პირადად უნდა მიეძღვათ?

- არსებობს თუ არა ყველაზე პოპულარული ლოკაციების გადატვირთვის რისკი, ვიზიტორების ან ტურების გადაჭარბებული რაოდენობით? და ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სხვები ვერ შეძლებენ სიცოცხლისუნარიანობისთვის საკმარისი მონაწილის მოზიდვას?

- არსებობს თუ არა სიახლის გაქრობისა (მასპინძლებისთვის) და მომსახურების დონის დაკემის რისკი (როგორც ხარისხის, ასევე ენთუზიზმის თვალსაზრისით)?

- რა მოხდება, როდესაც ლეგენდარული მოხუცი ლოტბარები, რომლებიც მთავარ მიზნიდველ ფაქტორს წარმოადგენენ, ცოცხლები აღარ ქნებიან?

- არსებობს თუ არა საშიშროება, რომ მუსიკალური მემკვიდრეობა, უფრო ფართო გაგებით, გადაიქცეს საბაზრო საქონლად კაპიტალისტურ ან ნეოლიბერალურ ეკონომიკაში?

და ბოლოს, ამ მრგვალი მაგიდის ანოტაციაში წერია: „კულტურული ტურიზმის ეს შედარებით ახალი სფერო საჭიროებს სისტემატიზაციას და დახვეწას სწავლებისა და მენეჯმენტის კუთხით“. აქ მინდა დავსვა შეკითხვა:

- რა შეიძლება იყოს ასეთი მიდგომის სარგებელი?
- რა იქნება რისკები?

**ქეროლან ბითელი მადონა ჩამგელიანს:** 2011 წელს გამიმართლა და ვიყავი პირველი ჯგუფის წევრი, რომელიც გამოეხმაურა უცხოელი სტუმრების მიწვევას, ჩასულიყვნენ ლახუშდში, ლიმხერის დღესასწაულთან დაკავშირებული სიმღერებისა და ცეკვების შესასწავლად და დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად. სწორედ ეს არის ამოსავალი რამდენიმე შეკითხვისთვის, რომელიც მინდა დავუსვა მადონას, ძალიან მნიშვნელოვან ადამიანს ამ ყველაფერში. მადონა, მოკლედ გვითხარით როგორი იყო თქვენი სანყისი ხედვა პროექტისა „ლახუშდი – მომღერალი სოფელი“ და რით არის ეს პროექტი გამორჩეული ან განსხვავებული სხვა პროექტებისგან, რომლის ფარგლებშიც უცხოელები მოდიან ქართული სიმღერის შესასწავლად?

**მადონა ჩამგელიანი:** მადლობა ქეროლან, ამ შემთხვევაში, ცოტა რთულია ამ ყველაფერზე აქედან ლაპარაკი, მაგრამ მინდა გავიხსენო, როგორ გაჩნდა ეს იდეა. 2011 წელს ვმეშაობდი რაღაც თემაზე, ჩასული ვიყავი სვანეთში და ვნახე, რომ ჩემს სოფელში, რომელიც მანამდე სავსე იყო ცოცხალი ფოლკლორით, რიტუალებში მონაწილეობდნენ მხოლოდ მოხუცი ადამიანები და დავფიქრდი, რომ როცა ეს მოხუცები აღარ იქნებოდნენ, ეს სოფელიც და დანარჩენი სვანეთიც, გახდებოდა ჩვეულებრივი რეგიონი ლამაზი ხედებითა და არანაირი ტრადიციით.

ამ დროს გავიცანი ქალბატონი მეჭ ბრეი, შოტლანდიელი ქალბატონი, რომელიც დაინტერესებული იყო ქართული ხალხური მუსიკით და იმჟამად იმყოფებოდა ლენჯერში, ბატონი ისლამ ფილფანის მასტერკლასებზე. მე და ეთნომუსიკოლოგი ნანა მჟავანაძე, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ამ პროექტის განვითარებაში, შევხვდით მეჭს და მოვუყევით ჩემი მომღერალი სოფლის რიტუალების, ტრადიციებისა და ა.შ. შესახებ. ჩემი მიზანი იყო, შეგვექმნა მუსიკოსების, ეთნომუსიკოლოგებისა და დაინტერესებული ადამიანების ჯგუფი, რომელიც დაეხსნებოდა სახალხო დღეობებს, არა როგორც ტურისტი, არამედ, როგორც თანამონაწილე, შეისწავლიდა ამ ყველაფერს და გაუღვივებდა ახალგაზრდებს ამ ტრადიციების შენარჩუნების სურვილს. მეჭ ძალიან დაინტერესდა ამ იდეით და ჩვენ დავინყეთ ერთად მუშაობა 2011 წელს.

პირველ ჯგუფში იყო 23 ადამიანი. თავდაპირველად ყველანი დაძაბული ვიყავით, არ ვიცოდით და ერთმანეთს ვეკითხებოდით, მაგალითად, როგორ უნდა გვემასპინძლა უცხოელებისთვის და ა.შ. თუმცა მათგან იმხელა მუხტი მოდიოდა, რომ, სულ რაღაც 10 დღეში, ერთ ოჯახად ვიქცეთ. ვფიქრობ ამ პროექტის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი არის დამეგობრება ადამიანებთან მსოფლიოს მასშტაბით. ასე გაჩნდა პროექტი *Lakhushdi's Singing Village*, რომლის ფარგლებში გავიცანით უამრავი მუსიკოსი, რომლებიც ჩამოდიან ჯგუფებად და მასწავლებლები, რომლებიც მოჰყვებიან ამ ჯგუფებს.

აღსანიშნავია, რომ ეს პროექტი არ არის ბიზნესისთვის, ეს უფრო სოციალური პროექტია და ის ამართლებს. ჩვენი მიზანი იყო, ამ პროექტში ჩართულიყვნენ ადგილობრივი უხუცესები, რომლებიც საუკეთესო მომღერლები არიან, მაგრამ არ აქვთ მასწავლებლის „უნარები“. ამაში მათ ეხმარებოდნენ ნანა მჟავანაძე, ზოე პერე და სხვა მუსიკოსები. მათი ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა

ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის. ამის შედეგია, რომ ახლა არ გვაქვს ახალგაზრდა თაობის პასიურობის პრობლემა, პირიქით, ერთად ვაკეთებთ საქმეს. ამჟამად, ჩვენი ხალხის დახმარებით, ვაკეთებთ *Singing House*-ს, ადგილს, სადაც სოფლის მოსახლეობასა და სტუმრებს შეეძლება ერთ დიდ სივრცეში კომუნიკაცია, სიმღერების სწავლა და სწავლება და კიდევ ბევრი საინტერესო აქტივობა. რაც შეეხება იმას, რომ ტურიზმი ყოველმხრივ დადებითი მოვლენაა, ვერ ვიტყვი, რომ ასეა. მახსოვს, ამ საქმეს რომ ვინცებდით, ქეროლაინმა ჩაწერა ჩემგან ინტერვიუ, თუ რა მოლოდინები მქონდა ამ პროექტისგან. ამ გადასახედიდან ვფიქრობ, როცა ერთი ხელით კარგს აკეთებ, მეორე ხელით რაღაცას აფუჭებ, ამიტომ ბალანსის დაჭერა აუცილებელია იქ, რადგან რიტუალთან, ლოცვასთან და საკრალურ ქმედებებთან გვაქვს საქმე. ეს არ უნდა გახდეს გასაყიდი პროდუქტი და ამის გაკეთება რთულია ხოლმე, იმიტომ, რომ სოფელში უკვე მომრავლდა საოჯახო სასტუმროები, ოფიციალური, ტურისტული ლოკაციები და ამას ველარ შეაკავებ, მაგრამ თუ სწორ მიმართულებას მისცემ, ალბათ გადავრჩებით ამ კუთხით.

**ქეროლაინ ბითელი ნინო ნანეშვილი:** თქვენი ტურებისთვის, თქვენ შეიმუშავეთ ლახუშდისგან ძალიან განსხვავებული მოდელი. შეგიძლიათ მეტი გვითხრათ, რატომ გადაწყვიტეთ ტურის ფარგლებში მოგზაურობა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და სხვადასხვა მომღერლებთან ერთად?

**ნინო ნანეშვილი:** სასიამოვნო ტურების მოწყობის იდეა – პირველად, მგონი, 5-6 წლის წინ მომივიდა, ძირითადად, რაჭაში. როცა ადგილობრივ შემსრულებლებს შევხვდი, იმდენად აღელვებული ვიყავი, რომ გადავწყვიტე სახლის ყიდვა რაჭაში. ამაზე ვფიქრობდი, მაგრამ მალე ჩვენს დიდ ოჯახში ტრაგედია დატრიალდა: დავკარგეთ ახალგაზრდა ბიძა და ძმისშვილი, და ჩემი სახლი სამეგრელოში დაიკეტა. როცა შემდეგ ტურზე ვფიქრობდი, მივხვდი, რომ არ მჭირდებოდა ადგილის ყიდვა სხვა რეგიონში: ეს იყო ჩემი ადგილი, რომელიც უბრალოდ დაიკეტა, ნგრევას იწყებდა და სწორედ მე უნდა აღმედგინა. როცა ჩემს სოფელში წავიდი, ამაში კიდევ უფრო მეტად დავრწმუნდი. წამოწყებაში მხარი დამიჭირეს ჩემმა ბრიტანელმა მეგობრებმა ანსამბლიდან „მასპინძელი“. შემდეგ ტურში ძირითადად იყვნენ „მასპინძელის“ წევრები, და რამდენიმე ადამიანი სხვა ქვეყნებიდან. მთელი ფული/შემოსავალი გამოვიყენეთ ძველი სახლის რემონტისთვის, რომელიც ჩემს ბებია-ბაბუას ეკუთვნოდა. ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ახლაც არის. სამეგრელოში, ჩემ სოფელში, ტურის ორ-სამ დღეს ვატარებთ, და, იმედი მაქვს, კვლავაც ასე იქნება.

ეს იყო ჩემთვის პირველი იმპულსი. მეორე მხრივ, ექსპედიციებში ყოფნისას ვხვდებოდი ხანდაზმულ შემსრულებლებს, საოცარ მომღერლებს, რომლებსაც არ ჰყავდათ მოწაფეები. ამ ტიპის ტურები და თითოეული უცხოელი, რომელიც დაინტერესებულია ჩვენი კულტურით, დიდ გავლენას ახდენს ჩვენზეც და ჩვენს ახალგაზრდა თაობაზეც. არ ვიცი, როგორ დამეთანხმებიან ჩემი მეგობრები, მაგრამ ვფიქრობ, რომ უცხოელები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ქართული მუსიკით, უფრო ინტელექტუალური ხალხია, ვიდრე სხვები, რადგან ამას სჭირდება საფუძველი, რომელიც საშუალებას მისცემს ადამიანს, ეს შეიგრძნოს, დაიჭიროს განწყობა და შორს წავიდეს. ერთხელ ჩემს სოფელში მყავდა ქალბატონები შვეიცარიიდან. ეს იყო ერთადერთი ტური, რომელიც მხოლოდ ჩემს სოფელში იყო, რადგან მათ ამჟობინეს ერთი ადგილი სიმღერებზე მეტი მუშაობისთვის. კონცერტის შემდეგ, რომელიც ჩემს ეზოში ჩავატარეთ, ჩემმა თანასოფლელებმა, რომლებსაც 30 წელზე მეტია ვიცნობ, მთხვავს რომ ვორქშოფები ადგილობრივებისთვისაც ჩამეტარებინა და ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

**ქეროლაინ ბითელი:** ხომ არ გსურთ, ცოტა კიდევ გვითხრათ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს ტურები თქვენს ცხოვრებაში, როგორც ბევრი სხვა საქმე, რომელსაც აკეთებთ?

**ნინო ნანეიშვილი:** რა თქმა უნდა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ფინანსური სარგებლის გარდა, ეს ტურები საშუალებას მაძლევს, მქონდეს სოციალური კომუნიკაცია სიმღერის შესახებ სხვადასხვა საკითხზე, როგორც ადგილობრივ შემსრულებლებთან, ისე უცხოელებთან, რომლებსაც ადრე არასდროს შევხვედრივარ და მათთან, ვისაც ისევ შევხვდი. მოგეხსენებათ, ყოველი დღე ახალი ფურცელია ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენი შეხედულებებიც იცვლება და ეს ძალიან საინტერესოა. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ძალიან მძიმეა, იყო ასე „გამოფენილი“, თუმცა, როცა გრძნობ, როგორ ვრცელდება მუსიკისა და ურთიერთობების ეს აურა, ეს ძალიან დიდი სიმდიდრეა და, ვფიქრობ, რომ ძალიან გამიმართლა, რომ ამ წრეში ვარ.

**ქეროლაინ ბითელი:** გმადლობთ. მე უბრალოდ მინდა შეგახსენოთ რამდენიმე რამ, რაც ჩემთან ინტერვიუში თქვით, და რამაც გამაოცა. თქვენ ბრძანეთ, რომ თქვენთვის ასევე ღირებულია როცა უცხოელის თვალეში ხედავთ, რომ მას ეს აბედნიერებს. რომ ზოგჯერ თვითონ უნდა გავარკვიოთ, რა დაგვარგეთ, რა უნდა განვაახლოთ ან უფრო მეტად გავუფრთხილდეთ. ასევე მომიყვით ისტორიები იმის შესახებ, თუ ხშირად, როდესაც გეგმავთ ხანდაზმული მომღერლების მონახულებას, ისინი კითხულობენ: მართლა? ამ უცხოელებისთვის საინტერესო ვიქნები? და თქვენ გინევთ მათი დარწმუნება. შემდეგ ისინი ძალიან ბედნიერები არიან, გირეკავენ და გეკითხებიან: როგორ არიან ჩვენი უცხოელები? სახლში ხომ უსაფრთხოდ დაბრუნდნენ? დიახ, ასეთი დეტალები, ეს ერთგვარი ნაპერწკალია მათ ცხოვრებაში.

**ნინო ნანეიშვილი:** დიახ, ეს ჩემთვის ძალიან ემოციურია. მინდა გავიხსენო ბოლო ტური სამეგრელოში. „კოლხური ტრიოს“ ერთმა ქალბატონმა, ბელა ქამადაძემ, COVID-ის შემდეგ, როცა ყველა ფიქრობდა, რომ ეს მისი ბოლო დღეები იყო, თვალცრემლიანმა მითხრა: „შენ დამარწმუნე, რომ ისევ საინტერესო ვარ. ამის შემდეგ მე ხელახლა დავიბადე“. მაგალითად, გურიაში შევხვდი მერაბ კალანდაძეს, საოცარ ბანს, რეზული მჟავანაძეს და სხვებს, რომლებიც ხშირად მირეკავდნენ, მიზიარდნენ თავის ემოციებს და მეკითხებოდნენ ტურის თითოეულ მონაწილეზე: „როგორ არის სუბანი? როგორ არის ქეროლაინი? ჩემგან მოკითხვა გადაეცი!“ მათ ეს სჩირდებათ, უნდა იცოდნენ, რომ მნიშვნელოვანნი არიან არა მხოლოდ ქართველებისთვის. ეს არის მათი მოტივაცია, რაც, დარწმუნებული ვარ, სიცოცხლის ენერჯიას მატებს.

**ქეროლაინ ბითელი:** დიახ, ეს დაკავშირებულია ჯანმრთელობასთან, ბედნიერებასთან და კეთილდღეობასთან, არა? მეც ავლელი, როდესაც გისმენდით.

**ქეროლაინ ბითელი ჯეფ ბარტონს:** ეხლა ჯეფთან გადავალ. ჯეფ, თქვენ წლების განმავლობაში ყოფილხართ სიმღერის შემსწავლელ არაერთ ტურში საქართველოში. ზოგიერთის შესახებ ვიცი და ზოგის შესახებ – არა. არ გსურთ, გვითხრათ, რა ისწავლეთ ან რამდენად ღირებული იყო ეს გამოცდილება, უბრალოდ, ახალი რეპერტუარის შესწავლის გარდა? და თუ გსურთ, გავიზიაროთ ერთი ან ორი მაგალითი?

**ჯეფ ბარტონი:** ვფიქრობ, რომ საკმაოდ საინტერესო ჩამონათვალი წარმოადგინეთ თქვენს პრეზენტაციაზე. ვფიქრობ, სიმღერების სწავლასთან და სხვა ადამიანებთან შეხვედრასთან ერთად, ასეთი ტურები ჩემნაირ უცხოელს აძლევს ენობრივი ბარიერის გადალახვის შესაძლებლობას ხანდაზმულ ქართველებთან. ჩემთვის ყველაზე შთამაგონებელი იყო შეხვედრა ხანდაზმულ მომღერლებთან, რომლებსაც მანამდე არავისთვის უსწავლებიათ, საკუთარი გუნდის გარდა. ჩვენ

ისინი თითქოს საკუთარი ნიჟარიდან გამოგვყავს. ერთი მაგალითი, რომელიც ცხადად მახსენდება, არის სულიკო სინაურიძე – კარლის მიერ 2010 წელს მონყობილი ტურის ერთ-ერთი პედაგოგი. ორი კვირის შემდეგ, ის ათი წლით უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა, ვიდრე ტურის დასაწყისში. მისი აღფრთოვანება მშვენიერი სანახავი იყო. კიდევ ერთი უპირატესობა, რომელსაც არ შეხებიხართ: არის საერთაშორისო ქსელის ასპექტი. როდესაც ტურზე ჩავდივარ და არ ვიცნობ არცერთ სხვა მონაწილეს, ან, შესაძლოა, ვიცნობდე ერთს ან ორს, ყოველთვის ამადელვებელია იმაზე ფიქრი, თუ ვინ არიან სხვა მონაწილეები, ან როგორ მღერიან, დავმეგობრდებით თუ არა და ა.შ. ესეც ერთ-ერთი მიმზიდველი ფაქტორია. მთელ მსოფლიოში არის ადამიანთა ერთგვარი ქსელი, ვინც ამ სამყაროს ნაწილია და აქვს კავშირი საქართველოსთან. მათ უმეტესობას ერთმანეთთანაც აქვს კავშირი. ტურები ამ ყველაფერს მოიცავს.

**ქროლოანი ბითელი:** კიდევ ვიცი, რომ თქვენ ტურებში მონაწილეობა მიგილიათ როგორც დამოუკიდებლად, ისე უფრო დიდი ჯგუფის შემადგენლობაში, „მასპინძლის“ სხვა წევრებთან ერთად. მინდა გკითხოთ: რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს ტურები თქვენი გუნდის რეპერტუარის გამდიდრებისთვის და, ასევე, „მასპინძლის“, როგორც ანსამბლის განვითარებისთვის ლონდონში?

**ჯეჯ ბარტონი:** მე ვიტყვოდი, რომ ბოლო დროის ტურებში ვიყავი „მასპინძლის“ ერთ ან ორ წევრთან ერთად. არა მგონია რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება ყოფილიყო. ვფიქრობ, განსხვავება ისაა, რომ ამ ადამიანებმა ახლა შეიგრძნეს საქართველო და ეს მათ უფრო სრულ წარმოდგენას უქმნის იმის შესახებ, თუ საიდან მოდის სიმღერები, უფრო მეტად ესმით კულტურა. რაც შეეხება ტურებს „მასპინძლის“, როგორც გუნდის მონაწილეობით, ჩვენ გვქონდა ვორქშოფები ლევან აბაშიძესთან 2006 წელს. ვფიქრობ, ჩვენ პირველი ჯგუფი ვიყავით ბუკისციხეში მალხაზ ერეკლიძესა და „სახიობას“ წევრებთან ერთად. იმ ტურებმა, სადაც ერთად ვიყავით, ყველა ჩვენგანზე უზარმაზარი გავლენა მოახდინა, რადგან მაშინ საერთო რეპერტუარი და გამოცდილება გვქონდა და, ცხადია, ამ სიმღერებიდან ზოგიერთი პირდაპირ ჩვენს რეპერტუარში შევიდა.

**ქროლოანი ბითელი:** თქვენი, როგორც ტურების მონაწილის, აზრით, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები? ხომ არ გსურთ გაგვიზიაროთ რაიმე იდეა, თუ რისი დამატება იქნებოდა კარგი იმაზე რაც დღემდე არის?

**ჯეჯ ბარტონი:** ვფიქრობ, ჩემი შემოფოტების ერთ-ერთი საგანია ერთგვარი მონოპოლიზაცია. თუ ქართული სიმღერის უცხოელ შემსრულებელს შეხვდებით და აჭარულ სიმღერებზე ჰკითხავთ, დიდი ალბათობით, ის სიმღერები, რომლებიც მან იცის, მერისულია. იმის გამო, რომ თურმანიძეები წარმატებულები არიან და საქმე აწყობილი აქვთ, ჯგუფები სტანდარტულად იქ წავლენ. ამგვარად, ისინი სიმღერებს სწავლობენ თურმანიძეებისგან, მაგრამ არავინ სწავლობს სიმღერებს სხვა სოფლებში ან სხვა ჯგუფებისგან. იგივე შეიძლება ითქვას რეგიონების უმრავლესობაზე, სადაც მასპინძლები წარმატებულები არიან. მათი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ეს გავლენას ახდენს რეპერტუარზე, რომელსაც ხალხი სწავლობს. ამაში ვხედავ პატარა რისკს, არც თუ სასურველს.

**ქროლოანი ბითელი:** როგორც ვიცი, ზოგიერთი ადგილი დაჭავჭავილია ჯგუფების მიერ ერთმანეთის მიყოლებით. ახლახანს ვიყავი ტურში ბელგიელებთან ერთად, ჩვენ ფეხდაფეხ მივყვებოდით ფრანგების ჯგუფს, რომელსაც ზოე ხელმძღვანელობდა. ისინი იყვნენ ლახუშდში და შემდეგ ჩვენ ვიყავით ლახუშდში, ისინი იყვნენ მერისში და შემდეგ ჩვენ ვიყავით მერისში. როგორ ფიქრობთ, წელს კიდევ რამდენი ჯგუფი მოვა ჩვენს შემდეგ? მეორე მხრივ, როცა ნინოს ტურში

ვიყავი ივნისში, წავედი თლადაურში და ვიმუშავეთ ავთო დარჩიძესთან. ასე რომ, ზოგჯერ ადამიანები სხვადასხვა ადგილას მიდიან. ლევან ბითაროვი აქ არის? მე ავიღე მისგან ინტერვიუ გასული კვირის დასაწყისში, სადაც ის საუბრობს იმაზე, თუ როგორ უყვარს ყოველ ჯერზე ახალ ადგილას წასვლა და ძალიან საინტერესოა ახალ ოჯახთან ან სოფელში დარჩენა, სადაც მანამდე არ ყოფილხარ. ისინი იმ მომენტში, სპონტანურად სწავლობენ ყველაფრის გაკეთებას. ამაში მართლაც არის რაღაც, რაც ძალიან კარგად მუშაობს, თუნდაც, ეს ცოტა არსრულყოფილი იყოს პირველ ჯერზე.

**ჯეე ბარტონი:** ვფიქრობ, კარლსაც იგივე მიდგომა აქვს. მას მოსწონს, რომ ჰყავდეს ერთი სანდო ადამიანი, რომელსაც იცნობს და მას შეუძლია დაეყრდნოს და სხვა, რომელსაც ნამდვილად არ იცნობს და ცოტა უფრო სარისკოა, რათა ყველაფერი ახალი იყოს.

**ქროლანი ბითელი:** ორ განსხვავებულ ადგილას წასვლა ნიშნავს, რომ სხვადასხვა ადამიანს განსხვავებული რამ მოეწონება. თუ ერთი, რაღაცნაირად, არც ისე წარმატებული გამოვა, მეორე იქნება კომპენსაცია. ორგანიზატორებმა უნდა იფიქრონ, როგორ იმუშავენ ეს მონაწილეებისთვის. ეს არის ის, რაც მე უფრო დეტალურად შევისწავლე და მოუთმენლად ველი როდის დაგწერ ამის შესახებ.

**ქროლანი ბითელი მარინა დექრისტოფოროს:** ახლა გადავალ მარინასთან, რათა შემდეგ ზოგადი დისკუსიის დრო გვქონდეს. მარინა, კიდევ ერთხელ, თქვენ გაქვთ შეხედულებები ამ თემაზე, როგორც ანთროპოლოგსა და ექიმს. სხვათა შორის, შესანიშნავი დისერტაცია გქონდათ: წაიკითხეთ მისი დისერტაცია, ის ნამდვილად კარგია. როგორც ტურის ორგანიზატორსა და ტურის მონაწილეს, იმის საფუძველზე, რაც დისერტაციაში დანერგე და რაზეც ფიქრობდი მას შემდეგ, ამ ფენომენის რომელი ასპექტები მიგაჩნია ყველაზე საინტერესოდ ანთროპოლოგიური თვალსაზრისით?

**მარინა დექრისტოფოროს:** გმადლობთ რეკომენდაციებისთვის. მინდოდა წინა დისკუსიაში რაღაც დამემატებინა, რადგან თქვენ ასხენეთ ლევანი და მე მასთან ვმუშაობდი. პირველი ტური მან გააკეთა ჩემთან და „ადილეისთან“ ერთად. როცა, როგორც მკვლევარი, პირველად ჩამოვედი საქართველოში, დავემეგობრდი ამ ჯგუფს და დავდიოდი იქ, სადაც ისინი მიდიოდნენ. მათ სურდათ სიმღერების სწავლა, ან სურდათ, ენახათ, კარგი იყო თუ არა ესა თუ ის მომღერალი, რომლის შესახებ გაკონილი ჰქონდათ და უნდოდათ მასთან სტუმრობა. ჩვენ შევეცადეთ, მსურველთა რაც შეიძლება დიდი ჯგუფი შეგვექმნა. ეს იყო ჯგუფთან ერთად მოგზაურობა და, არსებითად, განსხვავებული გამოცდილება, მაგრამ ეს არ იყო გამართლებული, რადგან, მახსოვს, ქვემო სვანეთის ერთ სოფელში, სადაც ეს ჯგუფი ჩავიყვანეთ, მანამდე სტუმრები არასდროს მიუღიათ და ზოგიერთ მათგანს საშხაპეც კი არ ჰქონდა. ლევანს კინაღამ გულის შეტევა დაემართა, როცა ეს ჩვენი ჩასვლის დღეს გაიგო, მაგრამ დანარჩენებს ეს ნამდვილად არ აინტერესებდათ. მათ თქვეს: არა, შესანიშნავია, რადგან ცოტა ჭაჭა უკვე ჰქონდათ დალეული... ჩემი აზრით, ეს იყო რისკი, რომლის თავიდან ასაცილებლად ჩვენ თვითონ უნდა წავსულიყავით და ადგილები წინასწარ გადაგვემონებინა, რომ არ ყოფილიყო მომენტი: „შხაპი არ არის“.

ჩავთვალოთ, რომ ეს იყ უბრალოდ ანეკდოტი. როგორც ანთროპოლოგს, მე ნამდვილად მაინტერესებს საზღვრების საკითხები. არსებობს ზღვარი რაღაც პრაქტიკასა და პროდუქტს შორის, ვიდაც ტურისტსა და სტუმარს ან მეგობარს შორის. როდის ხდები ერთი ან მეორე? განსაზღვრავს თუ არა ამას ფული? თუ ვინმეს მეგობარი ხარ, ისინი, ალბათ, არ მოელოდნენ თქვენგან ფულის გადახდას, თქვენ უბრალოდ სტუმარი ხართ. მაგრამ თუ სტუმრობთ როგორც ტურისტი, მაშინ ალბათ უნდა გადაიხადოთ. ეს არის ერთი ასპექტი. მე ყოველთვის მაინტერესებს სასიმღერო ტური, სადაც ყველა მღერის და ცდილობს ისწავლოს. მონაწილეებს

შორის არსებობს სხვადასხვა გამოცდილება. რა თქმა უნდა, მასპინძლებს შორისაც არსებობს განსხვავებული პრაქტიკა. ხანდახან ეს ძალიან კონკურენტუნარიანია: მაქვს რალაც, რასაც ვყიდი, ეს ჩვენი დროისა და მდგომარეობის პროდუქტია და რადგან ზაფხულში ამდენი ხალხი მოდის, თქვენ უნდა სცადოთ და დაარწმუნოთ ეს ხალხი, რომ თქვენთან მოვიდნენ.

მაგრამ რეალური მონაწილეების გამოცდილება ასევე განსხვავდება, ხომ ასეა? ზოგიერთი ადამიანი იქ არის, როგორც მომხმარებელი: იხდის ბევრ ფულს, სურს, ისწავლოს სიმღერები, მიიღოს გარკვეული გამოცდილება. ზოგიერთები კი არიან მხოლოდ იმიტომ, რომ უბრალოდ დატკბნენ დროით და მეგობრებთან ერთად ყოფნით. მე ვყოფილვარ ტურებში, სადაც ვსწავლობდით სიმღერებს იოღლით და ხუთი ადამიანი ერთდროულად მღეროდა; ბოლოს და ბოლოს, ვერავინ ისწავლა სიმღერა, რადგან იქ სუფევდა განწყობა – ეს ის პარტიაა, რომელსაც მე ვმღერი და ამიტომ ვიმღერებ მას მაშინაც კი, თუ ვინმე ამას უკვე აკეთებს. სულაც არ დაველოდები ჩემს რიგს. არ დავკვდები, უბრალოდ, მოსასმენად და ჩანაწერის გასაკეთებლად, რომ მოგვიანებით დაველაპარაკო მასწავლებელს ან ვთხოვო ვინმეს ჩემთან ერთად იმღეროს. ეს უფრო მეტი ძალისხმევაა, მე მესმის, საიდან მოდის ეს. მაგრამ ამან შეიძლება ძალიან უარყოფითი გავლენა მოახდინოს სწავლის ხარისხზე – ვერავინ შეძლებს ისწავლოს, რადგან იმდენად არის ყველა ორიენტირებული საკუთარ ხმაზე, რომ მასწავლებელს აღარ უსმენენ. ზოგჯერ, თუმცა არა ყოველთვის, მე თითონ ვყოფილვარ ასეთ მდგომარეობაში. უნდა ვთქვა, რომ არასოდეს მიმაჩნდა თავი მომღერლად – ვმღერი მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. მე აქ ვიყავი, როგორც ანთროპოლოგი, როგორც მკვლევარი, მაგრამ, ასევე, უმეტესწილად, მჭირდებოდა იმის მტკიცება, რომ სიმღერა შემიძლია, იმისათვის, რომ სერიოზულად მიველე. თუ დავფიქრდები, შემეძლო, ვყოფილიყავი ძალიან კარგი მკვლევარი ისე, თუნდაც არ შემეძლებოდა სიმღერა. თუმცა, აქ, რა თქმა უნდა, სხვა მომენტია: ერთად მღერის ფაქტი რალაც განსხვავებულია, ის გეხმარება ენობრივი ბარიერების გადალახვაში, ადამიანებთან უფრო ადვილად და სხვა დონეზე კომუნიკაციაში, მაგრამ იმისთვის, ვინც სიმღერის სოციალურ მხარეებს აკვირდება, ეს არის არა აუცილებლობა, არამედ ასპექტი: ოჰ, აქ ვართ, ჩვენ ყველანი უცხოელები ვართ – ეს მართლაც უცნაური ტერმინია – არსებობს ჩვენ და ისინი, სწორედ აქ შემოდის „სხვა“ სახის დისკურსი. ჩვენ, ასევე, ცოტა ვეჭიბრებით ერთმანეთს, ხომ ასეა? ეს ადამიანური თვისებაა და ბევრი ადამიანი ცდილობს მისგან გათავისუფლებას, მაგრამ თქვენ მაინც ადარებთ: ოჰ, ეს ადამიანი არც ისე კარგად მღერის, ან ის აცდენილია, ან სხვა. ასევე, ძალიან მაინტერესებს, რა არის ეს პრაქტიკა მონაწილე ადამიანების თვალსაზრისით. არ ვიცი, აქვს თუ არა ამას აზრი. რა თქმა უნდა, ბევრი თვალსაზრისია და ბევრი სათქმელი.

**ქროლანი ბითელი:** თუ ისევ მასპინძლებს დავუბრუნდებით – ცოტა რამ უკვე თქვით მასპინძლების პერსპექტივებზე ან მოტივაციებზე – ერთ-ერთი რამაც გამაკვირვა თქვენი დისერტაციის კითხვისას, იყო კითხვა: არის თუ არა სიმღერის ასეთი პრაქტიკა გლობალური კაპიტალისტური ეკონომიკის ნაწილი. თქვენ საუბრობდით იმაზე, თუ რა როლს თამაშობს ავთენტიკურობის პრეტენზია მონოდებული გამოცდილების კონკურენტუნარიანობაში და განსხვავებაზე საბაზრო და არასაბაზრო ადგილებს შორის.

**მარინა დექრისტოფრო:** ჩვენს საქმიანობაში ყველაფერს მოდელის მიხედვით ვაწყობთ. ადამიანებს აქვთ მასპინძლობის სხვადასხვა მოდელი და ისინი განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ სად მასპინძლობენ ხალხს – გაფანტულები არიან სოფლის მოსახლეობაში თუ საოჯახო სასტუმროში ცხოვრობენ; ოჯახის რა ნაწილია

ჩართული – ერთი ადამიანი თუ ყველა; რამდენად ღიაა მათი სივრცე ზოგადად? და ამის რამდენიმე განსხვავებული გზა არსებობს. მაგრამ კაპიტალისტური ბაზრის პერსპექტივიდან, ვფიქრობ, რომ ეს დასაფიქრებელი კითხვაა, რადგან ეს არის ტურისტული ეკონომიკის ნაწილი, მიბმული კაპიტალისტურ ეკონომიკაზე, რომელშიც ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ; საქართველოში განხორციელდა კაპიტალისტურ ეკონომიკაზე გადასვლა. ასე რომ, ეს არის ის, რასაც ჩვენ ახლა გავდივართ. ზოგი ჩამოდის განსაკუთრებული მოლოდინით პირობებთან დაკავშირებით და ეს შეიძლება იყოს მომსახურების გაცვლა ფულზე. უფრო გასაგებად – მე მოვდივარ, გთავაზობ ფულს, შენ მასწავლი სიმღერებს. მაგრამ, ჩემი აზრით, ყველა მასპინძელი და ყველა ორგანიზატორი ამას მკაცრად გააპროტესტებს. ეს ის არაა, რის გაკეთებასაც თქვენ ცდილობთ. თქვენ ცდილობთ, რაღაც განსხვავებული შესთავაზოთ. ვფიქრობ, რომ ადამიანები ცდილობენ, რომ ეს რაღაც, როგორც მაღონამ თქვა, სოციალურ პროექტად აქციონ, ჩართონ თემი, თანხები გამოიყენონ იმისთვის, რომ ეწვიონ ხანდაზმულ მომღერლებს, აღმოაჩინონ ახალი ადგილები, შეკრიბონ ხალხი – ჰქონდეთ ყველა სხვა ელემენტი. მაგრამ, არის შესაძლებლობა, თუ ყველაფრის სისტემატიზაციას მოვახდენთ და ერთგვარ პროგრამულ გზაზე დავაყენებთ, რომ ეს გახდეს მომსახურების გაცვლა ფულზე, საარჩევნო ხმებზე ან სხვა რამეზე. ეს მხოლოდ ჩემი აზრია. რაც შეეხება კონკურენტუნარიანობას, ამაზე საუბრისას, ძირითადად, ვგულისხმობდი, მაგალითად, კიდევ რა შეიძლება გაკეთდეს ამ ადგილას. ლამაზია? შეგიძლია ლაშქრობაში წასვლა? კარგი პირობებია? მოწყობილია? რადგან, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო ადვილია ხალხის ასეთ ადგილას მიყვანა, ვიდრე იქ, სადაც ეს ასე არ არის. შემდეგ ერთ კვირას გაატარებ ისეთ ადგილზე, სადაც წასასვლელი არსად გაქვთ. ეს რთული იქნება... ვფიქრობ, ზოგჯერ განსხვავება არსებობს ადამიანებს შორის, რომლებიც სხვადასხვა ადგილას მიდიან, რადგან, ადამიანებს მტკიცედ უნდა ჰქონდეთ გადანაცვლებილი კონკრეტული ტიპის სიმღერის სწავლა, რომ ისეთ ადგილზე წავიდნენ, სადაც არ აქვთ წვდომა არანაირ გართობაზე ან სალაშქრო მარშრუტებზე და სხვ. ვფიქრობ, ეს ხალხი სიამოვნებით წავიდოდა სხვა ადგილებში, რომლებიც უფრო მოთხოვნადია, ვცტირებ ბრჭყალების გარეშე, მაგრამ სხვა ხალხიც შეიძლება წავიდეს იქ. არ მინდა ზედმეტად კრიტიკული ვიყო... ბევრი კითხვაა, რადგან ყველას სურს ავთენტიკურობის შენარჩუნება... მე არ მომწონს სიტყვა „ავთენტიკური“ რადგან ნამდვილად არ ვიცი, რას ნიშნავს.

**ქეროლან ბითელი:** არჩევანი დიდი

**მარინა დექრისტოფორო:** დიახ, მაგრამ არჩევანი მაინცდამაინც არ არის. ვინ წყვეტს რა არის ავთენტიკური? ეს მუდმივი კითხვაა. ვინ აცხადებს ამ ტურებს? ჩემი აზრით, ნამდვილად არსებობს სურვილი, რომ საქმე გაგრძელდეს და ხალხი ჩაერთოს, რაც, ვფიქრობ, ჩვენც და აქ მსხდომთა უმეტესობამაც ვნახეთ ყველასთან, ვინც ისაუბრა. ეს კარგია.

**ქეროლან ბითელი:** ვფიქრობ, კარგი დროა დისკუსიის დასაწყებად, ამიტომ დიდი მადლობა, მარინა, მადლობა ყველას, ვინც უკვე ისაუბრა. კითხვების დასმამდე, მე უბრალოდ მინდა შემოგთავაზოთ კიდევ ერთი კონცეფცია. გავმეორდები, თავის დისერტაციაში მარინა უფრო ვრცლად წერს კულტურაზე, არის თუ არა ეს პროდუქტი და ა.შ, მათ შორის სცენაზე პროფესიულ წარმოდგენებზე და არა მხოლოდ იმაზე, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ. მაგრამ, არსებობს თუ არა მესამე გზა? მე ვფიქრობ, რომ ამის გათვალისწინება სასარგებლოა, როდესაც განვიხილავთ დადებით და უარყოფით მხარეებს, სარგებელსა და გამონკვევებს, იმას, რომ არსებობს ამდენი განსხვავებული მოდელი, განსხვავებული შესაძლებლობები და მრავალფეროვნება, რომ ადამიანები მიდრეკილნი არიან, ადრე თუ გვიან, იპოვონ საკუთარი გზა, რომელიც მათთვის



იმუშავებს. ასე რომ, ამ შენიშვნასთან დაკავშირებით, მივმართავ აუდიტორიას, დასვას ნებისმიერი შეკითხვა ან გააკეთოს კომენტარი.

**ფრანკ შერბაუმი:** მინდა დავსვა კითხვა მასპინძლების მისამართით. თუმცა, როგორც სტუმარმა და ბევრი ტურის მონაწილემ, შემიძლია ვუპასუხო ამ კითხვას ჩემი გადასახედიდან. როცა ტურიდან ვბრუნდები, სულ მენატრება რაღაც და ვკითხები საკუთარ თავს, რა მენატრება სინამდვილეში და რატომ მენატრება, როცა აქ არ ვარ? საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, როცა ვბრუნდები, ისე მხვდებიან, როგორც ოჯახის წევრს. მაგალითად, მადონას ოჯახი ჩემს ოჯახად მიმაჩნია. მადონა, მინდა, თქვენც გკითხოთ, რა გენატრებათ ჩვენი წასვლის შემდეგ? შეგიძლიათ დააკონკრეტოთ?

**მადონა ჩამგელიანი:** მადლობა ფრანკ, მართლაც ასეა, ჩვენი ტურის პირველ დღეს ყველა უცხოა, ბოლო დღეს კი ისინი მიდიან, როგორც ჩვენი ოჯახის წევრები. ეს განშორება განსაკუთრებით ძნელია, თითქოს სოფელი იცლება. მერე კი ვისხენებთ სოფლელები ერთმანეთში: ვინ როგორი იყო, წითელ თმიანი ქეროლაინი როგორ იქცეოდა და გვენატრება ხოლმე. არ ვიცი, სხვაგან ეს როგორ ხდება ხოლმე, ძალიან კარგია, მაგალითად, მერისიც და ლენჯერიც, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ „ლახუში“ სხვა პროექტია. თუ სხვაგან ეს არის ერთი ოჯახური ბიზნესი, „ლახუში“ ამ საქმეში მთელი სოფელია ჩართული. მაგალითად, დილაობით ჩემი სტუმარი შეიძლება სხვასთან წავიდეს სასაუბროდ, ანუ როტაციები მოხდეს და ეს ბუნებრივია. ჩვენს სტუმრებს ხშირად უთქვამთ: „ასე გვგონია, ჩვენი ბავშვობის სოფელში ვბრუნდებით“. ეს მართლაც დაბრუნებასავით არის, არც ჩვენ ვთამაშობთ და არც ჩვენი თანასოფლელები. ყველას იღებენ, როგორც სტუმარს და არა, როგორც ტურისტს. სწორედ ეს გენატრებათ ალბათ თქვენც და ჩვენც.

**ნინო ნანიეშვილი:** როდესაც ჩემი სტუმრები მიდიან, ყველაზე მეტად მენატრება იმის განცდა, რომ ჩვენ გვჭირდება მეტი ფიქრი ერთმანეთზე... ეს ძალიან რთულია, რადგან, არ ვიცი, საიდან მოდის, შესაძლოა, საქართველოში არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემებიდან. შესაძლოა, თქვენ, როგორც სტუმრებს, გგონიათ, რომ ჩვენ ვართ ყველაზე სტუმართმოყვარე ქვეყანა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში სხვანაირი ურთიერთობებია. ზოგჯერ ჩვენს საუკეთესო მეგობრებს თვეების განმავლობაში ვერ ვხვდებით, რადგან, ჩემი აზრით, ყველგან ცხოვრების გიჟური რიტმია. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა ვისწავლოთ თქვენგან, უცხოელებისგან და არა მარტო უცხოელებისგან – თქვენნაირი ადამიანებისგან, რომლებიც სავსე ხართ ჰარმონიით, ცდილობთ, იყოთ განონასწორებული და ა.შ. თქვენ იცით, რასაც ვვულისხმობ. ჩვენ უნდა დავიჭიროთ ეს გრძნობა და საკუთარ თავში შევინარჩუნოთ. ასევე, მინდა ვთქვა ერთ საოცარ ოჯახზე კემბრიჯიდან. ეს ეშლინი და მირანდაა... როდესაც მათ ვსტუმრობდი რამდენიმე წლის წინ (არ მახსოვს აღდგომის თუ შობის პერიოდში), ბოლო დღეს მირანდამ ჩანთაში ფული ჩამიდო: სოლიდური თანხა და მითხრა, გთხოვ, გიგის ოჯახს გადასცე. ძალიან გამიკვირდა. უარს ვერ ვიტყოდი, რადგან ეს ჩემი არ იყო, მაგრამ ძალიან უჩვეულო გრძნობა დამეფულა. ვკითხე – როგორ, რატომ და რა ვუთხრა? მიპასუხეს: „მათ იციან ამის შესახებ. 10 წელზე მეტია, რაც ამას ვაკეთებთ, მთელ შემოსავალს ჩვენი კონცერტებიდან საქართველოში ვაგზავნი“. მახსოვს, ავტირდი და ვკითხე, როგორ აკეთებენ ამას და საიდან მოდის ეს, რადგან, სამწუხაროდ, ასეთი რამ სულ უფრო და უფრო ნაკლებად ხდება ჩვენს ქვეყანაში. და მათ საოცარი რამ მითხრეს: „ეს ვისწავლეთ თქვენგან, ქართველებისგან“. ამის მოსმენა ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო... და ძალიან მინდა, რომ ჩემთვის და ჩემი ქართველი მეგობრებისთვის ეს ღირებული იყოს, რადგან ვიცი, რომ უცხოელებისთვის საქართველო გარედან უფრო ლამაზია, ვიდრე სინამდვილეშია. ბოდიში, რომ ამას ვამბობ, მაგრამ ეს ჩემთვის

ძალიან მტკივნეულია. ძალიან ბედნიერი ვარ და ჩემთვის დიდი პატივია, რომ ყოველწლიურად აქ ბრუნდებით. ეს იმას ნიშნავს, რომ რაც ეშლინმა და მირანდამ მითხრეს, სიმართლეა, აქ თქვენ პოულობთ ისეთ ღირებულ რამეს, რაც შესაძლოა კი არ დაგვიკარგავს, არამედ მიგვაკინცდა.

**ქეროლან ბითელი:** დიდი მადლობა ამის გაზიარებისთვის. ვფიქრობ, ბაიამ ყველას დაასწრო ხელის აწევა.

**ბაია ჟუჟუნაძე:** გმადლობთ. ვეთანხმები თქვენს განცხადებას და, ასევე, მარინას. ჩემი კითხვები მარინას შემოთავაზებიდან მოდის. ასევე, კითხვები მაქვს ნინოსთან, მადონასთან და ზოესთან. მაინტერესებს, ვიხილავთ თუ არა ყველა ამ მოგზაურობას და ვითხოვთ თუ არა უკუკავშირს მომხმარებლებისგან? გვაქვს ამის პრაქტიკა? რადგან, დასამალი არ არის, რომ ქართველები გამოხმარებას და კრიტიკას დიდად არ დაგიდევენ. ზოე ნაწილობრივ ინსაიდერია და ნაწილობრივ აუტსაიდერი. მინდა ვკითხო, თუ ანალიზებს, რა პლიუსები და და მინუსები აქვს მუსიკალურ ტურიზმს საქართველოში და რა უნდა გაუმჯობესდეს ან შეიცვალოს?

**ნინო ნანიშვილი:** ახლახან დავიწყე ჩემი უცხოელი მეგობრების ელექტრონული წერილების შეგროვება და ვოცნებობ, რომ ერთ დღეს – ალბათ, როცა უფრო ასაკოვანი და თავისუფალი ვიქნები – გამოვცე, რადგან ეს ნამდვილი მემკვიდრეობაა... მათში საოცარი იდეებია ქართულ მუსიკაზე და არა მხოლოდ პირადად ჩემზე ან ვინმე სხვაზე.

**ბაია ჟუჟუნაძე:** მე ვიკითხე, მაგალითად, თუ გაქვთ კითხვარის რაიმე ფორმა, როგორც აქვთ, მაგალითად *Booking*-ს, *Airbnb*-ს ან *TBC*-ს მომხმარებლის უკუკავშირისთვის. თუ ისინი ამას აკეთებენ, უბრალოდ, შეეცადეთ, თქვენც გააკეთოთ გამოკითხვის მსგავსი ფორმები.

**ზოე პერე:** მე არ მაქვს ოფიციალური კითხვარი ან მსგავსი რამ, მაგრამ ყოველი ტურის ბოლოს, მე ყოველთვის ვეკითხები, რა მოეწონათ, რა შეიძლება გაუმჯობესდეს... ესაა მსჯელობა და ერთგვარი მრგვალი მაგიდა ტურის ბოლოს. მინდა ვთქვა, რომ სარგებელი მეტია, ვიდრე რისკი, და, ზოგადად, დადებითი მხარეები უფრო მეტია, ვიდრე უარყოფითი. მართალია, ზოგიერთ ადგილებს სტუმრების მიღების უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვთ... რომ დავუბრუნდეთ ჯეფის სიტყვებს, მართალია, რომ ზოგიერთ ადგილს უფრო მეტი სტუმარი ჰყავს, ვიდრე სხვას... 10 წელია ამ საქმეს ვაკეთებ... ვფიქრობ, ყველა ჯგუფი განსაკუთრებულია... 10-წლიანი საქმიანობის შემდეგ, კიდევ იმდენი ადგილია აღმოსაჩენი... თუმცა, ხშირად ერთსა და იმავე ადგილებში დავდივარ, რადგან ადამიანები ვერ აცნობიერებენ, რომ ახალ ადგილებზე საინტერესო გამოწვევები შეიძლება ელოდებოდეთ... უფრო მეტ მომღერალს მოვუწოდებდი ამ საქმიანობისკენ... რადგან, ხალხი იძენს განსაკუთრებულ გამოცდილებას და როცა სახლებში ბრუნდებიან, ენატრებათ ეს ყველაფერი, ასევე, ენატრებათ ერთმანეთი... ეს არის ის, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში გვაკლია, ის, რასაც ჩვეულებრივ არ განვიცდით... რაც შეეხება ზღვარს ტურიზმსა და სტუმარს შორის, მიმაჩნია, რომ ეს ადამიანები, მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარე უწყვეტი სწავლის პროცესის მონაწილეები არიან... ისინი აქ ჩამოდიან, რომ ისწავლონ ქართველებისგან და, ასევე, ისწავლონ ერთმანეთისგან... ვორქშოფის ჩემუელი ფორმა ახლა უფრო მეტად არის დაკავშირებული სწავლის პროცესთან, ადამიანებთან უფრო მეტი კავშირების დამყარებასთან.

**ნინო რაზმაძე:** მე ფაქტობრივად ყველას ვიცნობ, ვინც საქართველოში ატარებს ვორქშოფებს და მასპინძლობს მათ, მაგრამ ჩემთვის „ლახუში“ მართლაც ყველაზე განსაკუთრებული სოციალური პროექტია, ამიტომ, პირველ რიგში, მინდა მადლობა ვუთხრა მადონას. მიმაჩნია, რომ ის ყველაზე გასაკუთრებულია და

ვფიქრობ, რომ ყველა დანარჩენმა მისგან უნდა აიღოს მაგალითი. ასევე, დავამატებ მერისთან დაკავშირებით, ახლა ამოვაჩინე, რომ თურმე არასოდეს არ მქონია ტური, მაგრამ მე მაქვს ცოტა სხვა გამოცდილება პოპულარიზების მიმართულებით. 10 წლის განმავლობაში მერისის პოპულარიზებაზე ძალიან აქტიურად ვმუშაობდი. მე არასოდეს მქონია ფინანსური ინტერესი ამ თვალსაზრისით და ყოველთვის ვცდილობდი, დამერწმუნებინა ისინი, რომ, შეიძლება, არსებობდეს ვიღაც, ვისაც არ აქვს არანაირი ფინანსური ინტერესი, უბრალოდ დაინტერესებულია ამ სოფლის პოპულარიზებით. არ ვიცი ეს როგორ გამომივიდა, მაგრამ ძალიან ვცდილობდი.

პირველად მერისში კარლ ლინიქის ჯგუფი ჩავიდა; შემდგომ კარლის ჯგუფის წევრებმა გააკეთეს იქ ვორქშოფები; შემდეგ ზოე ჩაერთო ამ პროცესში ძალიან აქტიურად.

რეპერტუარის სიმწირესთან დაკავშირებით, ვისურვებდი, იყოს მეტი პრაქტიკა სხვა მომღერლების მოწვევისა. კარლს ჰქონდა ძალიან კარგი პრაქტიკა: როდესაც ის მიდიოდა სვანეთში, მიჰყავდა გურული მომღერალი ტრისტან სიხარულიძე, მეგრელი პოლიკარპე ხუბულავა. პოლიკარპე მერისშიც ჰყავდა. მერისში ჩვენ ვცადეთ მეჭიბონეების ჩართვა, ესეც ძალიან საინტერესო იყო. მაღლობა ნინოს, რომ თურმანძიების გარდა კიდევ სხვებიც, მაგალითად, დარჩიძეების ოჯახიც უფრო პოპულარული გახადა. აღსანიშნავია, რომ ფრანკთან ერთად ჩვენ გვქონდა მცდელობა ჭვანაში ვორქშოფის ჩატარებისა.

საბოლოო ჯამში, მინდა ვთქვა, რომ ჩვენმა მხარემ, ანუ ორგანიზატორებმა ძალიან ბევრი უნდა იმუშაონ და მუშაობენ კიდევ, რომ რეპერტუარი იყოს უფრო მრავალფეროვანი, ჩამოსულ უცხოელებს ჰქონდეთ უფრო მეტ ახალ ადამიანთან შეხვედრის გამოცდილება. მაღლობა მინდა ვუთხრა ქართველებსაც და უცხოელებსაც ამ ყველაფრის პოპულარიზებისთვის და ბოლოს მაინც იმით დავამთავრო, რაც მაღონამ აღნიშნა, რომ, მთავარი მაინც არის არა ის, თუ რამდენ ახალ სიმღერას ისწავლიან, არამედ ეს ურთიერთობები, რომლებიც თუნდაც 15 წლის შემდეგაც მირანდას და ეშლის აძლევს მოტივაციას, რომ ისევ იყონ ასეთ ურთიერთობებში თავის ქართველ მეგობრებთან. მოკლედ დიდი მაღლობა დღევანდელი საუბრისთვის.

კიდევ ერთი კითხვა, კონფერენციაზე გვქონდა შესაძლებლობა, მოგვეწვია 2 მომღერალი ვორქშოფის ჩასატარებლად, გვსურს გკითხოთ, რა აზრის ხართ ამის შესახებ რომ შემდეგ სიმპოზიუმზე კონფერენციის განმავლობაში მეცნიერებისთვისაც მოვანყოთ ვორქშოფები.

**ქეროლანი:** ვფიქრობ, შესანიშნავი იქნება! ნინო, მაღლობა მონაწილეობისთვის.

ერთ-ერთი, ნამდვილად მნიშვნელოვანი ჩემთვის არის ის, რომ უმთავრესი არის ინიციატივა. ინდივიდუალური ინიციატივები მოდის პირდაპირ წყაროდან და კონტაქტების უმეტესობა ხდება პირადი კონტაქტების მეშვეობით. ამას არავინ აკონტროლებს, არავის უნევს რაიმე ტესტის გავლა და ვფიქრობ, რომ ამაშია ამ სახის ფენომენის ძალა.

**ჰოლი ტელიორი:** მინდა გავაერთიანოთ რამდენიმე თემა – ტრანსნაციონალურობის ამ იდეისა და, ასევე, იმის შესახებ, რომ ტური მზადდება თვით ტურში მონაწილე ადამიანების მიერ... შეგიძლიათ გადაიხადოთ ფული, შეგიძლიათ ტურზე წასვლა: არ არსებობს კითხვები იმის შესახებ, თუ როგორი ხმა ან გამოცდილება გაქვთ... რეგულაცია კარგი იქნება თუ ცუდი?

**ქეროლანი ბითელი:** საინტერესოა განსხვავება ტურების შემადგენლობაში. ზოგ ტურში, რომელშიც 25 ან 30 მონაწილეა, სხვადასხვა კომბინაციების ბევრი

